

ბავშვთა მიმართ ძალადობა

გზამკვლევი პედაგოგებისთვის



შიღისწევის ცენტრი



HumanDoc

აგტორები:

ბარბარა ლეშინსკა (პოლონეთი),
რუსუდან პაჭკორია (საქართველო)
ეკატერინე თავართქილაძე (საქართველო)
მანანა ჯინჭარაძე (საქართველო)

რედაქტორი:

ლალი შენგელია
მეგი ბიბილური

სარედაქციო ჯგუფი:

დომინიკა სპრინგერი, მეგი ბიბილური (HumanDoc Foundation),
ოლგა კიკავა, ნანა თოდუა (ასოციაცია „მერკური“)

თარჯიმანი:

ლელა პაპუაშვილი

საქართველო 2020

გამოცემა მოამზადა ფონდმა „ჰუმანდოკმა“ HumanDoc Foundation (პოლონეთი) პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში.



პოლონეთის დიპლომატიის
და განვითარების
სამსახური



HumanDoc

პარტნიორები საქართველოში:

ასოციაცია „მერკური“, კულტურულ ჰუმანიტარული ცენტრი „სოხუმი“,
მეგობრობის ხიდი - „ქართლოსი“



წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოსატყვევებს ფონდი „ჰუმანდოკის“ (Foundation HumanDoc), ან მისი რომელიმე პარტნიორი ორგანიზაციის, ასევე პოლონეთის მთავრობის მოსაზრებებს.

გამოცემა მოამზადა ფონდმა „ჰუმანდოკმა“ HumanDoc Foundation (პოლონეთი). ასოციაცია „მერკურის“, კულტურულ ჰუმანიტარული ცენტრი „სოსუმის“ და მეგობრობის ხიდი - „ქართლოსის“ (საქართველო) ერთობლივი პროექტის „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სისტემის ხელშეწყობა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვა საქართველოში“ ფარგლებში.

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

© გამოცემა „ბავშვთა მიმართ ძალადობა გზამკვლევი პედაგოგებისათვის“ ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution 4.0 საერთაშორისო საავტორო ლიცენზიით. ზემოხსენებულიდან გამომდინარე დაცულია HumanDoc Foundation-ს უფლებები. 2020 წელს პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნა, რომლის წყალობით შეიქმნა ხსენებული პუბლიკაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, პუბლიკაციის გამოყენება იქნება ნებადართულია მხოლოდ იმ პირობით, თუ ზემოხსენებული ინფორმაცია, მათ შორის, გამოყენებული ლიცენზიის და საავტორო უფლებების შესახებ იქნება გამოქვეყნებული.

© ფონდი ჰუმანდოკის (Foundation HumanDoc) 2020

www.HumanDoc.pl

www.HumanDoc.ge

სარჩევი

წინასიტყვაობა	6
რას წარმოადგენს ბავშვთა მიმართ და	
ოჯახში არსებული ძალადობა	6
როგორ გამოვავლინოთ ბავშვის მიმართ ძალადობა?	7
ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვის	
ფსიქოლოგიური მდგომარეობა	7
ძალადობისადმი შემგუებლობა	8
ბავშვის მიმართ გამოვლენილი ძალადობის ტიპები	
და მისი სიმპტომები	8
სექსუალური ძალადობა	14
ბავშვის მიმართ წარმოადგენს ბავშვთა მიმართ	
სემსუალური ძალადობის შესახებ	15
ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია,	
დავალებები პედაგოგებისთვის	26
როგორ წარვმართოთ ბავშვთან საუბარი	
ძალადობის შესახებ?	30
ძალადობის მიმართ ძალადობის და ოჯახში	
ძალადობის საკითხები სამართლებრივი ნაწილი	33
სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ბაბა-ბაღებში	
მომუშავე აღმზრდელების ტიპური შეცდომები,	
ბავშვის მიმართ ძალადობის ეჭვის შემთხვევაში	51
რა არის ბულინგი?	52
რა სახის ბულინგი არსებობს?	57
ვინ ხდება/შეიძლება გახდეს ჩაგერის მსხვერპლი	58
ბულინგის გამომწვევი მიზეზები	59

ბუღინგის მსხვერპლის ნიშნები	64
მოძალადის დახასიათება	69
მაყურებლები	73
მშობლის როლი	75
როგორ ვესაუბროთ ტრავმირებული ბავშვის მშობელს?	76
მასწავლებლებისა და სკოლის როლი	78
საკლასო გარემო	84
შეიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად	86
ბავშვებთან მუშაობის ძარბული მოღველი - ლადო აფხაზაფას ბამოცდილება	89
ღანართეპი	103

ფონდი ჰუმანდოკი (HumanDoc) საქართველოში უკვე ხუთი წელია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან და სხვა პარტნიორებთან იმისათვის, რომ საქართველოში მოგვარდეს ოჯახში ძალადობის მიმართულებით მნიშვნელოვანი პრობლემები და დასული იყოს ბავშვთა და ქალთა უფლებები.

ბავშვის დაცვა ყველანაირი ფორმის ძალადობისაგან ბავშვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა.

ჩვენი ვებმკვლევები მომზადებულია სკოლების, საბავშვო ბაღების, ბაგა-ბაღების პედაგოგებისა და აღმზრდელებისთვის. რომელშიც მოცემულია ინფორმაცია, თუ რა ბიანი მოაქვს ბავშვებისთვის ძალადობის ყველა ფორმას; ინფორმაცია ბავშვის მიმართ ძალადობის და ბავშვის მდგომარეობის შესწავლის შესახებ; ასევე საგანმანათლებლო სისტემის, საკანონმდებლო რეგულაციების, მათი მოვალეობების შესახებ, კონკრეტული ქმედებების მითითება, რაც აუცილებელია ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობის აღსაკვეთად.

მასწავლებლების, აღმზრდელების, სოციალური მუშაკების თუ მშობლების მოვალეობაა დროულად ამოიცნონ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები და იმოქმედონ კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, რათა დაიცვან ბავშვის ინტერესები.

წინამდებარე ვებმკვლევები არის უნივერსალური და მისი გამოყენება შესაძლებელია საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

დიდი იმედი გვაქვს, რომ ვებმკვლევები ბევრისათვის იქნება საინტერესო და საყურადღებო და ხელს შეუწყობს საქართველოში ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო პედაგოგებისთვის იქნება დამატებითი დამხმარე საშუალება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დასახმარებლად.



ოჯახში ძალადობა - ეს არის ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიერ განხორციელებული ქმედება ან უმოქმედობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების შეზღუდვა ან ინდივიდუალობის დათრგუნვა

(ბრაუნი კ., ჰელბერტი მ., Browne K., Herbert M., 1999).

ოჯახში ძალადობის გამოვლინების ხერხების და სახეობის გათვალისწინებით, ბავშვთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის 4 ტიპი არსებობს:

- ◆ ფიზიკური ძალადობა
- ◆ ფსიქოლოგიური ძალადობა
- ◆ ბავშვის მოუვლელობა
- ◆ სექსუალური ძალადობა

ოჯახში ძალადობა არის დანაშაული.

ოჯახში ძალადობის გამოვლინების ან ეჭვის შემთხვევაში, აუცილებელია პოლიციის, პროკურატურის ან შესაბამისი ორგანოების ინფორმირება.

ოჯახში ძალადობის განმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით:

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას, უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

როგორ გამოავლინოთ ბავშვის მიმართ ძალადობა?

ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, როგორც წესი, ჩვეულებისამებრ საუბრობენ ძალადობის შესახებ, მაგალითად, დედანეში ან მამანეში მცემს, ცუდად მეპყრობიან, არ არიან კარგები და ა.შ. ის, რომ რეალურად ცუდი ხდება მათ ცხოვრებაში, ჩვენ შეგვიძლია გამოვავლინოთ შემდეგი დამახასიათებელი ნიშნების (რისი გამოვლენაც შეგვიძლია საბავშვო ბაღში/სკოლაში თანატოლებთან ურთიერთობისას) საშუალებით: ძალადობა შეიძლება ბავშვისთვის იყოს ტრაგიკული ხასიათისაც, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში კვალს დაუტოვებს მას, ანუ ასეთმა მოპყრობამ, შესაძლოა, გაანადგუროს ბავშვის თანდაყოლილი პოტენციალი, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა

არც ერთი ბავშვი არ არის მზად ოჯახში ძალადობისთვის. მისთვის მიყენებული ტრავმის აღმოფხვრა ძალიან რთულია, კერძოდ, სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ მოძალადე არის მშობელი, ანუ ბავშვისთვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანი. თუ მშობელი მოძალადეა, ხოლო ბავშვი - ძალიან პატარა ასაკის, იგი ვერ იგებს, რომ ძალადობის მსხვერპლია. ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი, ძირითადად, არიან შიშის, ტანჯვის, დეპრესიულ და სასოწარკვეთილ მდგომარეობაში.

ვინ არის ოჯახის წევრი ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად?

დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი.

ისინი ხშირად იღებენ ფიზიკურ და სულიერ ტრავმებს და ეს მდგომარეობა ნელ-ნელა კლავს ადამიანს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად.

ბავშვობაში გადატანილი ძალადობა ადამიანის პიროვნულ თვისებებზე აუცილებლად მოქმედებს, რაც ხანგრძლივი ძალადობის და ტრავმის შემდგომი აშლილობის შედეგია. აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, მას არ შეუძლია დამოუკიდებლად ცხოვრება, ყოველთვის საჭიროებს დახმარებას არამოძალადე მშობლისგან და ინსტიტუციების თანამშრომლებისგან. ძალადობა ბავშვებს ძალადობას - ანუ ძალადობაში გაზრდილი ბავშვი ან ძალადობის მსხვერპლად რჩება, ან თავად ხდება მოძალადე.

ძალადობისადმი ზემოქმედება

თანდაყოლილი ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის უნარის გათვალისწინებით, ტრავმირებულ ბავშვს შეუძლია დროთა განმავლობაში შეეგუოს არსებულ მდგომარეობას. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ ტრავმირებული ბავშვის მახასიათებელი ნიშნები თავიდანვე არ ვლინდება, ანუ ბავშვს არ აქვს ძალადობის მსხვერპლის სიმპტომები. თუ ძალადობა გრძელდება ხანგრძლივად და აჭარბებს ბავშვის შეგუების შესაძლებლობას, მხოლოდ ამის შემდეგ ვლინდება ტრავმის ნიშნები. ამ ნიშნებს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უფროსების მხრიდან იმ დაწესებულებაში, სადაც ბავშვი იმყოფება.

ბავშვის მიმართ გამოვლენილი ძალადობის ტიპები და მისი სიმპტომები

ფიზიკური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა - ეს არის სხეულის მიზნობრივი დაზიანება, ფიზიკური ტკივილის მიყენება ან მუქარა სხეულის დაზიანების შესახებ. ფიზიკური ძალადობის (მაგალითად: შეჯანჯღარება, ხელისკერა, გაღიზიანება, კისერზე ხელის მოჭერა, როგორც წინიდან, ასევე უკნიდან, პირზე ხელის აფარება) შედეგები შეიძლება იყოს: მოტეხილობა, დაჟეჟილობები, ჭრილობები, შიდა დაზიანებები.

ფიზიკური ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა ბავშვის ხანგრძლივი შენჯღრევა. ეს შეეხება ჩვილ ბავშვებს, 6 თვის ასაკამდე. ვინაიდან ამ

ასაკში ბავშვებს ძალიან სუსტად აქვთ განვითარებული კისრის კუნთები, ყიფლიბანდი შეკრული არ აქვთ, ზემოთაღნიშნულმა ქმედებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს თავის ტვინის და თავის ქაღლის მიკროტრავმები, გონებრივი განვითარების შენელება, ხოლო ამის უფრო მძიმე შედეგებია თავის ტვინის ინსულტი, სიბრმავე, სიყრუე.

როგორ გამოვავლინოთ ფიზიკური ძალადობა - რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?

ბავშვს:

- ◆ გააჩნია დაზიანებები (დამწვრობა, ნაკბენები, დაუქეილობება, მოტეხილობები), რომელთა წარმოშობის ახსნაც უჭირს;
- ◆ ეშინია მშობლის ან მეურვის;
- ◆ კრთება, როცა მას უახლოვდება მოზრდილი პირი;
- ◆ მის მიერ სხეულის დაზიანებების ახსნა დამაჯერებელი არ არის;

ასევე საყურადღებოა ბავშვის: მოუსვენრობა, ფორიაქი, განდევილობა, ხშირად საავადმყოფოში მოხვედრა.

მშობელი ან მეურვე:

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

(წყარო: საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. 25/05/2006.)

ფიზიკური ძალადობა ბავშვის მიმართ - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, მათ შორის, ბავშვის ფიზიკური დასჯისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

(წყარო: საქართველოს მთავრობის დადგენილება №437-ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე. 12/09/2016)

- ◆ ბავშვის სხეულის დაზიანებებს ხსნის წინააღმდეგობრივად ან არაღამაჯერებლად;
- ◆ ბავშვზე საუბრობს უარყოფითად, მაგალითად, შეურაცხმყოფელი ეპითეტების გამოყენებით;
- ◆ ბავშვის მიმართ იყენებს მკაცრ ფიზიკურ დასჯას;
- ◆ არის ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მომხმარებელი.

ყურადღება: ალკოჰოლის გამოყენება არ ამართლებს ძალადობას!

ფსიქოლოგიური, ემოციური ძალადობა

ბავშვის პერმანენტული შეურაცხყოფა, დამცირება, გაქირდება, ასევე მის მიმართ არასათანადო მხარდაჭერის, ყურადღების და სიყვარულის გამოხატვა.

ფსიქოლოგიური ძალადობის ტიპს წარმოადგენს სიტყვიერი აგრესია - ბავშვთან მუდმივად ხმამაღალი საუბარი, ყვირილი, დაძაბული საუბარი, შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებით საუბარი. ასევე **ბავშვის დაშინება, შეშინება, მუქარა, შანტაჟი**, ბავშვისგან შეუძლებლის მოლოდინი და მოთხოვნა.

ფსიქოლოგიური ძალადობის სხვა ფორმები:

- ◆ **ბავშვით მანიპულირება** (ყველაზე ხშირია მშობლების გაყრის პერიოდში) - როდესაც ერთ-ერთი მშობელი მეორე მშობლის მიერ წარმოდგენილი უარყოფითად, „ბოროტად“;

ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.
(წყარო: **საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. 25/05/2006**)

იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შესარულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;
(წყარო: **საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში**

- ◆ ბავშვში დანაშაულის გრძნობის გამოწვევა - როდესაც ბავშვს ადანაშაულებენ მოშობლის არასასურველი ემოციური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
- ◆ ზედმეტი მზრუნველობა - ანუ, როდესაც ბავშვი იზრდება მუდმივი ზედმეტი კონტროლის პირობებში, იმ კონტექსტში, რომ მის მიმართ სამყარო მტრული და საშიშია. ზედმეტი მზრუნველობა იწვევს, მათ შორის, უმწეობის შეგრძნებას და არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებას.

ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლინება - რას მივაქციოთ ყურადღება?

ბავშვი:

- ◆ ასაკთან შედარებით არაადეკვატურად იქცევა (ან ზედმეტად ჩამოყალიბებულია, ან ზედმეტად ინფანტილური);
- ◆ გააჩნია კვებასთან დაკავშირებული პრობლემები (ზედმეტს ჭამს, ძალიან ცოტას ჭამს, ან ხშირად აღებინებს);
- ◆ ემოციური ან ფიზიკური განვითარებით ჩამორჩება;
- ◆ აქვს ენურეზი, ან ქვეშ ისვრის;
- ◆ აქვს თვითმავნებლობის თვისება;

ში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. 25/05/2006)

ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შესრულოს ან არ შესრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, მათ შორის, იძულებითი ქორწინება, ანტიასოციალურივ საქმიანობაში ჩაბმა ან/და თანამონაწილეობა, ნიუთიურებათა ავად მოხმარების, მოწყვლების თხოვნის, აგრეთვე ბავშვის ჩართვას შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღ ფიზიკურ და მენტალურ განვითარებას) შეზღუდვას. იძულებად ჩაითვლება ბავშვის შრომის შედეგად მოპოვებული თანხის მთლიანი ან/და ნაწილობრივი მითვისება;

(წყარო: საქართველოს მთავრობის დადგენილება №437- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე. 12/09/2016)

ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

(წყარო: საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. 25/05/2006)

- ◆ აქვს ძილთან დაკავშირებული პრობლემები - აქვს ღამის კომარები და ემინია დასაძინებლად წასვლის;
- ◆ აქვს იპოქონდრია, ისტერიკა, ობსესიები ან ფობიები.

ფსიქიკური ძალადობის ფორმა ყველაზე უფრო რთული გამოსაკვლევია. **ბავშვის ქცევის შეცვლა არ უნდა გამოგეპაროთ. მაგალითად, ცელქი ბავშვი, რომელიც უცებ ხდება აპათიური და მოიწყენს.**

მშობელი ან მეურვე:

- ◆ ბავშვს მუდმივად შეურაცხყოფს, ადანაშაულებს, საყვედურობს;
- ◆ არ აინტერესებს ბავშვის პრობლემები;
- ◆ დაუფარავად ხელს ჰკრავს ბავშვს, ან მას ამჯობინებს მეორე ბავშვს.

ბავშვის მოუფლევლობა

ბავშვისთვის აუცილებელი ემოციების და მატერიალური საჭიროებების მოკლება მშობლისგან ან მეურვისგან; ბავშვი ვერ იღებს სათანადო საკვებს, ტანსაცმელს, საცხოვრებელ პირობებს, სამედიცინო დახმარებას, უსაფრთხოებას.

ძალადობამ, შესაძლოა, მიიღოს შემდეგი ფორმები:

- ◆ **ფიზიკური მოუფლევლობა** - ბავშვისთვის აუცილებელი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა: საკვები, მოვლა, პიგიენა, დასვენება.
- ◆ **საკვების არასრულფასოვნება** - შიმშილი, არასაკმარისი რაოდენობით საკვების მიწოდება. ამის მანქენებელია მცირე წონა, თავის და მუცლის ტკივილი, ცნობიერების დაკარგვა.

უზულებელყოფა - მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება.
(წყარო: საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. 25/05/2008)

- ◆ **ჯანმრთელობის უგულებელყოფა** - არასათანადო ზრუნვა ბავშვის ჯანმრთელობაზე, ან მისი სრული უგულებელყოფა, ექიმების რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა და ბავშვის ავადმყოფობისადმი უყურადღებობა.
- ◆ **განათლების უგულებელყოფა** - ბავშვი არ ასრულებს საშინაო დავალებას, არ არის მზად გაკვეთილებისთვის და, ყველაზე უარესი, არ დადის სკოლაში.
- ◆ **ბავშვის მოუვლელობა** - ბავშვის პრობლემების უგულებელყოფა, ინტერესების და საჭიროებების არცოდნა, ყველაზე უარესი, ბავშვის მიტოვება ან თვითნებურად გაშვება.
- ◆ **ემოციური მოუვლელობა** - ბავშვის ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა: სიყვარულის, სიახლოვის, გრძნობების და ფიზიკური კონტაქტის ნაკლებობა.

რას ნიშნავს ბავშვის მოუვლელობა და რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება?

ბავშვი:

- ◆ ხშირად აცდენს სკოლას და საბავშვო ბაღს;
- ◆ მათხოვრობს, ან მეგობრებს ფულს და საჭმელს ჰპარავს;
- ◆ არ იღებს აუცილებელ სამედიცინო დახმარებას, არ უტარდება აცრები, არ ატარებს სათვალეს (საჭიროების შემთხვევაში) და ა.შ.;
- ◆ ხშირად დაუბანელია და არასასიამოვნო სუნი ასდის;
- ◆ ხშირად აცვია ამინდის შეუსაბამოდ;
- ◆ ამბობს, რომ სახლში არავინ ზრუნავს მასზე.

მშობელი ან მეურვე:

- ◆ არ არის დაინტერესებული ბავშვის ბელით;
- ◆ აპათიურია ან ღრმა დეპრესიაშია;
- ◆ ხშირად არ მოდის შეთანხმებულ შეხვედრაზე;
- ◆ იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკებს.

სექსუალური ძალადობა

ბავშვზე სექსუალური ძალადობა (ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO) განმარტება) - ბავშვის შეუგნებლად და მასთან შეთანხმების გარეშე სექსუალურ აქტივობაში ჩართვა, მისი შესაბამისი განვითარების მიღწევამდე, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობის ნორმებს და საზოგადოების ტრადიციებს. სექსუალურ ძალადობაში იგულისხმება: გაუპატიურება, პედოფილია, ინცესტი.

სექსუალური ძალადობა - სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

(წყარო: საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. 25/05/2006)

სექსუალური ძალადობა - რას უნდა მიეკცეს ყურადღება?

ბავშვი:

- ◆ აელენს ასაკისთვის შეუფერებელ სექსუალურ ქცევებს (აღზნებულობა და ბევრს ლაპარაკობს სექსზე);
- ◆ არის განდევნილი, დეპრესიული, ინფანტილური, გააჩნია თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემა;
- ◆ სხვების თანდასწრებით ტანსაცმლის გამოცვლაზე უარს ამბობს (მაგალითად, ფიზიკულტურის გაკვეთილზე);
- ◆ იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკებს;
- ◆ მკვეთრად დაქვეითებულია მისი აკადემიური მოსწრება;
- ◆ უხმელდება სიარული და ჯდომა, ინტიმური ადგილების ტკივილიდან გამომდინარე;
- ◆ ორსულადაა, ან აქვს ვენერიული დაავადება;
- ◆ იპარება, ან ცდილობს სახლიდან გაპარვას;
- ◆ ტრავმასობს ფულით ან ნივთებით მოულოდნელად დასაჩუქრების გამო.

მშობელი ან მეურვე:

- ◆ ბავშვთან ფიზიკური სიახლოვისას (მაგალითად, თამაშის დროს) არღვევს მიღებულ ნორმებს;
- ◆ იყენებს ალკოჰოლს და ნარკოტიკებს;
- ◆ ოჯახის გარდა არავისთან არ აქვს ურთიერთობა;
- ◆ ზედმეტად მზრუნველია ბავშვის მიმართ და უზღუდავს მას თანატოლებთან ურთიერთობას.

ზემთ ჩამოთვლილი პუნქტების გამოვლინება თავისთავად არ ნიშნავს, რომ ბავშვი მსხვერპლია, იმ შემთხვევაში, თუ ეს ნიშნები ხშირად მეორდება, საქმე გვაქვს ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტთან. ეჭვის გაჩენის შემთხვევაში უნდა არსებობდეს ბავშვის მიმართ მშობლების ან მეურვის ძალადობის დამახასიათებელი სანქციებიც.

ეკატერინე თავართქილაძე

ბავშვთა წარმომადგენელი ბავშვთა მიმართ საქსუალური ძალადობის შესახებ

• რა არის საქსუალური ძალადობა ბავშვზე

განმარტება

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

(საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“)

ბავშვზე სექსუალური ძალადობა მოიცავს: სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნას, სექსუალურ გარყვნას, ეროტიკულ აღერსს, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღებას, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების

დათვალიერების ნებართვას ან ხელშეწყობას, გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას, სასქესო ორგანოების დემონსტრირებას, ღია საუბრებს სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევას (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულებას და სხვა. სექსუალური ძალადობა ბავშვისთვის ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიურ ტრავმად არის აღიარებული.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი!

• მითები და რეალობა სექსუალური ძალადობის შესახებ

მითი. ბავშვები ტყუიან იმის შესახებ, რომ მათ მიმართ ხორციელდება სექსუალური ძალადობა.

რეალობა. ბავშვები იშვიათად ტყუიან იმის შესახებ, რომ მათ მიმართ ხორციელდება ძალადობა. უფრო პირიქით, მათ შეიძლება შეამცირონ ძალადობის ბუნება და ხარისხი, რადგან ემინიათ მოძალადისა და აგრეთვე შიშობენ, რომ მათ ვერ გაუგებენ ან დაადანაშაულებენ.

მითი. ბავშვები თვითონ არიან მაცდუნებლები მოზრდილისა და ბავშვის სექსუალურ ურთიერთობებში.

რეალობა. ბავშვებს, ისევე როგორც ყველა სხვა ცოცხალ არსებას, ახასიათებთ სექსუალური განცდები, მაგრამ მათ ჯერ არ აქვთ ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ თანატოლთა წრის გარეთ სექსუალური გამოცდილების ინიცირება მოახდინონ. მოზრდილ ადამიანებს აქვთ ასეთი ცოდნა და გამოცდილება. ისინი აცნობიერებენ, რომ სექსუალური ქმედებებით ექსპლუატაციას უწყვენ და ზიანს აყენებენ ბავშვს.

მითი. ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობას უმეტესწილად ბავშვისთვის უცხო, უცნობი ადამიანები ახორციელებენ.

რეალობა. ხშირ შემთხვევაში (შემთხვევათა 75-90%) ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას ახორციელებენ ადამიანები, რომლებსაც ბავშვები კარგად იცნობენ და რომლებსაც ენდობიან.

მითი. სექსუალური ძალადობა მხოლოდ ერთხელ ხდება.

რეალობა. ხშირად ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ხანგრძლივად მიმდინარე პროცესია, რომლის დროსაც მოძალადე სარგებლობს ბავშვთან დამყარებული ახლო ურთიერთობით, ბავშვის ნდობით. ხშირად უშუალოდ სექსუალურ ქმედებებში ბავშვის ჩართვას წინ უსწრებს სექსუალური ელფერის ხანგრძლივი “მოსამზადებელი” პერიოდი.

მითი. სექსუალური ძალადობა იწყება პუბერტატულ (მოზარდობის) ასაკში.

რეალობა. სექსუალური ძალადობა შეიძლება განხორციელდეს, როცა ბავშვი ჯერ კიდევ ჩვილობის ასაკშია. სკოლამდელი ასაკის ბავშვები ითვლებიან მაღალი რისკის ჯგუფად. ყველაზე ხშირად ძალადობას განიცდიან 6-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვები.

მითი. ბავშვს აზიანებს მხოლოდ სქესობრივი აქტი.

რეალობა. ბავშვისთვის მატრავმირებელია სექსუალური ძალადობის ნებისმიერი ფორმა. სექსუალური ძალადობით მიყენებული ზიანი ემოციური ბუნებისაა და მომდინარეობს იმედგაცრუების, დაღატის, იზოლაციის, სირცხვილის, შფოთვის და ბავშვობის დაკარგვის განცდებიდან, რომლებსაც ბავშვი გრძნობს და მას მოზრდილ ცხოვრებაშიც გაჰყვება.

• სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოფლენის სიძნელებები

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოფლენა, როგორც წესი, ძალიან რთულია რამდენიმე მიზეზის გამო:

- ბავშვები უხალისოდ ყვებიან ან საერთოდ არ ყვებიან მომხდარის შესახებ, რადგან დამოკიდებულნი არიან მოზრდილ მოძალადეზე ან მისი ეშინიათ; ფიქრობენ, რომ გარემოცველებმა ისედაც ყველაფერი იციან; უხერხულობის და სირცხვილის გრძნობები აწუხებთ; არ ესმით, რომ მათ ზიანი მიაყენეს; ეშინიათ, რომ მათ დასჯიან.
- ოჯახში მომხდარი სექსუალური ძალადობის შემთხვევაში,

მშობლებს ხშირად მიაჩნიათ, რომ ეს ოჯახის საკმა და სხვას არ ეხება.

- არ არსებობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ყველა ბავშვისთვის დამახასიათებელი ერთნაირი ნიშნების ნაკრები, რომელთა გამოვლენით ჩვენ შეიძლება სრული დამაჯერებლობით გვეთქვას, რომ ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ამიტომაც აუცილებელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გავითვალისწინოთ გამოვლენილ ნიშანთა ერთობლიობა.
- ზოგჯერ, როცა ბავშვი მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ ყვება, მოზრდილი ადამიანი არ უჯერებს მას და ეუბნება: “შენ ეს ყველაფერი მოიგონე”. გამოკვლევების თანახმად, ბავშვი იშვიათად “იგონებს” მსგავს ისტორიებს. ამიტომაც იმ მომენტში, როცა ბავშვი მოზრდილს უამბობს რაიმეს განხორციელებული ძალადობის შესახებ, მოზრდილის მხრიდან დაუშვებელია პანიკა, ბავშვის ნათქვამში დაეჭვება, ბავშვის დასჯა.

• მსხვერპლის ამოცნობა - ფიზიკური და ქცევითი ნიშნები; მოზარდთა სარისკო ქცევები

ვინაიდან ბავშვზე სექსუალური ძალადობა ძალის გამოყენებით იშვიათად ხდება, მომხდარის ფიზიკური ნიშნების პოვნა ბავშვის სხეულზე ყოველთვის ვერ ხერხდება. თუმცა, შეიძლება შეიცვალოს ბავშვის ქცევა. ამიტომ, ეჭვის შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს მის ქცევაში ახალი და უჩვეულო მახასიათებლების გაჩენას.

ფიზიკური სიმპტომები, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია იმასთან, თუ რა ფორმით მოხდა სექსობრივი აქტი ან სხვა სახის ძალადობა:

- ორალური სიმპტომები: ეგზემა, დერმატიტი, ჰერპესი სახეზე, ტუჩებზე, პირის ღრუში; ამას გარდა, საკვებზე უარის თქმა (ანორექსია); ჭარბი კეება (ბულიმია);

- ანალური სიმპტომები: დაზიანებები სწორ ნაწლავში, ანუსის შეწითლება, ვარიკოზული ცვლილებები, სფინქტერის შესუსტება, ყაბზობა.
- ვაგინალური სიმპტომები: საქალწულე აპკის დარღვევა, საშოს გაფართოება, ახალი დაზიანებები (ჭრილობები, ნაკაწრები), თანმდევი ინფექციები.

ამას გარდა, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ფიზიკური სიმპტომებია:

- დახეული, დასერილი ან სისხლიანი ქვედა საცვალი;
- ჰემატომები (ჩაღურჯებები) სასქესო ორგანოების მიდამოებში;
- ჰემატომები და ნაკბენები მკერდზე, დუნდულებზე, ფეხებზე, მუცლის ქვედა ნაწილზე, თეძოებზე;
- სისხლდენები, აუხსნელი გამონადენები სასქესო ორგანოებიდან;
- შარდსასქესო გზების განმეორებადი ანთებები;
- ტკივილი მუცელში;
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები;
- ორსულობა (ბავშვის მამის დასახელებაზე უარის თქმის ან არასაკმარისი ფსიქო-სექსუალური განვითარების მქონე გოგონების შემთხვევაში).

გადატანილი სექსუალური ძალადობის ნიშნებს წარმოადგენს სხვადასხვა ცვლილებები ბავშვის ქცევაში.

ცვლილებები ბავშვის სექსუალურობის გამოსატყაში:

- სექსუალური შინაარსის თამაშების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი;
- ასაკისთვის შეუფერებელი ცოდნა სექსუალური ცხოვრების შესახებ;

- გამომწვევი, „მაცდუნებელი“ ქცევა საპირისპირო სქესთან და მოზრდილებთან მიმართებაში; სექსუალური ქმედებები სხვა ბავშვებთან (დაწყებული უმცროსი სასკოლო ასაკიდან);
- უჩვეულო სექსუალური აქტიურობა: უმცროსი ბავშვების სექსუალური გამოყენება; მასტურბაცია (დაწყებული სკოლამდელი ასაკიდან), სასქესო ორგანოების ხახუნი მოზრდილის სხეულზე, პროსტიტუცია.

ცვლილებები ბავშვის ემოციურ მდგომარეობასა და ურთიერთობაში:

- ჩაკეტილობა, იზოლაცია, განმარტობა;
- დეპრესიულობა, მოწყენილი გუნება-განწყობილება;
- ზიზღი, სირცხვილი, ბრალეულობა, უნდობლობა, „გაფუჭებულიობის“ გრძნობა;
- ხშირი ჩაფიქრება, გაუცხოება (გეხვდება ბავშვებთან და მოზარდებთან, დაწყებული სკოლამდელი ასაკიდან);
- ისტერიული ქცევა, თვითკონტროლის სწრაფი დაკარგვა;
- თანატოლებთან ურთიერთობის სიძნელეები, მათთან ურთიერთობისთვის თავის არიდება, მისი ასაკის მეგობრების არყოლა ან უარის თქმა ძველ მეგობრებთან ურთიერთობაზე;
- ძმების და დებისგან გაუცხოება;
- უმცროსების და თანატოლი ბავშვების ტერორიზება;
- სისასტიკე სათამაშოების მიმართ (მცირეწლოვან ბავშვებთან);
- ამბივალენტური გრძნობები მოზრდილების მიმართ (დაწყებული უმცროსი სასკოლო ასაკიდან).

ბავშვის პიროვნების და მოტივაციის ცვლილებები, სოციალური ნიშნები:

- თავის დაცვის, ძალადობისთვის წინააღმდეგობის გაწვევის უუნარობა, შემეუბნელობა;

- სასკოლო მოსწრების მკვეთრი ცვლილება (უარესობისკენ ან გაცილებით უკეთესობისკენ);
- სკოლის გაცდენები, სწავლაზე უარის თქმა ან თავის არიდება;
- მშობლის როლის საკუთარ თავზე აღება ოჯახში (საკვების დამზადება, რეცხვა, დალაგება, უმცროსების მოვლა და მათი აღზრდა);
- მისი ოჯახის ტრადიციების უარყოფა სოციალური როლების და მასში საკუთარი როლის ჩამოუყალიბებლობის გამო, სახლიდან წასვლის ჩათვლით (დამახასიათებელია მოზარდებისთვის).

ბავშვის თვითცნობიერების შეცვლა:

- თვითშეფასების მკვეთრი დაქვეითება;
- აზრები თვითმკვლევლობაზე, თვითმკვლევლობის მცდელობები.

ნეგროტული და ფსიქოსომატური სიმპტომების გაჩენა:

- რომელიმე ადამიანთან ერთად შენობაში მარტო დარჩენის შიში;
- ტანსაცმლის გახდის შიში (მაგალითად, შეიძლება კატეგორიული უარი თქვას ფიზიკულტურის გაკვეთილებზე მეცადინეობებში მონაწილეობაზე, ცურვაზე, ბანაობაზე, ან ქვედა საცვლის გახდაზე სამედიცინო დათვალიერების დროს).
- თავის ტკივილი, ტკივილები კუჭის და გულის არეში.

აღნიშნული გამოვლინებები საფრთხის სიგნალებად უნდა მივიჩნიოთ და მათი შემწევა სპეციალისტთან დაუყოვნებლივ მიმართვის საბაბი უნდა იყოს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ერთი ცალკე აღებულნი ნიშანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გავაკეთოთ დასკვნა სექსუალური ძალადობის შესახებ.

• ვინ შეიძლება იყოს მოძალადე?

არსებობს უამრავი მცდარი შეხედულება მოძალადის შესახებ.

- ითვლება, რომ მოძალადე შეიძლება იყოს მხოლოდ მამაკაცი. თუმცა, სტატისტიკის მიხედვით, ბავშვებზე მოძალადეთა 2%-ს ქალები შეადგენენ. სპეციალისტთა აზრით, მათი რაოდენობა რეალურად მეტია, ვინაიდან ამ შემთხვევების გამოვლენა უფრო ძნელია იმ მიზეზის გამო, რომ ტრადიციულად, ბუნებრივად აღიქმება ბავშვის გვერდით ქალის ყოფნა და ქალი-მოძალადისთვის უფრო იოლია იმის დამალვა, რაც ხდება.

- მეორე, მიხნეულია, რომ მოძალადეები ხანდახმული ადამიანები არიან. თუმცა, ჩვეულებრივ, ეს ადამიანები 40 წელზე ნაკლები ასაკისანი არიან, მათი 50% მოძალადედ ყალიბდება 30 წლის ასაკში.

- არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვზე სექსუალური ძალადობის განხორციელება შეუძლია მხოლოდ ფსიქიკურად ავადმყოფ ადამიანს. თუმცა, მოძალადეთა მხოლოდ 5%-ს აღენიშნება ფსიქიკური აშლილობები ან ქცევითი და ემოციური დარღვევები. ამასთან, მოძალადეთა დაახლოებით 1/3-ს აქვს დამოკიდებულების სინდრომი (ალკოჰოლიზმი ან ნარკომანია) და მათგან მხოლოდ 1/3-მა განახორციელა ძალადობა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრელის მდგომარეობაში.

- ბევრს ჰგონია, რომ ბავშვზე სექსუალურად მოძალადეები უფრო ხშირად მისთვის უცნობი ადამიანები არიან. ცნობილია, რომ ძალადობის შემთხვევათა მხოლოდ 10 – 25 % ხორციელდება უცნობი ადამიანების მიერ.

მოზრდილთა ქცევები, რომლებიც, შესაძლოა, ძალადობაზე მიუთითებდნენ:

პირადი სივრცე

- სხვებს უხერხულობაში აგდებს / არღვევს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ საზღვრებს
- ბავშვს არ აძლევს თავისუფლებას და განუწყვეტილად ამცირებს მას

- ხშირად შედის ბავშვების გასახდელში / სააბაზანოში

ბავშვებთან ურთიერთობა

- ბავშვთან ზედმეტი სიახლოვე
- ბავშვებთან საიდუმლო ურთიერთობები (მაგ. თამაშები, აღკოპოლის თუ ნარკოტიკების გაზიარება, პორნოგრაფიის გაზიარება)
- ითხოვს ბავშვებთან მარტო დარჩენას
- ზედმეტად კეთილი ჩანს - ბავშვებს ხშირად იტოვებს, ჩუქნის მათ საჩუქრებს, აძლევს მათ ფულს - მაშინ, როცა ამის არავითარი მიზეზი არ არსებობს
- მოზარდებს ზედმეტ თავისუფლებას აძლევს.

სექსუალური ქცევა და საუბარი

- ხშირად მიუთითებს სექსუალურ გამოსახულებებზე და ყვება გარყვნილ ანეკდოტებს
- ზედმეტადაა დაინტერესებული ბავშვის სხეულის ცვლილებებით.

• როგორ მოვიქცეთ და ვის მივმართოთ? - ინტერვენციის დაგეგმვის ნაბიჯები

ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს შეიძლება გაუჩნდეთ ეჭვი, რომ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, როცა:

- ბავშვი ამბობს ამის შესახებ;
- მშობელი ამბობს ამის შესახებ;
- მშობელი აღნიშნავს სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ სიმპტომებს;
- ბავშვს აქვს შესაბამისი ფიზიკური და ქცევითი ნიშნები;
- ბავშვის დაცვის სამსახურები ან პოლიცია გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია;
- სხვა სპეციალისტი გამოთქვამს ეჭვს, რომ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია.

რეკომენდაციები პროფესიონალთათვის

- გაიარეთ კონსულტაცია სხვა სპეციალისტებთან, რომელთაც ბავშვზე სექსუალური ძალადობის საკითხებში გამოცდილება აქვთ;
- აღწერეთ თქვენი ეჭვები და შეაფასეთ ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა;
- ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მიმართეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს/პოლიციას 48 საათის განმავლობაში;

განსოვლეთ:

- ბავშვის უსაფრთხოება მთავარია;
- შეძლებისდაგვარად შეინარჩუნეთ ობიექტურობა;
- „ეჭვი“ არ არის „დასკვნა / დიაგნოზი“, ეს არის საწყისი წერტილი იმისთვის, რომ მეტი დაინახო;
- გაუზიარეთ ინფორმაცია შესაბამის პირებს;
- სექსუალური ძალადობის დიაგნოსტირება „ფაზლივითა“ - სწორი დიაგნოსტირებისთვის ბევრი სხვადასხვანაირი დეტალია საჭირო და შეიძლება თქვენ „ფაზლის“ მხოლოდ ერთი ფრაგმენტი გქონდეთ ხელთ;
- ბავშვს მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად გაესაუბრეთ. თქვენი ეჭვები და აზრები გაუზიარეთ მშობლებს, თუ, რა თქმა უნდა, ამგვარი ქმედება ბავშვს საფრთხეს არ შეუქმნის;
- ოჯახში ბავშვის დაბრუნება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მას საფრთხეს არ შეუქმნის.

მიმართვა

- როდესაც არსებობს ეჭვი, რომ ბავშვი არის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები ვალდებული არიან, მიმართონ ბავშვთა დაცვის (სოციალური მომსახურების სააგენტო) და/ან სამართალდამცავ ორგანოებს;

- თუ მიმართვას ტელეფონით განახორციელებთ, მოახდინეთ მიმართვის წერილობითი დადასტურება უახლოესი 48 საათის განმავლობაში. წერილობითი მიმართვა უნდა დადასტურდეს ერთი სამუშაო დღის განმავლობაში. თუ სამი სამუშაო დღის განმავლობაში მიმართვას რეაგირება არ მოჰყვა, მიმართვა კიდევ ერთხელ უნდა განმეორდეს;
- როგორც წესი, უმჯობესია მიმართვის გაკეთებამდე ამის შესახებ მშობლებთან გასაუბრება, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის ბავშვს.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა სისხლის სამართლებრივი დანაშაულია. ბავშვთა დაცვის სამსახურს და პოლიციას აქვს ის ძალაუფლება, რაც აუცილებელია ბავშვის დასაცავად.

ბიბლიოგრაფია

1. ავტორთა ჯგუფი: ე. თავართქილაძე და სხვები, „ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები“, საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, 2011
2. Perry, B.D. (2000). Traumatized children: How childhood trauma influences brain development
3. Finkelhor D. A (1986). Sourcebook on child sexual abuse..London, Sage
4. Greenwald, R. (2005). Child Trauma Handbook.

ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია, დავალებაი ჰელპერებისთვის

ბავშვთა უფლებების დასაცავად და ძალადობისგან ბავშვების დაცვის მიზნით საქართველოში შემუშავდა ბავშვთა დაცვის რეფერირების ეროვნული სისტემა. ამ სისტემაში ჩართულია:

- ◆ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურები,
- ◆ სოციალური მომსახურების სააგენტო,
- ◆ სკოლები,
- ◆ ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები (ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები, ბავშვთა სახლები, დღის ცენტრები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები),
- ◆ სამედიცინო დაწესებულებები და სოფლის ექიმები.

საპატრულო პოლიციისა და საუბნო სამსახურების უფლებამოსილება ამ პროცედურების ფარგლებში არის ბავშვზე ძალადობის ფაქტების გამოვლენა, აღკვეთა, შესაბამისი სამართალდარღვევა, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, სააგენტოს ინფორმირება. საუბნო სამსახურები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულნი არიან ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე ზედამხედველობის პროცესში.

სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილება ამ პროცედურების ფარგლებში არის ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის შეფასება, შემთხვევის მართვა, კონსულტირება, საჭირო მომსახურებებში ბავშვის განთავსება და ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

ბავშვთა დაცვის მიმართობის (რეფერირების) სისტემა საქართველოში მოიცავს:

- ◆ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას;
- ◆ ბავშვის მდგომარეობის შეფასებას;
- ◆ საჭიროების შემთხვევაში ბავშვის განთავსებას მომსახურებაში ან მომსახურებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებას და რეაბილიტაციას;
- ◆ შემთხვევაზე ზედამხედველობას.

სკოლების და ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებების უფლებამოსილება ამ პროცედურების ფარგლებში არის ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენისას ადგილზე შემთხვევის გაანალიზება და საჭიროების მიხედვით პოლიციისა თუ სააგენტოს ინფორმირება; აგრეთვე, სააგენტოსთან თანამშრომლობით ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

სამედიცინო დაწესებულებების და სოფლის ექიმების უფლებამოსილება ამ პროცედურების ფარგლებში არის ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენისას ადგილზე შემთხვევის გაანალიზება და საჭიროების მიხედვით პოლიციისა თუ სააგენტოს **ინფორმირება**.

ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა

1. ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა **ევალება** ყველა დაწესებულებას, რომელიც ურთიერთობს ბავშვთან, მათ შორის სკოლას, სამედიცინო დაწესებულებას, სოფლის ექიმს, ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებას, სააგენტოს, საუბნო სამსახურსა თუ საპატრულო პოლიციას.
2. სკოლების, სამედიცინო და ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებების ადმინისტრაცია და სოფლის ექიმები **ვალდებული არიან**, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ადგილზე მოახდინონ ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი მდგომარეობისა და ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და აწარმოონ შემთხვევის მართვა რეფერირების პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში.

სკოლა, საბავშვო ბაღი და ბავა-ბაღი წარმოადგენს აღმზრდელობით სისტემას, რომელიც ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებებს ახორციელებს:

- ◆ მონიტორინგი ანუ ბავშვზე დაკვირვება;
- ◆ პროფილაქტიკა ანუ ძალადობის პრევენციული ქმედება;
- ◆ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ძალადობის ეჭვი;

◆ სამაგალითო სწორი საქციელის ჩვენება.

რაც შეეხება მასწავლებელს, მან არ უნდა ჩაუტაროს ძალადობის მსხვერპლ ბავშვს ფსიქოლოგიური თერაპია, მისი ძირითადი ამოცანა მდგომარეობს ბავშვის მხარდაჭერაში, ხოლო ბავშვს ფსიქოლოგიური თერაპიული დახმარება უნდა გაუწიოს ფსიქოლოგმა ან ფსიქიატრმა.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი, რომ ბავშვი არის ტრავმირებული, სკოლის, საბავშვო ბაღის და ბავშვბაღის თანამშრომლები იწყებენ აღნიშნულ ბავშვზე დაკვირვებას. დაკვირვება მოიცავს ბავშვის ქმედებების აღწერას თანატოლებთან, უფროსებთან ურთიერთობისას, მის ემოციურ ფონს, განცდებს და საქციელის ცვლილებებს. დაკვირვების შემდეგი კატეგორიაა მშობლებზე დაკვირვება. მოძალადე მშობლებს არ სურთ მასწავლებლებთან თანამშრომლობა, მათ ხშირად აღიზიანებთ სკოლა, ბავშვბაღი, საბავშვო ბაღი და იქ მომუშავე პერსონალი.

დაკვირვების ჩასატარებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ბუკლეტის ბოლოს თანდართული ანკეტა. ბავშვზე ან მშობელზე დაკვირვებისას, თუ გამოიკვეთა ეჭვი ძალადობის შესახებ, უნდა მოხდეს იტერვენცია, მაგალითად, საუბარი ბავშვთან და/ან მშობელთან.

ბავშვზე ძალადობის ეჭვის წყარო შეიძლება იყოს ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგან ერთ-ერთი:

ა) ბავშვზე სხეულის დაზიანებების ნიშნების არსებობა (სილურჯეები, ახალი ჭრილობები, ახალი ნაკაწრები, ახალი იარები, გაძნელებული სიარული, შეშუპებული სხეულის ნაწილები, მოტეხილობები);
ბ) ბავშვის საეჭვო ქცევა (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სკოლაში სიარული, არარეგულარულად დადის სკოლაში, არ სწავლობს, მოუვლელია, არ უნდა სახლში დაბრუნება, ასაკის შეუფერებლად სექსუალურია, აქვს სექსის შესახებ ასაკისთვის შეუფერებელი ცოდნა, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი, ვერ ხსნის ტრავმის მიზეზებს).

ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებები აწარმოებენ გამოკითხვას, რათა დადგინდეს, საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ეჭვი.

(წყარო: საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 - ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე 12/09/2016. დანართი 2)

ძალადობაზე ეჭვი ითვლება საფუძვლიანად შემდეგ შემთხვევებში:

- ა) ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებულნი გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
- ბ) ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებულნი გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
- გ) ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებულნი გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: **მშობლის არაადეკვატური ქცევა**, როგორცაა:
 - ◆ ბავშვის ტრავმის სიმძიმე არ შეესაბამება ტრავმის მიღების შესახებ მშობლის მონათხრობს;
 - ◆ მშობლის მონათხრობის დეტალები მუდმივად იცვლება;
 - ◆ მშობელი არაადეკვატურად რეაგირებს ბავშვის ტრავმაზე - ტრავმას აფასებს უფრო მსუბუქად, ვიდრე არის;
 - ◆ ტრავმის მიზეზის ახსნა არ ხდება;
 - ◆ ბავშვის საეჭვო ქცევის არსებობისას წარმოებულნი გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
 - ◆ ბავშვის საეჭვო ქცევის არსებობისას წარმოებულნი გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
 - ◆ ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
 - ◆ მოწმის განცხადება, რომ ის შეესწრო ძალადობის ფაქტს.

როგორ წარვართოთ ბავშვთან საუბარი ძალადობის შესახებ?

ბავშვთან ძალადობაზე საუბარი შეიძლება ორ შემთხვევაში:

1. თუ თვითონ გამოთქვამს საუბრის სურვილს;
2. ეჭვის შემთხვევაში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია საუბრის დაწყება, რათა დადგინდეს, აქვს თუ არა ადგილი ოჯახში ძალადობას.

საუბრისას შეგვიძლია განვახორციელოთ შემდეგი:

- ◆ ბავშვისთვის ემოციური მხარდაჭერის გაწევა;
- ◆ ინფორმაციის შეგროვება, რომელიც შესაძლოა, გახდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ან მეურვეობის შეწყვეტის საფუძველი;
- ◆ ბავშვისთვის კონკრეტული დახმარების შეთავაზება (მისი გაგზავნა შესაბამის ინსტიტუციებში ან პირებთან, რომლებსაც შეუძლიათ მხარდაჭერის გაწევა და ა.შ.).

ბავშვთან ძალადობის შესახებ საუბრის ეტაპები:

1. **შექმნილია საუბრის წარმართვისთვის შესაბამისი პირობები.** შეუძლებელია საუბრის წარმართვა ხალხმრავალ, ხმაურიან ადგილას, ასევე სხვა საქმეების პარალელურად. სასაუბრო ადგილი უნდა იყოს მყუდრო და ქმნიდეს დაცულობის ატმოსფეროს. ბავშვი უკეთ იგრძნობს თავს, თუ სასაუბრო ადგილს თავად აირჩევს. არ იქნება ურიგო, თუ თან გექნებათ ხელსახოცები და რაიმე დასაღვები, მაგალითად, წყალი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსაუბრეებს არაფერმა შეუშალოს ხელი, სასურველია, მათ შორის არ იდგეს საწერი მაგიდა.

საუბარი უნდა წარიმართოს უსაფრთხო ატმოსფეროში, ამიტომაც მნიშვნელოვანია საუბრის დაწყება რაიმე ნეიტრალური თემით, რომელიც არ შეეხება ძალადობას, მაგრამ მნიშვნელოვანია ბავშვისთვის. ამასთან დაკავშირებით, დეტალურად უნდა გაანალიზდეს ბავშვის ძლიერი მხარეები, პოტენციური და ნიჭი.

საუბრის დაწყება შეგიძლიათ ბავშვის შექცევით კარგი ნიშნების ან რაიმე ჯილდოსთვის და ამის შემდეგ უკვე შეიძლება საუბარი ძირითად თემაზე. მნიშვნელოვანია ბავშვს აგრძნობინოთ, რომ მას უსმენენ. ამით შესაძლებელია ბავშვის ნდობის მოპოვება და ის გაიხსნება. ბავშვთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბების შემდეგ (როცა ჩავთვლით, რომ ის სიამოვნებით პასუხობს შეკითხვებს, და ჩანს, რომ მისი სხეული არ არის დაძაბული) შეგიძლია ნელ-ნელა გადავიდეთ კითხვების დასმაზე ჩვენი ძირითადი მიზნის ირგვლივ. ბავშვთან მის წარმატებაზე საუბრისას, შეგიძლიათ ჰკითხოთ მშობლების რეაქციის შესახებ „რა რეაქცია ჰქონდა მშობელს, როცა გაიგო, რომ მოიგე მატჩი?“ ბავშვის პასუხი ან პასუხის გაუცემლობა იძლევა საუბრის შემდგომი გაგრძელების საფუძველს.

2. კონცენტრაცია ბავშვთან საუბარზე:

- ◆ მოუსმინეთ ბავშვს (რადგან მეორედ, შესაძლოა, მან აღარ გაიმეოროს);
- ◆ დაამყარეთ მზერიითი კონტაქტი;
- ◆ ყურადღება გამოიჩინეთ ბავშვის გრძნობების არავერბალურ გამოხატულებაზე (აშლილობა, შებოჭილობა, უხერხულობა, სირცხვილი, დარდი);
- ◆ ყურადღება გამოიჩინეთ ბავშვის გრძნობების მიმართ, საუბრისას შეგიძლია გამოიყენოთ ფრაზები:
 - ვხედავ, რომ გერიდება და ეს ბუნებრივია;
 - ხალხს ხშირად რცხვენია თავს გადახდენილი ამბების გაქვლანების;
 - არ მოგერიდოს ტირილის, ეს შეგიმსუბუქებს ტკივილს;
- ◆ არ ჩაეხუტოთ და არ შეეხოთ ბავშვს (თუ თავად არ მოგთხოვთ ამას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება „ჩაიკეცოს“);
- ◆ თავი შეიკავეთ ზედმეტი ემოციების გამჟღავნებისგან - ზედმეტმა ექსპრესიამ, შესაძლოა, ბავშვი დააფრთხოს.

3. **დაარწმუნეთ ბავშვი, რომ მისი გჯერათ.** არ შეეკითხოთ, მართლა მოხდა თუ არა?

4. **არ დაიწყეთ შეკითხვა სიტყვით „რატომ“?** რამეთუ ამან შეიძლება დანაშაულის გრძობა გამოიწვიოს ბავშვში. თუ ხედავთ, რომ ბავშვი ვერ მიხვდა შეკითხვის არსს, კითხვა გაიმეორეთ სხვა სიტყვების გამოყენებით. აუხსენით, რომ მას აქვს უფლება, ვერ გაიგოს კითხვა; პატივი ეცით მის უფლებას, თუ არ უნდა, ნუ უპასუხებს შეკითხვას.

5. **საუბრის დროს ეცადეთ, გამოავლინოთ ძირითადი მომენტები (ბავშვის მზადყოფნიდან გამომდინარე):**

- ◆ შემთხვევის აღგილი,
- ◆ შეძლებისდაგვარად, შემთხვევის დეტალური აღწერა და განმეორებადობა,
- ◆ გარკვევით, აღნიშნული შემთხვევის დროს სად იმყოფებოდნენ ოჯახის დანარჩენი წევრები და თუ არიან მოწმეები.

6. **ძალადობის შესახებ საუბრის დროს ბავშვმა მასწავლებლისგან უნდა:**

იგრძნოს თანაგრძობობა, მხარდაჭერა და გაუჩნდეს უფროსების მიმართ ნდობა. პედაგოგმა უნდა აუხსნას, რომ ძალადობა მიუღებელია და არავის აქვს ძალადობის უფლება. საუბრის დროს უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის ბრალი არაა, რაც მას გადახდა თავს; ყვირილზე, ცემაზე და „ცუდად შეხებაზე“ სრულიად პასუხისმგებელია უფროსი; ბავშვი არ არის დამნაშავე, რომ საუბრობს ამ საკითხზე; ძალიან ბევრი ბავშვი ანალოგიურ მდგომარეობაშია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვინმეს მოუყვეს ამის შესახებ; ის მარტო არ არის და მისთვის დახმარების გაწევა შესაძლებელია.

არ გააკრიტიკოთ მოძალადე მშობელი, უფროსი. ბავშვებისთვის დახმარების მიზნით შეგიძლიათ საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდება. საუბრის დროს, აუცილებლად უნდა მოამზადოთ ბავშვი ოჯახში შესაძლო ცვლილებებისთვის, რადგან ოჯახში ძალადობას ჰქონდა ადგილი.

**ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში
ძალადობის საკითხები**
სამართლებრივი ნაწილი

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის განმარტება/ ცნება საერთაშორისო სამართლებრივ აქტებსა და საქართველოს კანონმდებლობაში

გაეროს კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 18 დეკემბრის რეზოლუცია 34/180. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს), განმარტავს, რომ

- ◆ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი **ქალის დისკრიმინაცია ნიშნავს** სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამოიწვევას ან შეზღუდვას, რომელმაც შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ან რომლის მიზანია ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა.
- ◆ „მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის **ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ** ყველა საკითხში, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ:

- ა) ქორწინებისას ერთნაირ უფლებებს;
- ბ) მეუღლის თავისუფლად არჩევისა და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებებს;
- გ) ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს ერთნაირ უფლებებსა და მოვალეობებს;
- დ) მშობლების თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, მათი ოჯახური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, შეიღებთან დაკავშირებულ

საკითხებში, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში შვილების ინტერესები უპირატესია;

ე) შვილების რაოდენობისა და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხის თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადაწყვეტის თანაბარ უფლებებს. აგრეთვე, ამ უფლებებით სარგებლობისათვის საჭირო ინფორმაციისა და განათლების მიღების შესაძლებლობას;

ვ) მეურვეობასთან, მზრუნველობასთან, წარმომადგენლობასთან და შვილებთან ან ანალოგიური ფუნქციების შესრულებასთან მიმართებაში თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, როცა ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს;

ზ) მეუღლეთა თანაბარ პირად უფლებებს, მათ შორის გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევასთან მიმართებაში;

თ) მეუღლეთა ქონების მფლობელობის, შექმნის, მართვის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარ უფლებას.“ (მუხლი 16)

ზოგადი რეკომენდაცია № 19. ქალთა მიმართ ძალადობა. (მიღებულია: 1992 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-11 სხდომაზე) **განმარტავს**, რომ

- ◆ **„გენდერული ძალადობა** მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა შესაძლებლობას, თანასწორობის პრინციპების შესაბამისად, კაცების მსგავსად სრულად ისარგებლონ ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით.“
- ◆ „ჩვეულებებზე დამყარებული ზოგადი მიდგომა, რომ ქალები კაცებზე არიან დამოკიდებულნი და რომ საზოგადოებაში მათი სტატუსი სტერეოტიპულ როლებს ემყარება, ხელს უწყობს ძალადობრივი და იძულებითი ხასიათის პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რის გამოც ქალთა წინააღმდეგ ხორციელდება ძალადობა ოჯახში და ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ხელყოფა, როგორცაა იძულებითი ქორწინება, ფემიციდი ქორწინებაში, თავდასხმები, მკავის გამოყენებით და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიზრება,“ გამყარებულია შეხედულებები ქალების მეორეხარისხოვანი და დამოკიდებული როლის შესახებ, აღინიშნება პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების წარმომადგენლობის დეფიციტი.

- ◆ პორნოგრაფიის პროპაგანდა, ქალების წარმოჩენა სექსუალურ ობიექტებად, ტრეფიკინგი, იძულებითი პროსტიტუცია, სიღარიბე, უმუშევრობა, განვითარებულ ქვეყნებში შინამოსამსახურებად დასაქმება, სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილებზე, იძულებითი სტერილიზაცია და აბორტი - ამ და მსგავსი ძალადობრივი ქმედებების გამოყენებით ზიანი ადგება ქალთა ფიზიკურ და მენტალურ ხელშეუხებლობას და მნიშვნელოვნად აფერხებს ან სრულიად გამორიცხვს ქალთა მიერ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას.
- ◆ **„ოჯახში ძალადობა ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე დაფარულ ფორმას განეკუთვნება.** ძალადობის ეს ფორმა ყველა საზოგადოებაში არსებობს. ოჯახურ ურთიერთობებში ყველა ასაკის ქალების მიმართ ხორციელდება სხვადასხვა სახის ძალადობა, მათ შორის, ცემა, გაუპატიურება და სხვა ფორმის სექსუალური ხელყოფა, ფსიქოლოგიური და სხვა ფორმის ძალადობა, რომელიც ჩვეულებებზე დაფუძნებული მიდგომების შედეგად ხორციელდება. ეკონომიკური დამოკიდებულება ბევრ ქალს აიძულებს განაგრძოს ძალადობაზე დამყარებული ურთიერთობა. მამაკაცების მიერ ოჯახში ქალთა უფლება-მოვალეობების დაკნინება ძალადობისა და იძულების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. ძალადობის ასეთი ფორმები ქალთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის და აფერხებს თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, ოჯახურ და სამოქალაქო ცხოვრებაში ევექტური მონაწილეობის შესაძლებლობას.“ (პუნქტი 23)

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია, 2011წ. / საქართველოში ძალაშია 2017 წლის 1 სექტემბრიდან) განმარტავს, რომ

„ქალთა მიმართ ძალადობა“ აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს

ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში;

„ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.

„ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით“ გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე; როგორცაა:

ფიზიკური ძალადობა; იძულებითი ქორწინება; ფსიქოლოგიური ძალადობა; ადევნება; სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება; იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია; სექსუალური შევიწროვება.

გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის (26/03/2010) თანახმად,

- ◆ საოჯახო ურთიერთობებში, ქორწინებისა და განქორწინების დროს ქალი და მამაკაცი სარგებლობენ თანასწორი პირადი და ქონებრივი უფლებებით, მათ შორის, გვარის, პროფესიონა და საქმიანობის არჩევის უფლებით, და ეკისრებათ თანასწორი მოვალეობები. საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით დისკრიმინაცია ან უპირატესობის მინიჭება.
- ◆ ოჯახში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლება აქვთ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხები.

- ◆ შეიღების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად, ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. გარანტირებული და უზრუნველყოფილია მეუღლეთა მიერ საქმიანობისა და შეიღების აღზრდის თანასწორი შესაძლებლობები.
- ◆ ოჯახში მეუღლეთა მიერ გაწეულ შრომასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები თანასწორია.
- ◆ მეუღლეებს აქვთ ქონების ფლობის, შექენის, მართვის, გამოყენებისა და განკარგვის თანასწორი უფლება.
- ◆ მეუღლეებს თანასწორი უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ დასვენებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

(**მუხლი 10.** გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საოჯახო ურთიერთობებში).

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი (25.05.2006) გვაძლევს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის დეფინიციას. კანონის თანახმად,

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უფლებებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

კანონის მიზნებისთვის ქალად მიიჩნევა 18 წელს მიუღწეველი მდედრობითი სქესის არასრულწლოვანიც.

ძალადობის ფორმები:

ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებებია, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების **უზუღებელყოფა** – მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, **თუკი** მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე;

ვისზე ვრცელდება კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“?

კანონი ვრცელდება ოჯახის წევრებზე, რომლებიც ამ კანონის მიზნებისთვის არიან:

- დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიძღვენი პირები, რომლებიც მუდმივად ეწვეიან ან ეწვოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

ვინ არის მსხვერპლი/ მსხვერპლის სტატუსი

მსხვერპლი შეიძლება იყოს ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულბელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა:

- ◆ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა,
- ◆ სასამართლო ორგანომ ან/და
- ◆ საგამოძიებო ორგანომ,
- ◆ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა- მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსი მოქმედებს მინიჭებიდან 18 თვის განმავლობაში.

- ◆ მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულებელყოფილია და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა.
- ◆ მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომელიც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს სხვა პასუხისმგებელ პირთან ან ნებისმიერ სხვა პირთან, რომელმაც დაარღვია მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით, და რომელიც მოძალადისგან სოციალურმა მუშაკმა განაცალკევა.
- ◆ მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა;

რას ითვალისწინებს კანონი მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად?

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს **შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი**.

შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი გამოიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული **რისკების შეფასების** კითხვარის საფუძველზე.

განმეორებითი ძალადობის რისკის სიმძიმე შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი, რომლის განსაზღვრა ხდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებული კითხვებისთვის მინიჭებული ქულების საფუძველზე.

მაღალი რისკი სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ ერთი დადებითი პასუხი ფიქსირდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ ისეთ კითხვაზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 5 ქულა;

საშუალო რისკი სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ ერთი დადებითი პასუხი ფიქსირდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ ისეთ კითხვებზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 3 ქულა;

დაბალი რისკი სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ დადებითი პასუხი ფიქსირდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ მხოლოდ ისეთ კითხვებზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 1 ქულა.

როცა სახეზეა განმეორებითი ძალადობის მაღალი ან საშუალო რისკი, ორდერი გამოიცემა 1 თვის ვადით, ხოლო როცა სახეზეა დაბალი რისკი, ორდერი შეიძლება გამოცემული იქნეს უფრო მცირე ვადითაც.

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. დამცავი ორდერი გამოიცემა **9 თვემდე** ვადით (ძალაშია 2020 წლის 1 სექტემბრიდან). მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში და დამატებით არა უმეტეს 3 თვით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

ელექტრონული ზედამხედველობა მოძალადეზე

2020 წლის 1 სექტემბრიდან ძალაშია კანონში შესული ცვლილება, რომლის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას, თუ არსებობს ძალადობის გამეორების რეალური საფრთხე, პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს შეუძლია მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების განხორციელების უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული წესით მოძალადის მიმართ დააწესოს **ელექტრონული ზედამხედველობა**. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების მიზნით მოძალადისთვის გადაცემული ელექტრონული საშუალება შედგება ელექტრონული სამა-

ჯურისა და მიმღები აპარატისგან. ამ ელექტრონული საშუალების დახიანება ან განადგურება იწვევს მოძალადისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია, იურიდიული და სამედიცინო დახმარება და დაცვა ხორციელდება თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში.

კრიზისული ცენტრი არის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას. კრიზისულ ცენტრში პირის და მასზე დამოკიდებული პირების განთავსება შესაძლებელია მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე და ამ სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, თუ მსხვერპლი არ გამოთქვამს საცხოვრებლად მისი თავშესაფარში განთავსების სურვილს და საჭიროებს მხოლოდ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას თავშესაფარში ცხოვრების გარეშე;

კრიზისული ცენტრი იქმნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე. არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ შექმნილი კრიზისული ცენტრი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.

თავშესაფარი არის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე არსებული მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას და დაცვას;

თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა გაგრძელდება თავშესაფრის წეს-

დებით (შინაგანაწესით) დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსხვერპლს არ სურს ზემოაღნიშნულ პერიოდზე მეტი ხნით იქ დარჩენა. თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე.

ვინ უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას?

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე კანონით დადგენილი წესით – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი. **ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების, არასრულწლოვანთა შემთხვევაში – აგრეთვე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.**

ოჯახში ძალადობა და არასრულწლოვნები. საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა პასუხისმგებლობა

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში სპაციალური თავის ეძღვნება ოჯახში ძალადობისაგან არასრულწლოვნის დაცვის სპეციფიკურ ღონისძიებებს (თავი IV)

კანონის მუხლი 14 -ის თანახმად, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებით დამტკიცდა „**ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები**“.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობა, რეფერირების პროცედურების კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა მოიცავს:

- ა) ძალადობის მსხვერპლი ბავშვის **გამოვლენას**;
- ბ) ბავშვის მდგომარეობის **შეფასებას**;
- გ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების **ინფორმირებას**;
- დ) საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის **განცალკევებასა და განთავსებას** ბავშვთა სათანადო სპეციალიზებულ დაწესებულებაში/თავშესაფარში/ მინდობით აღზრდაში, რომელიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებასა და რეაბილიტაციას;
- ე) ძალადობის შემთხვევაზე **ზედამხედველობას**.

რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტები არიან:

- ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი დანაყოფები (შემდგომში - პოლიცია);
- ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დაწესებულებები და ამ სამინისტროთა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული/მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები;
- გ) საქართველოს პროკურატურა;
- დ) სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

ე) საბავშვო ბაღები;

ე) სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში - მანდატურის სამსახური);

ზ) საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები;

თ) ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები და თავშესაფრები;

ი) სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები);

კ) ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამგეობა/მერია.

ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ევალება ყველა ზემო-ჩამოთვლილ დაწესებულებასა და ორგანოს, რომელსაც შეხება აქვს ბავშვებთან ან/და მათ ოჯახებთან ან იმ გარემოსთან, სადაც ბავშვი იმყოფება.

საგანმანათლებლო დაწესებულებების უფლებამოსილებები ბავშვთა დაცვის (რეფერირების) მექანიზმში

საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 (2016 წლის 12 სექტემბერი)

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ გამსაზღვრავს, რომ

- ◆ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, **უფლებამოსილი არიან**, რეფერირების პროცედურების ფარგლებში, სამინისტროს სისტემაში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში **ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის** შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზონ შემთხვევა და **საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში**, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება. **(მუხლი 5. რეფერირების პროცედურებაში ჩართული სუბიექტები და მათი უფლებამოსილებანი. პუნქტი 7.)**
- ◆ საბავშვო ბაღები, საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, მანდატურის სამსახური, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები, თავშესაფრები, მათი კომპეტენციის ფარ-

გლებში, უფლებამოსილი არიან, რეფერირების პროცედურების ფარგლებში ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზონ შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში უზრუნველყონ სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება. ამ პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტები ვალდებული არიან, სააგენტოსთან თანამშრომლობით აწარმოონ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა, მათი კომპეტენციის ფარგლებში. **(მუხლი 5. რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტები და მათი უფლებამოსილებანი. პუნქტი 10.)**

- საგანმანათლებლო დაწესებულების, სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების/საბავშვო ბაღის/ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულების უფლებამოსილი თანამშრომლები, დაწესებულების შიდა ინსტრუქციის შესაბამისად, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გაესაუბრებიან სავარაუდო მსხვერპლ ბავშვსა და მოწმეებს და მოახდენენ შემთხვევის გაანალიზებას, ხოლო საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას უზრუნველყვენ პოლიციისა და სააგენტოს ინფორმირებას. სააგენტოს ინფორმირება ხდება ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათის (იხილეთ დანართი) ან/და სამინისტროს „ცხელი ხაზის“ მეშვეობით. **(მუხლი 7. ბავშვზე ძალადობის შემთხვევის/გამოძახების ადგილზე შეფასება. პუნქტი 5.)**

ბავშვზე სავარაუდოდ განხორციელებულ ძალადობაზე შესაძლოა მიუთითებდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე ფაქტორი:

ა) **ბავშვზე სხეულის დაზიანების ნიშნების არსებობა** (სხვადასხვა ფერის სილურჯეები, სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები და ნაკაწრები, იარები, გაძნელებული სიარული, სხეულის შეშუპებული ნაწილები, მოტყეხილობები, დამწვრობის კვალი, კოპები და სხვა სახის დაზიანებები);

ბ) **ბავშვი იქცევა საეჭვოდ** (ბავშვი აღვზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სახლში დაბრუნება, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი და სხვ.);

გ) **ბავშვი არ დადის ან/და არარეგულარულად დადის** საგანმანათლებლო ან/და სკოლისგარეშე სახელწოდებულ ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) ბავშვი არ არის რეგისტრირებული ან ბავშვს არ აქვს დაბადების მოწმობა, აგრეთვე არ არის პედიატრის/ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ;

ე) **ბავშვი მოუვლელია**, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფიზიკურ განვითარებაში, ბავშვს აქვს მოუწესრიგებელი გარეგნული იერ-სახე – უსუფთაო სახე და სხეული, აცვია ჭუჭყიანი ან/და სეზონისთვის შეუფერებელი ტანსაცმელი, იკვებება საჭმლის ნარჩენებით;

ვ) **ასაკის შეუფერებლად დროს** ატარებს უმეთვალყურეოდ, საცხოვრებელი გარემო შეიცავს საფრთხეებს ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის, ცხოვრობს ბავშვთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად;

ზ) **ჩართულია ისეთ შრომით საქმიანობაში**, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღი ფიზიკური და მენტალური განვითარების) შეზღუდვას;

თ) **ბავშვი გამოყენებულია და ჩაბმულია** მისი ასაკისათვის შეუფერებელ სამუშაოში ან/და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში (ითხოვს მოწყალეობას/მათხვერობს, არაგონიერულად დიდ დროს ატარებს ქუჩაში);

ი) **ბავშვი ხშირად გადაადგილდება უცხო პირთან/პირებთან** ერთად ნათესავის ან ახლობლის გარეშე ან იმყოფება უცხო პირების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ან/და უწევს მათ მომსახურებას;

კ) **ბავშვის სათამაშოები, საწოლი, ტანსაცმელი** ან სხვა ნივთები აღმოჩენილია შეუფერებელ ადგილებში (მათ შორის, ქარხანა ან/და სხვ.), ადამიანთ ვაჭრობისათვის (ტრეფიკინგისათვის) რისკის შემცველ დაწესებულებებში;

ლ) **ნებისმიერი სხვა ფაქტორი**, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს ბავშვზე ძალადობაზე

ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირები აწარმოებენ ფაქტის შესწავლას, რათა დადგინდეს, **საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ეჭვი.**

საფუძვლიანი ეჭვი შესაძლებელია წარმოიშვას, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები:

ა) ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

ბ) ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზების ახსნის შეუძლებლობა;

გ) მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევა, როგორცაა:

დ.ა) ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობთან;

დ.ბ) ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ სხვადასხვა პირთა მონათხრობებს შორის;

დ.გ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობის დეტალების მუდმივი ცვლილება;

დ.დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური რეაგირება ბავშვის ტრავმაზე;

დ.ე) ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზის აუხსნელობა;

ე) სხვა გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით ქმნის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა.

რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტები, მათ შორის სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები, სადაც ბავშვი რეგისტრირებულია ამბულატორიული სერვისის მისაღებად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან

ა) სააგენტოსთან შეთანხმებით, თვალყური ადევნონ ბავშვის მდგომარეობას და რეგულარულად მიაწოდონ სააგენტოს სოციალურ

მუშაკს წერილობითი ანგარიში ბავშვის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. ანგარიში უნდა მოიცავდეს:

ა.ა) ბავშვის საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას;

ა.ბ) ბავშვის აკადემიურ მოსწრებას;

ა.გ) ბავშვის ქცევებზე ჩანაწერებს;

ა.დ) ბავშვის ჯანმრთელობის, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას;

ა.ე) მონაცემებს სხვა აქტივობებში ჩართვის შესახებ;

ბ) მიაწოდოს ინფორმაცია პოლიციას მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის შესახებ, თუ გამოწერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერები და საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელფონებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, საბავშვო ბაღი ან ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულება გახდა მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის მოწმე.

ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

◆ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

მუხლი 1726.

ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს შესაბამისი ფიზიკური პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან 100 ლარამდე ოდენობით, შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) დაჯარიმებას 100 ლარიდან 200 ლარამდე ოდენობით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2020 წლის 14 ივლისი №01-81/6 ბრძანებით** დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა.

აღნიშნული ფორმის გამოყენება მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ **ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობისას.**

საოლაზში, საავფო ბაღაზში, ბაგა-ბაღაზში მომუშავე აღზრდელაზის ბიჭური ზაცლოზაზი, ბავფვის მიმართ ძალადობის ეფვის ზამთხვაზაზი

ძალადობის შეუმწნელოზა:

- ◆ უცდის, როცა მოსწავლე ან მობოელი თვითონ მიმართავს მას;
- ◆ როცა დარწმუნებულია, რომ აგრესიული მოსწავლე არ არის ძალადობის მსხვერპლი;
- ◆ როცა თვლის, რომ ოჯახში არსებული რთული ფინანსური, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული მდგომარეობა ბავშვების მიმართ ძალადობის „გამართლებაა“;
- ◆ ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან ერთად მალავს ძალადობის ფაქტს
- ◆ მიიწნევს, რომ ოჯახში ძალადობის და ბავშვზე ძალადობის ფაქტი მხოლოდ ოჯახის საქმეა და არ შეიძლება ჩარევა.

შეუსაბამო ან უშედეგო დახმარება:

- ◆ მოკლე საუბარს წარმართავს და არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით სათანადო ინსტიტუციებს არ აწოდებს ინფორმაციას;
- ◆ მიიწნევს, რომ პრობლემა არ იარსებებს იმ შემთხვევაში, თუ მობოლები „გააცნობიერებენ“ პრობლემის არსს;
- ◆ რეაგირებს მხოლოდ ძალადობის მსხვერპლზე და არა მოძალადეზე;
- ◆ უწევს მოკლევადიან დახმარებას;
- ◆ არ ატარებს ოჯახში არსებული სიტუაციის მონიტორინგს;
- ◆ არასწორად წარმართავს საუბარს: ადანაშაულებს, არ უსმენს.

ძალადობის არარსებობის დადასტურება:

- ◆ ძალადობის ფაქტის დადასტურება მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით;
- ◆ ოჯახური კონფლიქტის დროს მანიპულირების გავლენის ქვეშ მოხვედრა.

რადიოს ბულინგი

მნიშვნელობა არ აქვს, რას დაგეუბახებ მე მას ახლა: ბულინგს, ჩაგვრას, ძალადობას თუ რაიმე სხვა სინონიმს გამოვივიტონებ. ფაქტი ისაა, რომ დიდი ბოროტებაა და დღეს საყოველთაოდ გავრცელებული. სულ ვეკითხები ჩემს თავს, იყო თუ არა ბულინგი ჩემს დროს, ჩემს სკოლაში, ჩემს კლასში და ვიგონებ იმ ბავშვების სახეებს, რომლებიც რაღაც ნიშნის გამო თავს დაჩაგრულად გრძნობდნენ, ვისხენებ მათ უმწეო, დახმარების მომლოდინე თვალებს და ჩემს თავზე ვბრაზდები, რომ ხშირ შემთხვევაში მე არ ვიყავი მათი თანამგრძობი, ვერ ან არ ვამჩნევდი, როცა მასწავლებელი იყო ბულერი, როცა ჩემი მეგობარი ჩაგრადა და ბოლოს, როცა მეც ვჩაგრავდი. გამოდის, რომ ნებისმიერი ჩვენგანი, ერთხელ მაინც, მსხვერპლიც იყო და მჩაგვრელიც.

საბჭოთა სკოლას ბულინგთან ანგარიშსწორების თავისებური სისტემა ჰქონდა: ყველა არასასურველი ფაქტის გასაიდუმლოება. დაფარული ისტორიები, მიჩქმალული ამბები, დამალული ბოროტება და ძალადობის შემთხვევები სკოლის 100%-იანი მოსწორების და ბედნიერი ბავშვობის გარანტია იყო.

გაიფლის დრო და მე დავიწყებ გაცნობიერებას, რომ რაღაც ისე არ არის, როგორც საჭიროა, მაგრამ არ მეყოფა გამოცდილება და სითამამე, რომ წინ აღვუდგე ამ ყველაფერს და ცალკეული „ავეთქებით“ ვკმაყოფილდები, თან მიხარია, რომ გაჩერებული არ ვარ. ეს სკოლის წლების მოგონებებია.

მე არც ჩემი დღიურის ნაწილს განდობთ და არც აღსარებას გეუბნებით, უბრალოდ ემოციის დონეზე განცდისთვის ყველა ჩვენგანმა შეუღამაზებლად უნდა გავისხენოთ წარსული. სხვანაირად არაფერი გამოვა. უნდა გავისხენოთ, რომ ჩვენს უკან დარჩენილი ჩვენივე თანაკლასელები, თაობას მოწვევტილი ზვაფი, ახლა შეიკრა, აგორდა და იმ აგრესიას დაუპირისპირდა, რომელსაც მთელი 10-11 წლის მანძილზე განიცდიდა, ცრემლებთან ერთად ყლაპავდა და ღამის სიბნელეში თვალგახელილი წერდა საკუთარი უძწეობის ისტორიას.

როგორც აღვნიშნე, დიდი ხნის განმავლობაში, ჩვენ თითქმის არ ვსაუბრობდით ბავშვების მიერ ერთმანეთის ჩაგვრაზე. არა მხოლოდ იმიტომ, რომ პრობლემა არ იკვეთებოდა, ჩვენც არ ვიცოდით მის შესახებ. მშობლები და მასწავლებლები საქმეში ერთგებოდნენ მხოლოდ მაშინ, როცა სიტუაცია ფიზიკურ ძალადობამდე მიდიოდა. ვიცით, რომ ბუღინგი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. მაგ. ფსიქოლოგიურ ძალადობას კარგა ხნის მანძილზე არ აღიარებდნენ და ირონიით აღნიშნავდნენ: „მერე რა, თუ ბავშვები იცინიან თავიანთ თანაკლასელებზე?“ „მერე რა, თუ არ ელაპარაკებიან?“

მწარე შემთხვევებიც მახსოვს, როგორ განვუდექით ჩემს თანაკლასელებს მთელი კლასი, როცა მასწავლებლისაგან დაჩაგრული, მშობლებთან ერთად სამართლიანობას ითხოვდა, როგორ უარყვავით მასწავლებლის დანაშაული და როგორ ჩვეულებრივად გავაგრძელებთ ცხოვრება იმ ჩვენს თანაკლასელებთან ერთად.

ზრდასრულებმა, სერიოზულად, ახლა დაიწყეს ფიქრი, რა მორალურ ტანჯვას განიცდიდა მსხვერპლი ბავშვი, რა ღრმა იყო ეს ტრავმა, როგორ მოქმედებდა ის სამომავლოდ მის ბედზე.

მახსოვს ერთ-ერთი ტრენინგის დროს, რომელიც ბუღინგს ეხებოდა, ერთ მონაწილეს ცრემლი მოერია და მითხრა, რომ ახლა აცნობიერებს, როგორი მწაგვრელი ყოფილა და დაგვიანებულ ბოდიშს უხდის მისი თანაკლასელის სულს. რატომღაც მოინდომა, რომ მოეყოლა. ისტორია გასათვალისწინებელია და ამიტომ აქაც მომაქვს.

ყველაფერი კი, ასე დაიწყო: სიმაღლის გამო აითვალწუნეს თანაკლასელი და სიცოცხლე გაუმწარეს. დაცინვა, ირონიული დამოკიდებულება, თავზე წათაქება, პანდურები და მუჯღღუგუნები, მალე ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდა. თითქოს ყველა ბავშვი საკუთარი მუშტის ძალას მასზე ცდიდა. უხმო ტანჯვა, მოგონილი გამძლეობა და ფარული ცრემლი აგრესიაში გადაუვიდა და ანგარიშსწორებას შეეცადა. კლასი მის წინააღმდეგ გაერთიანდა. მასწავლებლებმა გაიკვირვეს: „როგორ წავიდა ხელიდან და ტუტეც ბავშვებს აჰყვა ეს ჭკვიანი ბიჭი?“ მშობლებმა სხვა სკოლაში გადაყვანა მოინდომეს. თანაკლასელები ბულერთა ჯგუფი იმ სკოლაში მივიდა, იქაურ ბიჭებს დაელაპარაკნენ და აუხსნეს, რა „ჩმორი“ უნდა გადასულიყო მათთან. რასაკვირველია, განწყობა ახალ კლასელებსაც,

უნახავად, გადაედოთ და დაიწყო იგივე, ოღონდ ახალ გარემოში. გარედან წინააღმდეგობას, შინაგანი დაემატა. ბავშვი მე-7 კლასში იყო, ასაკში, როცა ყველა ორგანო იზრდება სხეულში, იცვლება ყველაფერი და სხვა მოცემულობაში გადადის. შინა და გარე ტურბულენტური ზონები მის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა: „როგორ შეიცვალე“, „რა კარგი იყავი“, „ყველას დასაციინი გახდი“, „არ გრცხვენია?“ და რცხვენოდა, როგორ არა, ოღონდ საკუთარი უმწუბობის.

გავიდა დრო. დაასრულეს სკოლა და წლების შემდეგ საერთო მეგობრის ქელეხზე შეხვდნენ კლასელები ერთმანეთს. მაშინ, უკვე, ყველა მათგანს დავიწყებული ჰქონდა ეს ამბები და ბავშვობისდროინდელი მეგობრობის სისარული ჭარბობდა შეხვედრისას. ერთად ყოფნით ისიამოვნეს, საუკეთესო ამბები მოიგონეს, იცინეს კიდევ და ყოფილმა მსხვერპლმა ყველა მათგანი სახლებში ჩამოარიგა. მათ შორის ჩვენი მოხრობელი დაიტოვა ყველაზე ბოლოს და სადარბაზოსთან, გაჩერებული მანქანიდან თითქმის გადასული, უკან მოაბრუნა. კითხვა, რომელიც მან დასვა, ყველას ეხებოდა, მაგრამ მან, რატომღაც, ეს ერთი ამოირჩია ადრესატად. „შენ როგორ გგონია, ბიჭებს ახსოვთ ის ამბები, როგორ მჩაგრავდნენ, სკოლის პერიოდში?“ და მან დაუფარავად მოუყვა იმ გრძნობების შესახებ, რასაც 20 წლის წინ განიცდიდა კლასელებისა და საკუთარი თავის მიმართ, როგორი დადღასმული იყო ამის გამო; როგორ ეძებდა სამართალს, მაგრამ სად, არც მან იცოდა; როგორ გახდა ამის გამო ცნობილი ადვოკატი; როგორ ახსოვდა ეს ყველაფერი მთელი ცხოვრება, რამაც გულის დაავადება გამოიწვია, რომელიც რთული ოპერაციით დასრულდა. დიდხანს ისაუბრეს ბიჭებმა, ბევრი თბილი სიტყვაც თქვეს მწარე მოგონებებთან ერთად და კიდევ რამდენიმე წლით დაშორდნენ ერთმანეთს.

მე, ისევე, როგორც იმ დღის ტრენინგის მონაწილეებს, ეს ამბავი სულ მახსოვდა. კინოფირის სიზუსტით ვალაგებდი კადრებს, როცა ჩვენი მოხრობელის ტრენინგზე გამოხატულ ემოციებს ვისხენებდი. არ გამოძრჩენია და რამდენიმე წლის შემდეგ, როცა შემხვდა, მისი კლასელი ჩაგრული ბიჭიც მოვიკითხე. გარდაიცვალაო, მითხრა, გულით... უეცრად...

ეს ჩვენთვისაა: „გულით... უეცრად...“ თორემ მის სამარესთან მისვლას 20 წლიანი, და იქნებ მეტიც, ჯოჯოხეთი დასჭირდა. ჩემმა ნაცნობმა მომიყვა, როგორ ავიდნენ კლასელები მის საფლავზე და როგორ უნდოდათ შესანდობარი დაელიათ. უნდოდათ...

„ყველა მათგანი გავაჩერე, ჩვენი უკანასკნელი საუბარი მოვუყევი და ვთქვი, რომ ის ჩვენ მოვკალით, ზოგიერთმა მოქმედებითა და ზოგმა უმოქმედობით. ახლა გაბედეთ და შესანდობარიც შესვით, თუ მაგარი ბიჭები ხართ! ვთქვი ჩემი სათქმელი და წამოვედიო“, ჩემმა ნაცნობმა.

გულისმომკვლელი ისტორიაა. ამაზე უფრო მძაფრებიც მასსოვს, რომელიც კლასელობითა და ბავშვობისდროინდელი მეგობრობის ნიღბით იფარებოდა... ახლაც იფარება.

არ გამოვიცხავთ, რომ თანატოლებს შორის, ურთიერთობისას, ხშირია წახუმრება, გამოჯავრება, დაცინვა, ჩხუბი, სხვადასხვაგვარი კონფლიქტი. ყველა ეს შემთხვევა ბუღინგად ვერ ჩაითვლება, მაგრამ თუ ეს პროცესი არ გაკონტროლდა, შესაძლოა უვნებელი ხუმრობები ბუღინგში გადაიზარდოს. ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ რეაგირებს ბავშვი დაცინვასა და აგრესიაზე, სხვა ბავშვების მხრიდან. თუ ბავშვს არ სიამოვნებს ე.წ. სახუმარო მიმართვები, მეტსახელები და ვერც იუმორს უღებს აღდოს, სჯობს მასთან, ამ ტიპის ურთიერთობა, აღარ გაეაგრძელოთ. გამონაკლისებიც არიან, რომლებიც თავადაც ხუმრობენ და სხვისგანაც იღებენ შეხუმრებულ დამოკიდებულებას.

ჩაგვრა ბუღინგის სინონიმად იხმარება. როგორც აღვნიშნეთ, ბუღინგი განმეორებითი ძალადობაა. იგი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლის, ძალადობის, აგრესიის ხანგრძლივი გამოხატულება, ჯგუფური, სოციალური მოვლენაა და ყოველთვის მიმართულია ერთი ამოწმებულ ობიექტისკენ.

ჩვეულებრივ ტერმინი „ბუღინგი“ მოსწავლეებში ჩაგვრაზე მიუთითებს. თუმ-

ბუღინგის განმარტება სხვადასხვა ლიტერატურაში სხვადასხვანაირად უღერს, მაგრამ ზოგად განმარტებაზე ყველა თანხმდება: ბუღინგი ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, აგრესიული ქცევა ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან, მეორე ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში. ზუსტი ქართული შესატყვისი ამ ინგლისურ ტერმინს არ მოეპოვება. ის დაცინვას, აბუჩად აგდებას, გამასხარავებას ნიშნავს.

ცა არის შემთხვევები მასწავლებლების მიერ მოსწავლეების და ზოგჯერ კი მასწავლებლების ჩაგვრის მოსწავლეების მხრიდან.

იშვიათად ვიყენებთ, მაგრამ სპეციალისტთა წრეში მუშაობს ტერმინები: ფსიქოლოგიური პრესინგი, ბულინგი(სულიგანი მოძალადე), მობინგი(მოძალადე ბრბო), ბოსინგი (თვითნებური მბრძანებელი), ხშირია ე.წ. სალონური ბულინგის შემთხვევებიც.

ყველა ფორმის ძალადობა, და მათ შორის ბულინგიც, განსხვავებული დაზარალებით იწყება. პოტენციური მსხვერპლის ირგვლი არსებული ვიწრო სოციალურ გარემოში ცდილობს მაქსიმალურად ცუდი თვისებები მიაწეროს მიზანში ამოღებულ ადამიანს, დასცინოს, იმასხარაოს მასზე, მის ღირებულებებზე, სოციალურ მდგომარეობაზე, ასაკზე, სქესზე, მრწამსზე და ა.შ. რას დააბრალებს და რას გაახვიადებს ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკრეტულ გარემოში რა ღირებულებებია, რა ფასეულობებია მიღებული. მაგ. „დედიკოს ბიჭი“, ამ შემთხვევაში, ქალურ მახასიათებლებზე აქცენტირება, „კარგად მუშაობს“ 10-15 წლის მოზარდებში და ზევითაც; „დამსმენის“ სტატუსი 14-16 წლის მოზარდების საქილიკო თემაა და ა.შ. ამ სტერეოტიპური ხედვით იწყება მისი იზოლაცია და აქედანვე განწირულია ჩაგვრისთვის.

ბულინგის დიაგნოსტიკა გამოუცდელ ადამიანს გაუჭირდება, რადგან მოძალადე მოზარდები ოსტატურად ნიღბავენ თავიანთ ქმედებას. თუ მათ შენიშვნას მისცემენ, თანაკლასელის ჩაგვრის თაობაზე, ის თავგამოდებით ამტკიცებს, რომ „თამაშობენ“, „ეს მხოლოდ თამაშია, ჰკითხეთ, თვითონაც დაადასტურებს“, „ყველას ასე ვეთამაშებით“, „მას არ სწყინს“, „ის ჩვენი მეგობარია...“ ასეთი ფრაზები უკვე ყურადღებამისაქცევია. უცნაურია, რომ ბულერს, ამ შემთხვევაში, მსხვერპლიც ისე დამაჯერებლად ეთანხმება, რომ ყველა კითხვის ნიშანი ქრება და უფროსები ყურადღებას აღუნებენ.

რატომ დუმს მსხვერპლი? ბავშვი, რომელიც თანატოლების მხრიდან მუდმივ ძალადობას განიცდის, უფროსის უფროსებთან გულახდილობას, რადგან ამას, შესაძლოა, კიდევ უფრო მიიმე შედეგი მოჰყვეს. მსხვერპლი ცდილობს, იყოს შეუმჩნეველი. საშიშროების შემთხვევაში შეტევას ან თავის დაცვას კი არ მიმართავს, ფრთხილად, ტირის, საცოდავი და უბედური ჩანს.

უარყოფითები მრავლად ვიცით, მაგრამ რა შეიძლება დადებითი იყოს იმაში, რომ ბუღინგი არსებობდა, არსებობს და იარსებებს?

სპეციალისტები მიიხევენ, რომ ბუღინგი ნორმალური მოვლენაა. ის ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება, საჭიროც კი არის ბავშვის ერთგვარი გაძლიერებისათვის. თუმცა ამ დებულებას ჰყავს მოწინააღმდეგეები, რომლებიც არაძალადობრივ გარემოს არჩევენ ბავშვის აღზრდისა და ადაპტაციისათვის. ისინი მიიხევენ რომ ბავშვთან საჭიროა მუშაობა თავდაჯერების, თვითდარწმუნებულობის, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის და სხვა საჭირო უნარებზე; რაც თავის მხრივ, თუ დასჭირდა, ძალიან ძლიერი და ეფექტური იარაღია მხაგრეულთან ურთიერთობისთვის. ამ უნარების შესაძენად კი აუცილებელი არ არის სახიფათო გარემო იყოს მათ ირგვლივ, ის სხვა, ნაკლებადსახიფათო ტიპის გარემოშიც გამოიმუშავდება, სხვადასხვა მექანიზმების დახმარებით.

რა სახის ბუღინგი არსებობს?

განასხვავებენ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ და კიბერბუღინგს.

პირველი ვლინდება ცემის, ჩქმეტის, წართმევის, ჩხუბის სახით. მას არ აქვს ერთჯერადი სახე, მაგრამ თავისუფლად შეიძლება ერთჯერადი აქტიდან წარმოიშვას. ასევე შეიძლება მისი განვითარება კონფლიქტიდან, ან სრულიად უმიზეზოდ მოხდეს. ფიზიკური ბუღინგი, შეიძლება, ფატალური სახითაც დასრულდეს.

ფსიქოლოგიური ბუღინგის დროს ბავშვები იცინიან მსხვერპლზე, შეურაცხყოფელ მეტსახელებს არქმევენ ერთმანეთს, ავრცელებენ სხვადასხვა ჭორებს, ზოგჯერ წყვეტენ ურთიერთობას, ერთმანეთს აღარ ელაპარაკებიან. ჩავგრის ეს სახე, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო სჩანს და თითქოს დიდი ზიანის მიყენებაზეც არაა ორიენტირებული, მაგრამ არსებითი ის არის, რომ ხშირია, შეუჩნეველი და იგივე დაზიანებები მოაქვს, როგორც ჩავგრის სხვა ტიპებს.

ეკონომიკური ბუღინგი დაშინების სახით ვლინდება ფულის, გაჯეტების ან ნივთების გამოძალვისას. უმწვეო მდგომარეობით სარგებ-

ლობა და თანატოლისთვის შეუძლებელის დავალება განსაკუთრებით საშიშს ხდის მჩაგვრელს. იგი თავის „საქმიანობაში“ დაუნდობელი ხდება და მეტი აგრესიის გამოვლინებით ცდილობს დაამინოს მსხვერპლი.

სექსუალური ძალადობა ხდება მაშინ, როდესაც ბავშვი გამოიყენება სექსუალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს ასევე მოიცავს ბავშვის წინაშე სასქესო ორგანოების და ღუნდულების ექსპოზიციას. ბოლო დროს ძალიან გახშირდა და ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა სექსუალური და კიბერაგრესიის მიქსმა. ბავშვები უხამსი ფოტოების ტირაჟირებით ცდილობენ იძალადონ ერთმანეთზე და რაც შეიძლება მეტი მასალა გაავრცელონ ინტერნეტსივრცეში.

კიბერაგრესიას, განსხვავებით ტრადიციული ბულინგისაგან, ფსიქოლოგიური ძალადობის კიდევ უფრო მეტი გამოხატვის საშუალება აქვს: შანტაჟი, სხვადასხვა ტექნოლოგიების საშუალებით ღირსების შემლახავი კადრებისა და სოციალურ ქსელებში სურათების გამოქვეყნება და სხვ. ანონიმურობის დაცულობა ზრდის გამოხატვის რაოდენობას იმ ადრესატებზე, ვინც არ მოგწონს, თვალში არ მოგდის. თანაც ეს დამამცირებელი მოპყრობა მთელი ჯგუფისთვის დასანახი ხდება და ემოციური ზიანი მით უფრო მაღალია, რაც მეტია წვერთა რაოდენობა.

უკიდურესად მძიმე ფორმის ბულინგი შესაძლოა დასრულდეს სუიციდით. ბოლო ხანს მოზარდთა თვითმკვლელობის მოტივად ხშირად ასახელებენ თანატოლების მიერ მიყენებულ ფსიქოლოგიურ ტრავმებს.

306 ხლაბა/შიიძლაბა გახლას ჩაპვრის მსხპარაღლი

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი მოსწავლე, თუნდაც ის, რომელიც ნებისმიერი ჯგუფის ზეწოლას უძლებს; თუმცა მათ შორის ისეთებიცაა, ვინც უჩვეულოდ ჩაცმულია ან „უცნაურად“ იქცევა; ვინც(ბიჭებიც, გოგონებიც), დაუდევარი და ზარმაცია, რომელთაც არ შეუძლიათ ბრძოლა, ან ძალიან მგრძობიარე ბავშვები არიან.

პოტენციური მსხვერპლი შეიძლება უბრალოდ, ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად განხდეს მსხვერპლის სტატუსით. იგი, შეიძლება, თვალში არ მოუვიდეს რომელიმე მოზარდს, რომელიც თანამოაზრეთა შემოკრებას შეძლებს, თავისი უპირატესობის დამტკიცებას შეეცდება და იწყებს ჩაგვრას. ბავშვი-მსხვერპლი შესაძლოა სხვებისაგან მკვეთრად გამოირჩეული იყოს. მაგალითად, სხვებზე გაცილებით დაბალი ან მაღალი, მსუქანი ან გამხდარი, ღარიბი ან მდიდარი, წყნარი, ჭკვიანი... ან არც არაფრით იყოს გამოირჩეული;

ბულინგის მსხვერპლები ყველაზე ხშირად ის ბავშვები არიან, რომლებიც გარკვეულწილად განსხვავდებიან სხვებისგან: მოკრძალებულად ჩაცმულები, ან გამორჩეული აკადემიური მოსწრებით, ან რომლებსაც არ აქვთ ძვირადღირებული მობილურები, კომპიუტერები, ან უმცირესობის წარმომადგენლები. ზოგადად, მსხვერპლები არიან ბავშვები, რომლებიც ვერ აღუდგებიან და წინააღმდეგობას ვერ უწევენ აგრესიას, რადგან ეშინიათ; ზოგი მათგანი არ იცავს თავს, რადგან მშობლების მხრიდან, ბავშვობიდან, ის დამოკიდებულება აქვთ, რომ „ჩხუბი ცუდი“, „არ შეიძლება“. აგრესორს ხშირად იზიდავს რთული, მარტოხელა, უნდობლობის მქონე, ფლეგმატიკი ბავშვები თავისი ხასიათის ტიპებით.

მცდარია დღესდღეობით მიღებული აზრი, რომ ე.წ. მსხვერპლები დისფუნქციური ოჯახების შვილები არიან. მსხვერპლები, როგორც ბულერები, ნებისმიერი ტიპისა და სოციალური მდგომარეობის ოჯახების წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ, სადაც ბავშვებს არასათანადოდ ეპყრობიან, არასაკმარისად აქვთ ყურადღება და უფროსების სიყვარული.

ბულინგის გამოწვევი მიზეზები

ძალიან ხშირად მშობლებს, მასწავლებლებს, ბავშვებს აწუხებთ კითხვა, როდის ჩნდება ბულინგი? რა არის მისი მაპროვოცირებელი? რა გარემოში ყალიბდება და რა მიზეზებით? თუ მოკლედ აღვნიშნავთ, ჩაგვრის დაწყების მიზეზებია: ბულერებმა შეიქმნან/დაიცვან ავტორიტეტი, მიიღონ რაიმე მოგება ან უბრალოდ გაერთონ.

მოზარდები სხვადასხვა მიზეზებით ავლენენ აგრესიას. ზოგჯერ ამის საფუძველი ისაა, რომ ბავშვი თავს დაუცველად გრძნობს. იმის

დაზავება, ვინც ემოციურად ან ფიზიკურად უფრო სუსტია, ბავშვს კონტროლის ან უპირატესობის შეგრძობას ანიჭებს; ფიქრობს, რომ თავად უფრო მნიშვნელოვანი და უფრო პოპულარულია. ზოგ შემთხვევაში, ბავშვები სხვებს ამცირებენ, რადგან უბრალოდ არ იციან, რომ ასეთი ქცევა მიუღებელია და არ შეიძლება სხვისი დაცინვა თუ გამოჩენვა გარეგნობის, შეხედულებების თუ რწმენის მიხედვით.

ხშირად, ბულინგის განვითარებას ხელს უწყობს ოჯახში აღზრდა: მშობლებს შორის კონფლიქტი, ერთმანეთის მიმართ უპატივცემულობა, ბავშვის უფლებების შეზღუდვა, დაშინება. ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობამ შეიძლება გაამძაფროს მისი სურვილი, რომ სხვებზე დომინირებდეს საკუთარი სახლის გარეთ. სხვების დამცირების ან შეურაცხყოფის სურვილი არასრულფასოვნების გრძნობისგან მოდის: სახლში, ბავშვი ვერ ეწინააღმდეგება მშობლებს, რომლებიც მას სცემენ და/ან ეჩხუბებიან, მაგრამ სკოლაში, თანატოლებს შორის, მას შეუძლია ამის გაკეთება.

ცნობილია, რომ ზოგიერთ ბავშვს არ მოსწონს ის, ვინც მათგან განსხვავდება. ნებისმიერ კლასში, საშუალო უმრავლესობაა ისეთი, ვინც მიმსგავსებულები არიან ერთმანეთს ერთნაირად საუბრობენ, ერთი და იგივე თემა აინტერესებთ, ერთნაირად იცვამენ, თითქმის ერთნაირად სწავლობენ; და ყველა, ვინც განსხვავდება ამ „საშუალოდან“, რისკის ქვეშ და საფრთხეშია. განსხვავებები შეიძლება იყოს გარეგანი სიმაღლე, ჭარბი წონა, ფართე ყურები, გრძელი ცხვირი; ფიზიკური დეფექტები სტრაბიზმი(სივლმე), კურდღლის ტუჩი, სახის უჩვეულო მოყვანილობა, სიმაღლის ნაკლებობა ან გადაამეტება და სხვ. ასევე გარკვეული დაავადება, პიგიური პირობების დაუცველობა, რაიმე ნიშნით გამოჩენილობა და ა.შ. ბულინგის მიზეზი შეიძლება იყოს კანის ფერის, წარმომავლობის, რელიგიური და სხვა ნიშნით მიკუთვნებულობა გარკვეულ ჯგუფს.

ბულინგის მიზეზებს შორის არის აგრეთვე პუბერტატული ასაკი. ამ პერიოდიდან ყალიბდება მორალი და იკვეთება სოციალური შტრიხები. სიმწიფის განცდა აიძულებს მოზარდს თავის დამკვიდრებაზე იფიქროს: დაუმორჩილებლობა იპყრობს, საკუთარ ნორმებს წერს, ყურადღებას აქცევს გარეგნობას და ა.შ. სოციუმში, სადაც ბავშვებს ყურადღება აკლიათ უფროსებისაგან, მტრუ-

ლი დამოკიდებულება მყარდება გარემომცველი სამყაროს მიმართ. ასაკობრივი განსაცდელი რთულად მიმდინარეობს მოზარდებში. სისხლში ჰორმონალური ცვლილებების დროს იზრდება ტესტოსტერონი და ადრენალინი. ეს იწვევს აგრესიის ზრდას და ჩნდება მიდრეკილება სადიზმისკენ.

ბუღინგის რისკის ქვეშ, მსხვერპლის სტატუსით არიან ბავშვები, რომლებიც არ დადიოდნენ საბავშვო ბაღებში, იშვიათად ატარებდნენ დროს თანატოლებთან, ბავშვების ჯგუფებში, არიან ინდივიდუალურად განათლებული. მათთვის უფრო რთულია ჯანსაღი ურთიერთობების დამყარება სასკოლო გარემოში. აქედან გამომდინარე, მიზეზთა შორის, შეიძლება, სოციალიზაციის ნაკლებობაც დასახელდეს.

საინტერესოა ვითარების გაანალიზება იმ გადასახედიდან, რომ ადამიანთა უმეტესობა სკოლას მიიჩნევს ბუღინგის გავრცელების არეალად.

აუცილებლად უნდა აღენიშნოთ, ბუღინგი მხოლოდ სკოლაში არ არის და იმდენად გაახალგაზრდავდა, რომ ბალის ასაკის ბავშვებში იჩენს უკვე თავს და საკმაოდ კარგად დაგეგმილი სქემით.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა (ISC – INSPIRE შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად; გვ.14; 2019 წელი) ბუღინგის გავრცელების ფართო ასაკობრივი არეალის დამადასტურებელია. ბუღინგი 4-5 წლის ბალის ასაკის ბავშვებში გვხვდება და 18 წლამდე და ზევითაც ადის.



მაგალითისთვის: 3 წლის საბას, დედა: სადამოობით, საბას, ზღაპრებს ვუყვები ხოლმე. ამ ზღაპრებში საბა პრინცია და მთელ რიგ თავგადასავლებს ეძებს. საბას მოსწონს ეს. ერთ სადამოს კი წინააღმდეგობა გამიწვია და მოხრა, რომ მე პრინცი კი არა, პრინცესა ვარო.

დედამ დააზუსტებინა, თუ რატომ შეიძლებოდა ამის დაშვება. საბამ ტირილით აუხსნა, რომ დათუნამ თქვა ასე. როდესაც დათუნას ვინაობა მოიკითხეს, აღმოჩნდა რომ იგი საბას ჯგუფელია, ბაღში. ბავშვები კერძო ბაღის აღსაზრდელები არიან.

დიაგნოსტიკებისათვის, საყურადღებოა იმ ფაქტის დასახელებაც, რომ საბა, ამ ბაღში ახალი გადასულია. გადასვლის დროს მას ტესტირებით შეუმოწმეს IQ (ცალკე საკითხია, რატომ და/ან როგორი ტესტებით ამოწმებენ) და 5 წლიანებში დასვეს. ბუნებრივია, საბას დასამკვიდრებელი შეექნა თავი. საბა ორ უცხო ენაზე საუბრობს და მასწავლებელმა ის არაერთგზის მოიხსენია ბავშვებთან, როგორც საუკეთესო და ნიჭიერი, რომელსაც ბევრი უნარიც აქვს და სოციალიზაციასაც კარგად ახერხებს. როგორც ბავშვის მონაყოლიდან ირკვევა, ერთ დღეს დათუნამ საბას წვინტლიანი დაუძახა, რაზეც ბიჭმა უპასუხა, რომ არ არის წვინტლიანი. დათუნა ტოლებში (ხუთწლიანებში) სიმაღლითაც გამორჩეულია და წონითაც. რასაკვირველია, წინააღმდეგობა არ ესიამოვნა და შემდეგი სტრატეგია დაუპირისპირა საბას: დაუძახა თავის რამდენიმე თანატოლს და ხმამაღლა შეეკითხა: ბიჭებო, საბა ხომ არის წვინტლიანი? ყველა ბიჭი დაეთანხმა. გულმოცემულმა დათუნამ განაგრძო ჩაგვრა და მეორე დღეს კვბიანი ქუდი გადაადრო ბავშვს და სათამაშოდ გადაუგდო ბიჭებს. მოკლედ, ყველა დღე საბასთვის უარყოფითად დაიტივრთა. ბავშვმა საფრთხე იგრძნო და დაიწყო წუწუნი დილით, ბაღში წასვლისას: „არ მინდა“, „მუცელი მტკივა“, „თავი მტკივა“ და ა.შ. დედა ყვება: სახლში, ბებიასთან დარჩენა არ უყვარდა, მაგრამ ახლა ამაზეც თანახმა იყო, ოღონდაც ბაღში არ წაგვეყვანა.

ამ დღეების ლოგიკური დასასრული კი, როგორც ზემოთ ვთქვით, უკვე პრინციობაზე პროტესტი და „უმიზეზო“ ტირილი გახდა.

მშობლებმა მიმართეს ბაღის მასწავლებელს, დეტალურად გააცნეს საქმის ვითარება და სთხოვეს, რომ დაერეგულირებინათ სიტუა-

ცია. ბავშვის მასწავლებელმა ყურადღებით მოისმინა ყველაფერი და მშობლებს „აუხსნა“, რომ დათუნა გამორჩეულად ლიდერი ბავშვი და მასთან სამუშაო არაფერი იყო. ეს ისტორია საბას სხვა ბაღში გადაყვანით დამთავრდა (აღნიშნული სწორი სტრატეგია არის თუ არა, ამაზე არ ვმსჯელობთ), სადაც ის, როგორც მშობლები აღნიშნავენ, მშვენივრად გრძნობს თავს.

მასწავლებლის სტრატეგიაზე ვთანხმდებით, რომ არასწორია და აბსოლუტურად უმწეო ახსნაა, როცა ისინი მზავრელის ლიდერობით ხსნიან ბუღინგის შემთხვევებს. მათ ეშინიათ ბუღინგთან გამკლავების, რადგან არ იციან, როგორ გაუმკლავდნენ აგრესიას ბავშვთა ჯგუფებში, არ ფლობენ სტრატეგიებს და არ ზრუნავენ პრევენციაზე. ზოგჯერ ისინი ყურადღებას არ აქცევენ სკოლის მოსწავლეთა/ბაღის აღსაზრდელთა შორის ბუღინგს, არ აკონტროლებენ მათ ქცევას შესვენებების დროს. არის შემთხვევები, როცა ისინი აკეთებენ დამამცირებელ კომენტარებს და ნებსით თუ უნებლიეთ იყოლიებენ კლასს დაცინვისას, რითაც სასტარტო პირობებს უქმნიან ბუღინგს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიზეზს იმ პიროვნებაში ვეძებთ, რომელსაც გაუხწორდნენ, რომელიც მსხვერპლია. ეს ფუნდამენტურად არასწორია. დაზარალებულთა კომპლექსიც ზუსტად ასეთია: „რა შეცდომა დაეუშვი?“ „მე ვარ დამნაშავე.“

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო დაწესებულებაში, სადაც მაღალია დისციპლინა და კონტროლი ბუღინგი ნაკლებად შეინიშნება. ერთი მხრივ ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ სკოლის გარეთ გამოსული ბავშვი, რომელიც მკაცრ წესებში იზრდება, თავისუფალ გარემოში სახიფათო ხდება დაგროვილი აგრესიისაგან, რომლის საფუძველიც სკოლა და ის გარემოა, სადაც ბავშვს უხდება ყოფნა. მეორე მხრივ აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ეს რეკომენდაცია. არა დამღლეული და დამთრგუნველი დისციპლინით, არამედ კანონმორჩილებით, თვითშეგნებით, შინაგანი მოტივაციით და მიღებული წესებისადმი მორჩილებით შეიძლება მივალწიოთ არაძალადობრივ კლასს, სკოლას, დაწესებულებას. იქ, სადაც მუდმივი მეთვალყურეობა და მონიტორინგია და ამ ტიპის პრობლემებზე საპრევენციო სამუშაოებია ჩატარებული, ძალადობის მიზეზები თითქმის აღმოფხვრილია და შემთხვევები მინიმუმამდეა დაყვანილი.

მსხვერპლი ბავშვები, საკუთარ თავში ნაკლებად ან საერთოდ არ არიან დარწმუნებული. მათ დაბალ თვითშეფასებას, ისიც ემატება, რომ კლასი არ იღებს დაჩაგრულს, საერთოდ არ მონაწილეობენ ჯგუფურ თამაშებში, ასევე ხშირად აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი თამაშში ან გუნდში მიწვეული ბოლო ადამიანია, ყველაზე ბოლოს ის გაახსენდათ; ბავშვი ცდილობს, შესვენებებზე, ახლოს იყოს უფროსებთან, სხვებთან თამაშის ნაცვლად; მათ აქვთ დეპრესიული გარეგნობა, იქცევიან დახურულად, ისინი გამოხატავენ აგრესიას უფროსების და სხვა თანატოლების მიმართ.

განცდა, რომელიც მსხვერპლს თან დაჰყვება, უმწეობის, საკუთარი უსუსურობისა და დაუცველობისაა. თავდაპირველად, იგი, ცდილობს დაუახლოვდეს თანატოლებს, მაგრამ ათვალწუნებული ბავშვი შეცდომების რისკის წინაშე დგას და შეიძლება, ურთიერთობისას, ადვილად შეეშალოს რამე. შესაბამისად ემოციები უმძაფრდება და აგრესიული ან პირიქით ინდიფერენტული ხდება. შეურაცხყოფისა და დაგროვილი ბოლმის შესახებ ის არ საუბრობს. ამ დროს არავინ არის მისი თანამგრძობი და თანამდგომი. ბავშვები, რასაკვირველია, ადვილად ამჩნევენ ამ ყველაფერს, მაგრამ მათ არ გააჩნიათ დახმარების მექანიზმი, ან ეშინიათ ბუღერთა ჯგუფის.

ერთი მხრივ, ჩვენ არ გვინდა იმის დანახვა, რისიც გვეშინია. მეორე მხრივ, თავად ბავშვები ხშირად მაღავენ ჩვენგან სიმართლეს და ისე გვაჩვენებენ, რომ ყველაფერი კარგადაა. ზოგჯერ მშობლები/მასწავლებლები გრძნობენ, რომ ბავშვი სულაც არ არის კარგად, მაგრამ ვერ ხედებიან, რა უნდა გააკეთონ.

დაზარალებული ბავშვის აკადემიური მოსწრება, უმეტეს შემთხვევაში, დაბალია, ისინი ჩამორჩებიან სწავლაში, უჭირთ პასუხის გაცემა მთელი კლასის წინაშე, არ

მსხვერპლ ბავშვს არ ჰყავს მეგობრები, ეშინია სკოლაში წასვლის, აქვს დაბალი თვითშეფასება, აფუჭებს სათამაშოებს, ზიანს აყენებს საკუთარ თავს, სძინავს და ცუდად ჭამს, თავადაც აგრესიული ხდება, ვერ კონცენტრირდება, სწრაფად იღლება, იკეტება საკუთარ თავში, იძაბება, ხშირად ამბობს, რომ „შენ არ გესმის ჩემი“;

მონაწილეობენ კლასგარეშე აქტივობებში, არ მიდიან სტუმრად თანატოლებთან და არც თვითონ იწვევენ ვინმეს სახლში.

ყველაზე საშინელი მისი ცხოვრებისთვის არის გაუცნობიერებელი მიხვევა ჩაგერისადმი. ძალიან ხშირად, ბავშვი მოცემულობად იღებს შეურაცხმყოფელ სიტყვებსა და გამოთქმებს მის მიმართ, არ უნდებია პროტესტის გრძობა, რადგან არაერთხელ იყო შეურაცხყოფისა და დაცინვის ობიექტი და მიხვეულია, მიდრეკილია, რომ სხვებს დაემორჩილოს, არ შეუძლია თავი დაიცვას ფიზიკური ძალადობისაგან;

პატარა მარი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი იყო. დღე არ ახსოვს, რომ მამას არ ეჩხუბოს დედასთან, ხოლო როცა წამოიზარდა - მასთანაც. თავდაპირველად ბავშვი გააკვირვებული ცხადდებოდა ოთახში მამის დაბახილზე, მაგრამ მოგვიანებით ცდილობდა, არ გამოხმაურებოდა და ყურებზე ხელმიჭერილი გარბოდა სახლის ყველაზე შორეული კუთხისაკენ, სადაც დედის ხმა და ტირილი ვერ მიწვდებოდა. ჯერ დედა იცავდა მარის, მერე კი მარი მრავალგზის შეეცადა დედის სიცოცხლის გადარჩენას. ჩხუბის დაწყებისთანავე, ლოგინის ქვეშ შეძვრებოდა, ტელეფონს შეიტანდა და იქედან მესიჯებს უგზავნიდა მეზობლებს და დახმარებას ითხოვდა: „მარი ვარ, დედაჩემს სცემენ. მოგვეხმარეთ.“ მათ ეზოსთან მისვლასაც კი ყველა ერიდებოდა. მარის მამა აგუელა კაცი იყო და მისი ოჯახის საქმეში ვინც ჩაერეოდა იმას იარაღის მუქარით უსწორდებოდა. შეშინებულმა მეზობლებმა ასე ამოიკვეთეს ფეხი ოჯახისაგან. მარი და დედაც დაუცველები იყვნენ სადამოს ჩხუბებში, გვიანამდე ისხდნენ და ელოდებოდნენ, როდის დაწყნარდებოდა მამა და როდის დაიძინებდნენ. იყო შემთხვევები, როცა მარის სკამზე ჩამომჯდარს დასძინებია და დილით პირდაპირ სკოლაში წასულა.

ფაქტმა გავლენა იქონია ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე. მარი გამოუძინებელი, უსწავლელი მიდიოდა სკოლაში, კონცენტრირებას ვერ ახერხებდა, შეცდომებს უშვებდა. მაღე შფოთიანი დამეები მის გარეგნობასაც დაეტყო: მოუსვენრად, შეშინებული სახით დადიოდა, მკვეთრ მოძრაობებს აკეთებდა ხელის შეხებასა და დაბახებაზე. ამაზე თანაკლასელები დასცინოდნენ, გიჟს ეძახდნენ და შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ მასზე არ ეჭორავათ. მარი ხვდებოდა, რომ საყოველთაო დაცინვის ობიექტად იქცა, მაგრამ

ვერაფერს ახერხებდა. მასწავლებლები მხოლოდ შენიშვნებით შემოიფარგლებოდნენ, თავს გადააქნევდნენ და გააკეთილებს აგრძელებდნენ. თავის საყვარელ კლასში, სკოლაში და სოფელშიც კი მარი დამნაშავესავეთ დადიოდა, ერიდებოდა ადამიანებს, კლასიდან არ გადიოდა. თავდაპირველად ეს შეუმჩნეველად მოხდა, ხოლო როცა თავადაც გააცნობიერა, მარი უკვე კლასისგან გარიყული აღმოჩნდა.

მსხვერპლის ნიშნები ზუსტად ასე გამოიხატება, როგორც ზემოთ აღწერეთ: უმეტეს დროს საკლასო ოთახში ატარებს, შესვენებების დროსაც არ გადის დერეფანში, ეზოში, გაურბის ხმაურიან თავყრილობებს. ასეთ ბავშვს შესაძლოა გაუნდეს სამედიცინო ჩივილებიც: მოუსვენარი ძილი, თავის ან მუცლის ტკივილი, უმადობა, ენურეზი. ჯანმრთელობა შეიძლება გაუარესდეს, ხშირი ფსიქოსომატური გამოვლინებებით რესპირატორული დაავადებების სახით.

მსხვერპლი ბავშვების უმეტესობა ბულინგზე არ საუბრობს. ისინი გრძნობენ თავიანთ დაუცველობას და ჩაგვრას დამნაშავესთან მიმართებით. ბულინგის მსხვერპლი სამუდამოდ ან ძალადობის შეწყვეტიდან, დიდი ხნის შემდეგაც, დეპრესიულ, საკუთარ თავში ჩაკეტილ, უკონტაქტო ადამიანად რჩება. შესაძლოა დიდხანს ვერ განიკურნოს ფიზიკური ტრავმებისგან, ან განიცდიდეს მუდმივ შიშს, თავს დამცირებულად და დათრგუნულად გრძნობდეს.

ფსიქოლოგიური ბულინგის მახასიათებლების გამოვლენა მასწავლებელზე/მშობელზე, მეგობრებზე არის დამოკიდებული. ბავშვებს უვითარდებათ ნერვული ტიკები, ენურეზი, პრობლემები მადასთან დაკავშირებით, მწუხარე სახე, ძილის დარღვევა, გადაჭარბებული აქტივობა ან სიმცირე, მარტოობისკენ მიდრეკილება ან კომუნიკაციის სურვილი.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჩაგვრის ეპიზოდების შემდეგ უარესდება ბავშვის აკადემიური მოსწრება. ასეთი მოსწავლეები თავს არიდებენ სკოლაში ჩატარებულ საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობას, კარგავენ მეგობრებს თანაკლასელთა შორის, სწავლის ხალისს, მოტივაციას.

ბულინგი არა მხოლოდ ბავშვის ცემა, არამედ ბავშვის ზნეობრივი დაცინვაცაა. მარტო სისხლჩაქცევები არ უნდა იწვევდეს

მშობლებისა და მასწავლებლების ინტერესს, ყურადღება უნდა მიექცეს გააფუჭებულ ნივთებსაც, ნაწამებ ცხოველებსაც, ბუნებაზე მიყენებულ ზიანსაც.

უფრო რთულდება სიტუაცია სექსუალური ბულინგის შემთხვევაში. ამ დროს მსხვერპლს არ სურს საუბარი, კონტაქტი უფროსებთან, იკეტება საკუთარ თავში და აქვს დანაშაულის განცდა. მით უფრო მძაფრდება ეს განცდა, რაც უფრო პატრიარქალური ოჯახიდანაა იგი და გოგონების შემთხვევაში, ე.წ. „ქალიშვილობის ინსტიტუტის“ დაცვის მოვალეობა ბავშვობიდან ეკისრება. რადგან ამას ჩასწინებენ, ამაზე აქცენტირებენ ბავშვობიდან, ძალადობის შემთხვევას იგი ისე აღიქვამს, როგორც სამყაროს აღსასრულს. არ საუბრობს, მაღავე ფაქტს, ეშინია დასჯის ოჯახის მხრიდან და ტრაგედიას ტრაგედია ემატება. არცთუ იშვიათ შემთხვევაში ის გამოსავალს თვითმკვლელობაში ხედავს და ფატალურად ამთავრებს სიცოცხლეს.

ბავშვის ხასიათის მკვეთრ ცვალებადობას და სხვა განსაკუთრებულ ნიშნებს მშობლებმა, მასწავლებლებმა დროზე უნდა მიაქციონ ყურადღება. საუკეთესო რეკომენდაცია, ამ შემთხვევაში, მსხვერპლისა და ფსიქოლოგის გასაუბრებაა. ისინი აღნიშნავენ, რომ აუცილებელია მშობლებმა ბავშვებთან ურთიერთობები დამყარონ და გაამყარონ; ასევე იცოდნენ ძირითადი ნიშნები, რომლითაც შეიძლება მოხდეს ბულინგის იდენტიფიცირება, რათა დაეხმარონ შეილებს.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ: ეს გამოსატყულებები არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი ძალადობის მსხვერპლია, მაგრამ მხედველობაში აუცილებლად უნდა იქნას მიღებული!

ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი წევრების ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ძალადობას დამანგრეველი გავლენა აქვს და იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას და სოციალური პრობლემების ფართი სპექტრს, რაზეც ქვემოთ მოცემული დიაგრამაც (ISC – INSPIRE შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად - გვ.11, 2019 წელი) გვიჩვენებს.

მოძალადის დახასიათება

ნათქვამია „მოძალადეებად არ იბადებიან“. არცერთ მშობელს, მასწავლებელს არ სურს მისი შვილი/მოსწავლე მოძალადე იყოს ისინი აგრესორებად არ ზრდიან ბავშვებს, ფიქრობენ, რომ მათი შვილები ასეთები არასოდეს იქნებიან და ამიტომაც ხშირად, როდესაც ინფორმაციას იღებენ, რომ მათი შვილი/მოსწავლე ბულინგში მონაწილეობს, შოკში ვარდებიან. ბევრი აღიარებს, რომ მათ ეს ვერ წარმოეღვინათ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბავშვი თავაზიანია, კეთილგანწყობილი და ბევრი მეგობარი ჰყავს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ ბულინგის საქმეში მონაწილე ბავშვები ყოველთვის არ არიან დისფუნქციური ოჯახებიდან და არც ძალადობას განიცდიან. ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ, ძალიან პოპულარულები თანატოლ თინეიჯერებში, გამორჩეული ლიდერის ქმედებებით, მაღალი სტატუსით და კარგი კომუნიკაციური უნარებით, რის გამოც მათგან ვერასდროს ვიქცევებთ კლასელის დამცირებას.

იმ ბავშვებს, რომელთაც უყვართ მუდმივად უმტკიცონ საკუთარ თავს რაღაც, მიდრეკილი არიან ხელმძღვანელობისაკენ, ბავშვებთან თამაშის დროს მანიპულირებენ, არიან კაპრიზულები, ჯიუტები, თავხედები და სხვ. მიდრეკილება აქვთ აგრესიის გამოვლენისკენაც. პატარები სამყაროს შავ და თეთრ ფერებად ჰყოფენ, - შესაბამისად ზოგი ადამიანი ლამაზია მათთვის, ზოგი - ულამაზო, ზოგი - კეთილი, ზოგი კი ბოროტი. ეს უკანასკნელი კი ცუდ დამოკიდებულებას იმსახურებს. თუმცა, ამავე დროს, აგრესორი ბავშვი ძალიან გულმოწყალება იმით მიმართ, ვისთან კომუნიკაციაზეც თანახმაა, ვინც მოსწონს, ვინც ასე ეთქვათ, მის გუნდშია და მისიანია. ხშირი შემთხვევებია, როცა გუნდი, ჯგუფი, წყვილი ვერ ეგუება სხვა ადამიანის დამატებას. არასტაბილური ურთიერთობები ხელს უწყობს მეგობრებთან დავასა და კამათს. მაგ: გოგონებმა წყვილებად იციან მეგობრობა და თუ სამნი ურთიერთობენ, უკვე ვეღარ უბეპენ ერთმანეთს.

ბავშვ-აგრესორს ძირითადად ახასიათებს: ჭარბი ენერჯია, მჭევრმეტყველება, საკუთარ თავზე კარგი წარმოდგენა, სხვებზე გავლენის მოხდენის და მათი გამოყენების უნარი, პოპულარობის სურვილი. მის ირგვლივ ყოველთვის არის ორზე მეტი თანამოაზრე, რომლებთან ერთადაც ის ორგანიზებულად ირჩევს მსხვერპლს.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ბუღინგი შეიძლება აღიარებულმა ლიდერმაც წამოიწიოს, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის მის

„უფლებამოსილებას“. ასეთი ლიდერი ადვილად ჩაგრავეს მასწავლებელსაც, სარგებლობს განუხაზღვრელი ძალაუფლებით და მის ირგვლივ ატრიალებს საკლასო სამყაროს. ისინი ერთი სიტყვით, მზერით, მანერულობით იპყრობენ ბავშვებისა და სხვა კლასელების ყურადღებას, გავლენებს ზრდიან სკოლის მასშტაბით და ეზრდებთ ამბიციები, გრძობენ თავიანთ უპირატესობას და ამას ნეგატიურ კონტექსტს აძებენ: ყოჩობენ, „სტოსი“ მიჰყავთ, იმორჩილებენ და მოგვიანებით ძალაუფლების მოყვარეები ხდებიან.

ადამიანების ურთიერთობა ერთმანეთთან, საერთო ენის გამონახვა, საკომუნიკაციო საყრდენის მოძებნა და კონტაქტები არ არის მარტივი. ვთანხმდებით, რომ ამ ურთიერთობებს თავისუფლად შეუძლია შეავსოს ემოციური, სოციალური, ფიზიკური, ინტელექტუალური და ეკონომიკური მოთხოვნებიც კი.

მას ვინც ძალადობს, პრაქტიკულად, საერთო არაფერი აქვს ასეთ ადამიანურ ურთიერთობებთან. მოძალადეები მათ შორისაც არიან, ვისაც საკომუნიკაციო ურთიერთობები ნაკლებად ან საერთოდ არ გააჩნიათ. ჩაგვრა/შევიწროება სხვა არაფერია, თუ არა პრიმიტიული დონე ურთიერთობისა. როცა ბავშვს არაფერი გააჩნია საერთო სხვებთან, არ შეუძლია გაერთიანდეს რომელიმე ჯგუფში, ასე ვთქვათ „მარაქაში გაერიოს“, არ აქვს საკმარისი უნარები და იწყებს ურთიერთობის პრიმიტიული ფორმების მოძებნას. ხშირად, ამ მარტივი ურთიერთობების მომხრეებს, არ შეუძლიათ თავად მოაგვარონ საკითხი სხვა ადამიანთან/ადამიანთა ჯგუფებთან და არა მარტო ეს, არამედ საკუთარ თავთანაც მწყრალად არიან და უჭირთ კომუნიკაცია.

იმ სკოლებში, სადაც მკაცრი წესები (არა უფლებების დარღვევა, არამედ დისციპლინის დაცვა) და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროა, აგრესორი ბავშვისთვის უფრო ადვილია გააკონტროლოს თავისი ქცევა.

რა უწყობს ხელს ჩაგვრისაკენ მიდრეკილებას? ბავშვები, რომლებსაც ჩაგვრისადმი მიდრეკილება აქვთ, იზრდებიან აკრძალვების გარეშე, სკოლის წესებიც აძლევს ამის საშუალებას და შეშინებული მასწავლებელიც; მათ არ იციან, რა არის მშობლების ავტორიტეტი, - აკლიათ

უფროსების ყურადღება და პატივისცემა. ამ გრძნობების სურვილი ხდის ბავშვებს ძალიან აგრესიულებს, რაც გარკვეული დროით, თრგუნავს კიდევ; ისინი, უპირატესობის ძიებაში, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ამტკიცებენ საკუთარ გამორჩეულობას სხვა ადამიანების ხარჯზე.

როდესაც ცდილობთ, იპოვოთ ბავშვის ცუდი ქცევის მიზეზები, პირველ რიგში დააკვირდით, როგორი ოჯახური მდგომარეობა აქვს მას. ბავშვები, ვინც ოჯახის წევრებისგან ისმენენ ყვირილს, დამცინავ სახელებს, მწვავე კრიტიკას ან აწყდებიან ფიზიკურ ძალადობას, ხშირად თავადაც ასე იქცევიან სხვა გარემოში.

ქცევის მოტივი ზოგჯერ ცხადია. ეს შეიძლება იყოს შურისძიება, „სამართლიანობის აღდგენის“ მცდელობა, ლიდერობის ან კონკურენტის ჩამოშორების სურვილი, საღისტური მიდრეკილების დაკმაყოფილების მცდელობა (ბუღინგის ერთერთი ყველაზე სახიფათო ფორმა), ზოგჯერ კი, ეს მოტივები, შესაძლოა, არც იყოს გამოკვეთილი. ბოლო შემთხვევის გამოსწორება შედარებით ადვილად შეიძლება.

უპირატესობის აღიარებას და გარკვეულწილად ეგოიზმის ჩამოყალიბებას, ნებისთი თუ უნებლიეთ, მშობლებიც უწყობენ ხელს. ის, რომ ყველაფერი საუკეთესო მისია, მშვიდს და თავდაჯერებულს ხდის ბავშვს და იწყებს მავ. სუფრიდან საუკეთესოს აღებას, საუკეთესოს ყიდვის მოთხოვნას; მისი სიტყვა მშობლისთვის კანონია, რომელიც თითქოს უწყინარი სურვილების შემსრულებლად გვევლინება. მაგრამ სკოლა არ არის სახლი და არც მასწავლებელია მშობელი. სკოლა სხვა საზოგადოებაა, სხვა ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოება და ურთიერთობის ფუფუნებაში მყოფი ბავშვი, იქაც პირველობის ნიშნით ითხოვს დაწინაურებას.

არცთუ იშვიათ შემთხვევაში ბუღერის მშობლები ისეთივე ნარცისიზმით არიან საესე, როგორც თავად მათი შვილი. ეგოისტური ზრახვებისთვის (მაგ: ჩემი შვილი პირველი უნდა იყოს კლასში, უნდა მოიპოვოს კომპიუტერი, უნდა აიღოს მედალი და ა.შ.) მათ შეუძლიათ მკაცრად დასაჯონ შვილი, რომელიც შემდეგ სხვა მსხვერპლს შეურაცხყოფს. მიჩნეულია, რომ ბუღერების უმეტესობა თავად არიან მსხვერპლები.

ხშირად ბუღინგი მოზარდის გამომწვევი ქცევაა, რომლითაც ის რაღაცას ან ვიღაცას უპირისპირდება. აგრესორი გამუდმებით ცდილობს, იმაზე უფროსი და ძლიერი ჩანდეს, ვიდრე სინამდვილეშია. სიტუაციურ

და როლურ თამაშებში ასეთი ბავშვები ძალის, სისასტიკის დემონსტრირებას ამჯობინებენ. ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო, კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ გზად ფიზიკური ძალა ან ფსიქოლოგიური ზეწოლა ესახებათ. გარეგნულად შესაძლოა არც კი იმჩნევდნენ ამას. მათ მაღალი თვითშეფასება და ფეთქებადი ხასიათი აქვთ.

საინტერესოა ბუღერის გაძლიერების კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც მასწავლებლები და სკოლა უწყობენ ხელს. ასეთ შემთხვევასთან მქონდა საქმე: ლევანი საგანმანათლებლო სივრცეში აკადემიური მოსწრებით უპირობოდ აღიარებული ბიჭი, ბუღერი გახდა. როცა ძიება დაიწყო, რამ შეუწყო ამას ხელი, აღმოჩნდა, რომ სკოლის მასწავლებელთა მოქმედებამ. იგი კარგად სწავლობდა ტექნიკურ საგნებს, მათემატიკას და ინგლისურს. თუმცა ზერეულ დამოკიდებულება ჰქონდა სხვა ყველა დანარჩენი საგნისადმი და უპატივცემულოდ ეპყრობოდა. საგანთან დამოკიდებულება მასწავლებელზეც გავრცელდა და ბავშვი არ თვლიდა საჭიროდ ქართულის, გეოგრაფიის, ისტორიისა და სხვა საგნების სწავლით თავი შეეწუხებინა. დამოკიდებულება კი ასეთი იყო: რა მოხდა ასეთ რთულ ტექნიკურ საგნებს სწავლობს და ვცუთ ბავშვს პატივი სხვა საგნებში. ლევანმაც დაიჯერა, რომ უკონკურენტოა. არაჯანსაღმა ამბიციამ ბევრჯერ დაარღვევინა ზრდილობისა და ეთიკის ნორმები მასწავლებლებთან, კლასელებთან. ისტორია გაგრძელდა ლევანის ურჩობითა და აგრესიისადმი მიდრეკილებით, რამაც გავლენა მის აკადემიურ მოსწრებაზეც იქონია.

ნებისმიერი ადამიანს აქვს აქილევსის ქუსლი – ვიღაცა ძღვეს მათემატიკას მაღალი ქულით, მაგრამ ჩამორჩება სპორტში, ან ისტორიაში ან სხვა რომელიმე საგანში და პირიქით. ყველა საგანში თანაბარი ცოდნა იშვიათია. ლევანის შემთხვევაშიც ასე მოხდა: დაუმსახურებელი შეფასებით მასწავლებლებმა ხელი შეუწყვეს, რომ ამბიცია გაზრდილი, ხოლო გადაჭარბებულმა თვითშეფასებამ გააძლიერა სისუსტეები და გარეთ გამოფინა.

მნიშვნელოვანია, გაეითვალისწინოთ: რაც უნდა რთული იყოს თქვენი მოსწავლის/შვილის ბუღინგის აღკვეთა, უნდა გასსოვდეთ, რომ ცუდი ქცევა თავისით არასდროს წყდება. იფიქრეთ შედეგებზე: რა გავლენა ექნება ბუღინგს, როგორც მსხვერპლზე, ისე მოძალადის ქცევის ჩამოყალიბებაზე.

ბუნებრივია, რომ საუბარი არ არის ქურდული კონტაქტის ტერმინზე. ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანებზე/ბავშვებზე, რომლებიც ბუღინის შემსწრეები არიან, სხვადასხვა სივრცეში ხედავენ ჩაგვრის ფაქტებს და რომლებიც, როგორც მოწმეები, ხშირ შემთხვევაში, ისე განიხილებიან.

ანგარიშსწორება მსხვერპლისადმი ფარულად ხდება და საზოგადოების თვალწინაც. ხშირად, ეს საზოგადოება საკლასო სივრცეში მყოფი ბავშვები, და ზოგჯერ მასწავლებლებიც, არიან, რომელნიც შეესწრნენ ჩაგვრის, „დაჩმორების“, ფიზიკური ანგარიშსწორების, დაცინვის მომენტებს. ძალადობა ან შეურაცხყოფა საკლასო ოთახში, თითქმის, ნორმად ქცეულია. და რასაკვირველია, ხშირად, ეს, მოსწავლეების თვალწინ ხდება. საყურადღებოა, რომ ფაქტების ასეთი „გასაჯაროება“ ბუღინის ინტერესებშიც შედის. იგი არენახეა, საკუთარ ძალებს დემონსტრირებას უკეთებს და ტკბება. საყოველთაო დაცინვა, „მიჩმორება“ სხვა არაფერია, თუ არა სხვა ბავშვების გაფრთხილება, თითის დაქნევა და ერთგვარი დაშინება.

ჰყავს თუ არა, ამ სივრცეში, ბუღინს მოწინააღმდეგე. მოწმე ბავშვების დიდი რაოდენობა დუმს. ძალიან მცირე ნაწილი გარიდებას ამჯობინებს და ჩაგვრის წამოწყებისთანავე, საკლასო ოთახიდან გადის. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ბუღინი თავად უბრძანებს ბავშვებს კლასის დატოვებას და მსხვერპლთან მარტო დარჩენას. ამ ფაქტებიდან მეტი წილი, სექსუალურ ძალადობაზე მოდის.

უმეტეს შემთხვევებში ჩაგვრის შემსწრე ბავშვები ინფორმაციას არ იძლევიან არ სურთ ბუღინთან ურთიერთობის გაფუჭება და ერიდებიან „ქართული მენტალიტეტით“ ცხადადღებულ

რატომ დუმან მოწმეები?

ბავშვები, რომლებსაც მოწმის სტატუსით მოვისხენიებთ ჩაგვრის ფაქტების შემსწრეები არიან. ისინი ამჯობინებენ დუმილს, რადგან ეშინიათ ბუღინის; მათ იციან, გამოქომაგების შემთხვევაში, არსებობს დაშვება, რომ ისინი გახდნენ მსხვერპლნი ან ერთჯერადი ანგარიშსწორების ობიექტები. მოწმეებს ეშინიათ მსხვერპლის ადგილზე ყოფნა და იკავებენ თავდაცვით პოზიციას „ეს მე არ მხეება“, ან „კარგია, რომ მე არ ვარ.“

„ჩამშვების“ სახელს. დირექტორის, მასწავლებლის კითხვებზე მათ არ აქვთ პასუხი, საგულდაგულოდ მაღავენ ან პასუხობენ, რომ არაფერი იციან საქმის შესახებ.

მოწმეები შიშის გამო თავს უმწეოდ გრძნობენ. ზოგჯერ მათ აქვთ დანაშაულის გრძნობა საკუთარი უმოქმედობის მიმართ. მაყურებლები იძულებულნი არიან არჩევანი გააკეთონ ძლიერსა და სუსტს შორის. რადგან მათ არ სურთ სუსტ ადამიანებთან ასოცირება. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი იწონებენ ბუღერის საქციელს ან თანადგომას უცხადებენ მას, არ ეცოდებათ მსხვერპლი და ა.შ. მაგრამ იღებენ ე.წ. „თამაშის“ წესებს და უმრავლეობის მხარეს დგებიან.

ჩვენს საზოგადოებაში უმწეო მსხვერპლი სიმპათიით არ სარგებლობს. ბავშვებსაც წარმატებული და გამარჯვებული ადამიანები უყვართ, თუნდაც მაშინ, როცა ეს წარმატება/გამარჯვება ჩაგვრის ფასად არის მოპოვებული. ჩაგრული ბავშვის სისუსტე, მისი დამცირება თანატოლებში ზიზღსა და უარყოფას იწვევს. თინეიჯერულ გარემოში, სკოლაში ძალადობის მსხვერპლისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ხშირად ჩნდება პრინციპით: „ის არის დამნაშავე, მას არ შეუძლია ხელი შეუბრუნოს, ებრძოდოს.“ მოწმეები, ასე ვთქვათ „თავის მართლებას“ ასეთი დამოკიდებულებებით იწყებენ და სინდისს იმშვიდებენ.

მოწმეთა შორის საინტერესო ტიპი არის ის კატეგორია, რომელიც თვლის, რომ ჩაგვრის დროს კლასი უნდა დატოვოს. ჩაგრულმაც და მწაგვრელმაც იციან, რომ ეს ტიპები პოტენციური მოწინააღმდეგენი არიან ბუღინგის, მაგრამ ერიდებიან ვითარების გამწვავებას. სამომავლოდ, სწორედ მათ შორის შეიძლება გამოჩნდეს მსხვერპლის მომხრე. მასწავლებლებმა ასეთ ბავშვებთან უნდა იმუშაონ, რომ თანამოაზრეები გაამრავლონ და გაბედულება შესძინონ.

რეკომენდაციის სახით, ალბათ, ის შეიძლება ვთქვათ, რომ კარგი იქნება, თუ მოწმე ბავშვი მასწავლებელს, მშობლებს ან დირექტორს აცნობებს ჩაგვრის შესახებ. სასურველია, ეს წესად ჩაიწეროს სკოლის შიდა დოკუმენტში და წესი დაინერგოს.

მშობლის როლი

ერთია თეორიულად შევიცნოთ ბუღინგის საფრთხეები, ხოლო მეორე საკითხია საკუთარ შვილთან ასეთი სიტუაციის დაფიქსირება. ეს ყოველთვის არ არის ადვილი შესამჩნევი.

მშობელი ფრთხილად უნდა იყოს და მუდმივად აკვირდებოდეს ბავშვს: ხშირად არის შეურაცხყოფილი, დასცინიან, მიდრეკილია სხვა ბავშვების მორჩილებაში, არ შეუძლია დაიცვას თავი ფიზიკური ძალადობისგან, სახლში მოდის სისხლნაქვლენებით, დახეული ტანსაცმლით და ვერ ახერხებს ამის ახსნა-განმარტებას, არასდროს იღებს მონაწილეობას ჯგუფურ თამაშებში;

გარდა ამისა, ბუღინგის დროს დაზარალებულ ბავშვებში სტრესი ხშირად ფიზიოლოგიურად ვლინდება: ისინი კარგავენ მადას, ხედავენ კოშმარებს, სიზმარში ტირიან, სტკივდებათ თავი. ზოგჯერ მათ ფიზიკურად შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საკუთარ თავს, გამოიყენონ ალკოჰოლი ან ნარკოტიკი.

რაც შეეხება ბუღერის მშობელს, გასაგებად რთულია და გადასატანად სამარცხვინო, როცა მშობელი იგებს, რომ მისი შვილი ბუღერია, მაგრამ ის არც იმ განსაზღვრებას უნდა დანებდეს, რომ აგრესორი ბავშვები უიმედონი არიან და არ გამოსწორდებიან. პირველ რიგში უნდა გაითავისოს, რომ ბუღერ ბავშვსაც უფროსების დახმარება სჭირდება. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ სოციუმმა

მშობელმა უნდა მოძებნოს ის მიზეზები, რის გამოც ცვლილება მოხდა მისი შვილის საქციელში, დამოკიდებულებაში, აუცილებელია მასწავლებელთან, დირექტორთან, ბავშვის კლასელებთან გასაუბრება, ხმადაღლა საუბარი აგრესიაზე, ბუღინგსა და ძალადობაზე, მის უარყოფით შედეგებსა და დაუშვებლობაზე. თუ საჭიროა დროულად მიმართოს ფსიქოლოგს.

არ მოიძულოს აგრესორი და არ გარიყოს იგი. ამ ბავშვებსაც სჭირდებათ მშობლების თანადგომა, მოსმენა, მიღება. მათ არ შეუძლიათ მარტო გაუმკლავდნენ სტრესს. მშობლებმა და მასწავლებლებმა იმედი უნდა მისცენ, რომ მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება, რომ ისიც იმსახურებს სიყვარულს. ამ შემთხვევაშიც, რთულ სიტუ-

აციებში, კარგი იქნება ფსიქოლოგის ჩარევა მშობლის თანხმობით.

ძალიან სასარგებლოა მშობლების მუდმივი საუბარი ბავშვებთან ადამიანის პროზიტიურ მახასიათებლებზე. თუ ისინი სწავლაში ეხმარებიან მათ, შესაბამისად, ყველა თემა, ბავშვის აღზრდას და საუკეთესო თვისებებს უნდა დაუკავშირონ. თუ ბავშვებს ჩაეუნერგავთ, რომ ემპათია ადამიანის საუკეთესო თვისებაა, რომ სხვისი დამცირება მიუღებელია განსხვავებულობის გამო, ისინი ამას ქცევაშიც გადაიტანენ და ურთიერთობებიც არ შეეშლებათ თავის თანატოლებთან. სასურველია, თუ ისინი სხვადასხვა ასაკის ბავშთა ჯგუფებში გაერთიანდებიან არაფორმალური სწავლებისას.

მნიშვნელოვანია, გაეთვალისწინოთ: ცნობილია, რომ ისინი განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებიან მშობლების, მასწავლებლების ქცევას და, ნებისთ თუ უნებლიეთ, იმეორებენ იმ საქციელს, რასაც ხშირად ხედავენ. უფროსებმა მაგალითი უნდა მისცენ ბავშვებს

როგორ ვისაუბროთ ბრავშირებული ბავშვის გზობაზე?

მშობლებთან საუბრის ორი სტრატეგია არსებობს:

- ◆ **მკვეთრი** - ინტერვენციული საუბარი, მივმართავთ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული ვართ, რომ ბავშვი ძალადობის მსხვერპლია.
- ◆ **რბილი** - იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მშობელთან თანამშრომლობა ბავშვის პრობლემების გადასაჭრელად.

რბილ სტრატეგიას ვიყენებთ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ბავშვს არ ემოქრება საფრთხე,
- გვაქვს დრო,
- მშობელი გამოხატავს თანამშრომლობისთვის მზადყოფნას,
- ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობა არამოძალადე მშობელთან,
- გვაქვს ეჭვი ძალადობის შესახებ, მაგრამ არ გავგანხიან ფაქტები,
- საუბრის წარმმართველს გააჩნია ამის შესაბამისი ცოდნა და უნარი.

რბილი სტრატეგია - მშობლებთან საუბრის ეტაპები:

1. მიზანშეწონილია მშობელთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება - დაბრკოლებების თავიდან აცილების მიზნით: რამე პოზიტიური თქვით ბავშვის და მშობლის შესახებ, ანუ დაანახეთ, რომ თქვენ ზრუნავთ და გაგაჩნიათ კეთილი განზრახვა, ასევე, ხაზი უნდა გაუსვათ, რომ თქვენ გამოძრავებთ საერთო მიზანი, რომ დაეხმაროთ ბავშვს.

2. ძალიან ფრთხილად და მშვიდად მოუყევით მშობელს, ბავშვის შესახებ მწარე სიმართლე:

- ◆ ვეუბნებით, რა გვაწუხებს ბავშვთან დაკავშირებით (მაგ. როგორ იქცევა, როგორ გამოიყურება);
- ◆ თავს ვარიდებთ ბავშვისთვის იარღიყების მიკერებას (მაგ. აგრესიული, უულგარული);
- ◆ ვცდილობთ, არ დავადანაშაულოთ მშობელი;
- ◆ ვცდილობთ, ზედმეტი ემოციების გარეშე აღვწერთ, ბავშვის საქციელი (მაგ. სცემა ბავშვი, შეშინებუღია, დარტყმის შიში აქვს, შიშისგან კანკალებს, ჰქონდა დაუქეილობები და ა.შ.)

3. ვაძღვეთ მშობელს ჩვენს მონაყოღზე დაფიქრების საშუალებას

4. ვმოქმედებთ - ვეხმარებით:

- ◆ ვუწვეთ კონკრეტულ დახმარებას და მხარდაჭერას, გადავცემთ კონკრეტულ საკონტაქტო ინფორმაციას (ინსტიტუციის, ორგანიზაციის, საზოგადოების);
- ◆ ერთად ვადგენთ მოქმედების გეგმას: მშობლები, ჩვენი ინსტიტუციები;
- ◆ ვართ მეგობრულნი, თანმიმდევრულნი: გვაქვს მშობელთან კონტაქტი და ვუთანხმდებით შემდგომ შესვედრაზე;
- ◆ მონიტორინგს ვუწვეთ ოჯახში არსებულ მდგომარეობას;

თუ დადასტურდება ჩვენი ვჭკები ძალადობის არსებობის შესახებ, მივმართავთ შესაბამის ორგანოებს: სოციალური სამსახური, პოლიცია (სოციალურ სამსახურში მიმართვის ბლანკი იხიღეთ დანართში).

გახსოვღეთ! ოჯახში ძალადობის მსხვერპლს იცავს კანონი!

მასწავლებლისა და სკოლის როლი

სკოლის როლი განსაკუთრებით დიდია ბუღინგის პრევენციისას. თითოეული დღე აქტიური, დინამიური და ღონისძიებებით დატვირთული უნდა იყოს. სასურველია, როცა გუნდები, ჯგუფები სხვადასხვა კლასების მოსწავლეებისაგან არის დაკომპლექტებული და ერთ გუნდად იბრძვიან, გამარჯვების მოსაპოვებლად, ნებისმიერი ასპარეზობისას. ეს ხელს უწყობს, რომ სასკოლო სივრცე თავისად იგრძნოს მოსწავლემ, ხოლო სხვა კლასელები თავისიანებად აღიქვას.

ამერიკელი და ევროპული გამოცდილება ინფრასტრუქტურების მოწყობაზე ორიენტირებასაც კი გვიჩვენებს სკოლის გათავისების მიზნით. ისინი ძალიან ხშირად ერთ სივრცეში ატარებენ სხვადასხვა კლასებისთვის ლექციური ტიპის გაკვეთილებს. ეს სივრცეები გახსნილია, სხვადასხვა დონეებად დალაგებული და ძირითადად მრგვალი დიდი აუდიტორიების სახეს ატარებს, სადაც ბავშვები ხედავენ, ესაუბრებიან ერთმანეთს და იმახსოვრებენ. პროფესიონალების აზრით ასეთი სივრცეები პიროვნების განვითარებაზე არის ორიენტირებული, სადაც მეტია შემოქმედებითი და თანამშრომლობითი დამოკიდებულებები და ნაკლები აგრესია.

თანაკლასელების შეურაცხყოფა, ცილისწამება, გამოძალგა ეს ხშირად ხდება სკოლებში, იქ, სადაც ადამიანის ღირსება აღიქმება, როგორც არაფერი, სადაც ბავშვების უმეტესობა აპათიური და იმედგაცრუებულია, სადაც მათი აღიარებისა და გაგების საჭიროება არ არის დაკმაყოფილებული და პირიქითაც: იმ გუნდში, სადაც საკუთარი თავის და სხვებისადმი პატივისცემა ნორმაა და ნებისმიერი ადამიანის პატივის შეურაცხყოფა დარღვევა, ვანდალიზმი, მტრობა, ბუღინგი უფრო სერიოზულად აღიქმება, რადგან ყოველი შემთხვევა განსაკუთრებული შემთხვევა ხდება.

სპეციალისტები თანხმდებიან, რომ კანონმორჩილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სხვა ფაქტორებთან ერთად, ბუღინგის პრევენციის საქმეში. თავი და თავი ბუღინგის გააქტიურების და აგრესიის გამოფლენის არის კანონის უგულვებელყოფა, წესების დაუმორჩილებლობა, უღისციპლინობა. ნებისმიერი სკოლა (შესაბამისი პირის მეშვეობით), კლასის დამრიგებელი, რიგითი მასწავლებელი დაწყებითი საფეხური-

დანვე უნდა მუშაობდეს იმ უნარჩვევების განვითარებაზე, რომელიც მოსწავლეთა კანონმორჩილებისა და თვითდისციპლინის გამომუშავებას შეუწყობს ხელს. პატარაობიდანვე ჩვევაში გადაზრდილი წესების შესრულება ქცევაში გადაუდის მოსწავლეებს და დამოკიდებულებები, შედარებით, უმჯობესდება.

ბუღინგის პრევენციის და მისი თავიდან აცილების მთელი რიგი სტრატეგიებიდან არის უნივერსალური ღონისძიებებიც, რომელიც ადვილად შესრულებადი და შედეგის მომტანია. რეკომენდაციაა, რომ ამ ტიპის აქტივობები საპრევენციო ხასიათს ატარებდეს და რეგულარულად ტარდებოდეს. სულაც არ არის საჭირო მას აქციის ან გრანდიოზული ღონისძიების სახე ჰქონდეს. ჩვეულებრივ გააკეთილებზე მასწავლებლის მიერ, 5-10 წუთიანი სწორად დაგეგმილი ჩართვებიც აგრესიის საწინააღმდეგოდ შეიძლება ამუშავდეს.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი ასერტული დამოკიდებულების იყოს ბავშვის საქციელზე. ეს ნიშნავს დისციპლინისადმი სტრუქტურითზეულ, სისტემურ მიდგომას, მიზნის მისაღწევად თანმიმდევრულობას, იყენებენ ჯილდოსაც კარგ საქციელზე, და საჭიროების შემთხვევაში სახდელსაც, გადაცდომაზე. ასერტული მასწავლებელი არა მარტო ბუღერ, არამედ მსხვერპლ მოსწავლესაც ასწავლის მისაღებ ქცევას საკუთარი მოდელის ჩვენებით, აღწერით, პირდაპირი მითითებებით, და ა.შ. იგი თავის მოსწავლეებს უხსნის, თუ რა მოლოდინები აქვს მათგან და ურთიერთობას აგებს პოზიტიურ თანამშრომლობაზე, ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობებზე.

გადაცდომისთვის, კლასთან ერთად, შეიმუშავებს სახდელს, რომლის შემადგენელი ნაწილი არის ასხნაგანმარტებაც, თუ როგორ მიუღებელია ჩაგვრა და ძალადობა, რა უნარები უნდა ჰქონდეთ მათ, რომ ეს არ გააკეთონ; მნიშვნელოვანია, ბავშვებმა შეიგნონ, რომ ძალადობა და ჩაგვრა ადამიანის დისკრიმინაციაა.

ასერტული მასწავლებელი არც მსხვერპლთან და არც ბუღერთან არ იყენებს სარკასტულ გამონათქვამებს, დაცინვას, უხემ მიმართვებს; რეაგირებს სწრაფად, თავდაჯერებულად და გამორიცხავს არაადეკვატურობას. ამით, იგი, სანიმუშო მაგალითს აძლევს მოსწავლეებსაც.

აუცილებელია, სახდელი, დარღვევებისათვის, ყველა მოსწავლეზე თანაბრად ვრცელდებოდეს, ვინც გადაცდომას ჩაიდენს. მასწავლებლებ-

მა არ უნდა დაუშვან გამონაკლისები. სწორედ ამას აქცევს ყურადღებას ასერტული მასწავლებელი. იგი სამართლიანია და ობიექტური.

მოძალადე ბავშვებს სჭირდებათ დახმარება, შეიძინონ და გაითავისონ ის უნარები, რომლებიც აკლიათ. ძალიან ხშირად მასწავლებლები ჩივიან სახდლების თაობაზე, რომ ძნელია ისეთი შეიმუშავო, რომელიც თან სადამსჯელო იქნება და თან არ დაარღვევს მოსწავლეების უფლებებს. მაგ. სახდელი შეიძლება იყოს კლასის ექსკურსიისაგან გამოთიშვა, ან რომელიმე ღონისძიებაში ჩაურთველობა. სასურველი იქნება, თუ ამ დროში მოსწავლე დაწერს ესსეს, როგორ გავლენას ახდენს ჩაგვრა ადამიანზე, რა გრძნობაა, როცა ვინმე გჩაგრავს; ან დახატავს ამ ემოციას, ან კიდევ მუსიკალურად გადმოსცემს, ახსნის მას და ა.შ.

შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოსწავლეებთან ერთად შედგეს ქცევის ნორმები. იგი, სასურველია, ჩაიშალოს პროცედურულადაც და ყველა წესი განმარტებულ იქნას. მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეთ, თავისი აზრი დააფიქსიროს ამა თუ იმ ნორმასთან დაკავშირებით და წინააღმდეგობის შემთხვევაში მიღწეული იქნას კონსენსუსი.

თუ მასწავლებელს/მშობელს მოსწონს ბავშვის საქციელი არ უნდა „შეუშინდეს“ ამის ხმამაღლა დაფიქსირებას. ამის შესახებ პროცედურებშიც უნდა აღინიშნოს, დააჯილდოვდეს ბავშვი, რაც პოზიტიური ურთიერთობების წახალისება იქნება. ბავშვებს უყვართ შექება და ისინი შეეცდებიან თქვენგან მის დამსახურებას. ეცადეთ, ყოველთვის დაინახოთ მათი დადებითი მხარე. გახსოვდეთ, ისინი ჩამოყალიბების პროცესში არიან და თქვენი რეკომენდაციების საფუძველზე აუმჯობესებენ ქცევის ნორმებს.

მასწავლებლის ყურადღებას და თანადგომას მსხვერპლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ყურადღებიანი მასწავლებელი ადილად ამჩნევს შეშფოთებას, შიშს, განცდებსა და ემოციებს ბავშვის სახეზე. მისმა დაინტერესებამ და ფრთხილმა დამოკიდებულებამ შეიძლება სწრაფად გამოიღოს შედეგი და არ გააუარესოს მდგომარეობა. კერძოდ, თუ მასწავლებელი ბავშვს წააქეზებს, შეიძლება გული გაუსწნას და მოუყვეს თავისი მდგომარეობის შესახებ. მასწავლებელიც ვადებუელია პრობლემა დაინახოს მონათხრობში და არა ჩვეულებრივი ჭორაობა; დეტალებში ჩაეკითხოს მოსწავლეს, მოუხმინოს, გაიაზროს,

მისცეს რჩევები და შეაქოს კიდევ იგი გამბედაობისათვის. ასევე, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გულისნადების გაზიარების სხვა ფორმებსაც მოიფიქრებს. ეს შეიძლება იყოს ანონიმური წერილი, საჩივრების ყუთი და სხვ. გაზიარებული პრობლემა დარდს უმცირებს ბავშვს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მსხვერპლი/დაჩაგრული მოსწავლე დაბალი თვითშეფასებით ხასიათდება. ერთგვარი საპრევენციო ღონისძიება და მასწავლებლის ვალდებულებაა, დიაგნოსტიკის შემდეგ, ხელი შეუწყოს ბავშვს ჩაერთოს აქტივობებში, დაეხმაროს, რომ თავი უკეთ იგრძნოს, თანატოლების გასაგონად ხაზი გაუსვას მსხვერპლის ნიჭს, რათა მისი რეპუტაცია გაიზარდოს და სხვ.

ყურადღება მისაქცევია, რომ ჩვენ არ ან ნაკლებად გვაქვს მოძალადეებთან მუშაობის პრაქტიკა. არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ მოძალადეები, მსხვერპლის რეაბილიტაციის შემდეგაც, კლასში რჩებიან, ამ სკოლის მოსწავლეები არიან. ეფექტური იქნება, თუ ბუღერებზე სკოლა პროგრამას შექმნის ან მასწავლებლები ცალკე იმუშავენ. მათ სჭირდებათ სოციალური უნარჩვევების შესწავლა, რაც პრობლემის გადაჭრასა და ასევე სხვა უნარების განვითარებაშიც დაეხმარებათ. მასწავლებლები და სკოლის სხვა საზოგადოება, პირველ რიგში, ნდობით უნდა მოეკიდონ ბუღერის მდგომარეობას და ამ ნდობის საფუძველზე დააძლევინონ წინააღმდეგობები. მათ უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ

მწაგვრელი. სასურველია, მისი ლიდერული უნარები მაქსიმალურად გამოიყენონ და სხვადასხვა აქტივობებით დატვირთონ. მაგ: დაავალონ დაბალი კლასების მოსწავლეთა ჯგუფის მეცადინეობა სპორტში, ან იმ საგნებში, რომელშიც ბუღერი ძლიერია.

აპრობირებული მეთოდი და ძალიან ეფექტურად მუშაობს, დაჩაგრული მოსწავლის სასარგებლოდ, ისეთი აქტივობები, რომელშიც მსხვერპლი თანაკლასელების გარემოცვაში იქნება, რომლებიც იცავენ მას. ყურადღება მისაქცევია ისიც, რომ აგრესორი მარტო არ მოქმედებს. მასწავლებელმა შეუძინველად და ფრთხილად უნდა დამალოს გუნდი, რომელიც მწაგვრელს ემხრობა. ამისთვის მან შეიძლება სპორტული ასპარეზობა მოაწყოს, რომელშიც, ბავშვებს, შეხედულებით გადაანაწილებს;

ზემოთ, მშობლის როლის წარმონეხისას, აღვნიშნეთ, რომ აუცილებელია პირადი მაგალითის ძალა აჩვენოს მოსწავლეს მშობელმა, ასევე მასწავლებლის შემთხვევაშიც. იმაზე, თუ როგორ საუბრობს მასწავლებელი, როგორ აგვარებს ურთიერთობებს, როგორ არეგულირებს აგრესიას, ბრაზსა და კონფლიქტებს, დიდად არის დამოკიდებული მოსწავლის ქცევაზე. მოსწავლეები ხშირ შემთხვევაში ბაძავენ მასწავლებლებს. თუ მასწავლებელი თავისი ცხოვრების კონფლიქტურ ისტორიებზე მოყვება, იმ სირთულეებზე, რომელიც ამ ისტორიებისას წარმოიშვა, როგორ გაუმკლავდა თავად პრობლემებს და ა.შ. კარგი გაკვეთილი იქნება ბავშვებისათვის.

თუ ბავშვი კიბერაგრესიის გამოვლინებაზე ჩივის, ან პირიქით თავად ანსორციელებს კიბერბულინგს სხვა ბავშვების მიმართ, საჭიროა, უმოკლეს დროში, მიმართოს მასწავლებელმა მშობლებს და შეატყობინოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. კიბერაგრესიის გამოვლინების შემთხვევაში საჭიროა ბავშვს შეეზღუდოს კომპიუტერისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენების უფლება.

მასწავლებელს ბევრი სტრატეგია აქვს ხელთ, რათა გაუმკლავდეს ბულინგს. სასურველია, ის ბავშვებსაც შეასწავლოს. მაგ. როგორ დაარეგულირონ ბრაზი, როგორ გაუმკლავდნენ კონფლიქტებს, როგორ შეძლონ ემოციების მართვა. ზოგჯერ მათ, უბრალოდ არ იციან, როგორ დაიოკონ ემოციები, ვერ ანსხვავებენ კონფლიქტებსა და კამათს ერთმანეთისაგან და ბოლოს, ვერ ახერხებენ სოციალურ ურთიერთობებს.

ბავშვები არ არიან ჩამოყალიბებულები და მუდმივ რეჟიმში ითხოვენ სწავლებას აღზრდის კუთხით; მათ არ გააჩნიათ სხვადასხვა ემოციის ადამიანებთან ურთიერთობისთვის საჭირო ყველა უნარი, სჭირდებათ პროფესიონალი ფსიქოლოგის დახმარებაც, რათა გაიუმჯობესონ სოციალური უნარები და აღარ მიმართონ სხვების დაცინვასა და დამცირებას. სამწუხაროდ, მასწავლებლის ყურადღება, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ აკადემიური წარმატებისკენაა მიმართული და უყურადღებოდ რჩება სოციალიზაციის საკითხები.

შეუძლია თუ არა ბავშვს დამოუკიდებლად დაიცვას თავი ბულინგის სიტუაციაში, მოაგვაროს თავისი შინაგანი ფსიქოლოგიური პრობლემები, გარემოს პრობლემები, რომლებმაც შექმნეს ხელსაყრელი გარე-

მო ძალადობისთვის, და გახდეს ბედნიერი გამარჯვებული? ჩვეულებრივ, ეს შესაძლებელია, მხოლოდ უფროსების დახმარებით.

თუ მე ექვსი წლის ასაკიდან მასწავლიდნენ, რომ ჩვენ ერთიანი გუნდი ვართ, რომ ჩვენ შეკრული მუშტი ვართ, თუ კოლექტიურ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, თუ წინა პლანზე გვაქვს უმრავლესობის ნება და ვიცავთ უმცირესობის უფლებას, მაშინ ბუღინგი საფრთხე არაა. და კიდევ ერთი რამ, გუნდში ინტენსიურად უნდა მუშაობდნენ იმ თემასთან დაკავშირებით, რომ ადამიანები ინდივიდუალურები არიან.

რეკომენდაციები, რომელიც ბუღინგის წინააღმდეგ ბარიერებს აღმართავს, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივია. ის ყველა იმ ინსტიტუციის მზაობას მოითხოვს, ვისაც ბავშვთან შეხება აქვს. ნაკრები, რომელიც სხვადასხვა პროფესიონალთა აზრების შეჯერებით მოვამზადეთ, ასე გამოიყურება:

სასურველია, მსხვერპლ ბავშვთან თანატოლების, კლასელების მოსანახულებლად მოწვევა, განსაკუთრებით კი მათი, ვინც მას თანაუგრძნობს.

მასწავლებელმა/მშობლებმა მოუყენენ ბავშვს, მაგალითად თავისი უჩვეულო ჰობის შესახებ, რომელიც აქვთ და რომელიც საინტერესოა ბავშვებისთვის; ესაუბრონ ყველა სახის ავტომობილების ბრენდის შესახებ, სპორტზე, ხელსაქმეზე, კულინარიასზე;

სასურველია შექმნან მისთვის ბუფერული ზონა. დაეხმარონ ბავშვს, გახდეს საკლასო გუნდის წევრი. ჯერ ამაზე იზრუნონ და მერე ცოდნის მიღებაზე; პატარა ჯგუფებთან მეგობრობა შეუმსუბუქებს ბავშვს სიტუაციას, რომლის მერეც მასწავლებელს/მშობელს შეუძლია დაეხმაროს მეგობართა რაოდენობის გაზრდაში.

ყველაზე საყურადღებოა, რომ ბავშვმა მსხვერპლის როლი არ მიირგოს და სისუსტეებმა არ ძლიოს. პირიქით, მშობელმა/მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს, რომ ის აჯანყდეს, თავის მხარეზე გადმოიბიროს მეგობრები, შეწყალების მაგიერ დამოუკიდებელი გახდეს და ბუღერს შეებრძოლოს.

რთულ სიტუაციებში კონსტრუქციული გზების ძიება, პოზიტიური ურთიერთობების სტრატეგიების გამოყენება, შექებით წახალისება და სხვა ხელს უწყობს ურთიერთობების დარეგულირებას და მოსწავლეში დადებითი თვისებების განმტკიცებას.

მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ დადებითი თვისებების განმტკიცების ხარჯზე მოახდინოს ბავშვის ქცევების კორექცია. სამწუხაროდ, საქართველოში თითქმის ტრადიციად დამკვიდრებული „ყრმის წეპლის ცემით კივილის“ პოლიტიკა, აღზრდის ღამის ერთადერთ საშუალებად არის აღიარებული, რომელსაც წარმატებით მიმართავენ მშობლები და ზოგჯერ მასწავლებლებიც.

პროფესიონალთა რჩევები ბუღინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო ჩარჩოს შესადგენად, რამდენიმე პრიორიტეტისგან შედგება: აუცილებლად უნდა შეეფასოთ რისკები, განვივითაროთ და გავიღრმავოთ ცოდნა, ჩავრთოთ მოქმედებაში საზოგადოებრივი ინსტიტუციები და მივიღოთ პრევენციული (სტრუქტურული, არასტრუქტურული) ზომები.

საქალაქო გარემო

ძალადობის ფაქტების გამოვლინებისას მასწავლებელიც და მშობელიც იწყებს იმ გარემოს შესწავლას, რომელშიც მოსწავლე/შვილი იმყოფებოდა. ბუღინგის ძირითად მიზეზად სწორედ ნეგატიურ გარემოს, საკლასო, სასკოლო კლიმატს ასახელებენ. ასეთი გარემო მტრულ და ქაოტურ შეგრძნებასა და განწყობას იწვევს. იქ მყოფ ადამიანებს აქვთ სრული უკონტროლობის განცდა. არაფერია უცხო იმაში, თუ აღვნიშნავთ, რომ ასეთი გარემოთი ცნობილი არიან სკოლები, სკოლებში კლასები, უბნები, და ქალაქებიც კი.

რა ინდიკატორი უნდა ჰქონდეს სკოლას/კლასს, რომ კლიმატის პოზიტიურ მახასიათებლებზე დავიწყოთ საუბარი?

გარანტირებული უსაფრთხოება, სტაბილური ურთიერთპატივისცემის, კეთილგანწყობისა და ურთიერთდახმარების განცდა ხელს უწყობს სასკოლო/საკლასო სივრცის პოზიტიურობას.

პირველ რიგში, ეს ეხება **ინტელექტუალურ სფეროს**. სრულყოფილი სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობს. გააკეთილი ემსახურება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებას. მხოლოდ დეკლარატიულ ცოდნაზე ორიენტირება საფრთხეს უქმნის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესრულებას და

პარმონიული, სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესი პროცედურულ და პირობისეულ ცოდნასაც უნდა უხდიდეს ხარკს.

სასურველია მასწავლებლებმა ამოცანები დაუსახონ ბავშვებს, რის შემდეგაც მოსწავლეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ რას ელის მასწავლებელი მათგან, უნდა იღებდნენ სწრაფ, ზუსტ და ინდივიდუალურ უკუკავშირს და მუდმივად მიმდინარეობდეს ვარჯიში თვითდისციპლინის გამომუშავებისათვის.

არანაკლები დატვირთვა აქვს ბუღინგის პრევენციისათვის **სოციალურ სფეროს**, ანუ იმის განსაზღვრას, კლასში ქცევის

რა წესები აქვთ შემუშავებული მოსწავლეებისათვის, აქვთ თუ არა მათ გუნდური მუშაობის საშუალება, უზრუნველყოფილია თუ არა თანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა, არის თუ არა მასწავლებელი ყველასათვის ხელმისაწვდომი დამხმარე ადამიანური რესურსი.

ზევითაც ვთქვით და გავიმეორებთ, რომ ქცევის მართვის წესები და დისციპლინა ერთერთი სერიოზული განმსაზღვრელია საკლასო სივრცეში პოზიტიური კლიმატის დამკვიდრების. ხოლო ყურადღებიანი, დამხმარე მასწავლებელი, თანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა ბუღინგის გავრცელების სერიოზული ბარიერია.

ყველაზე მეტი საფრთხე ბუღინგის წარმოშობასა და გავრცელებასთან დაკავშირებით **ემოციურ სფეროს** უკავშირდება. საკლასო სივრცეში უამრავი მოსწავლიდან ყველა დიდი დოზითაა გაჯერებული სოციალურ არსებული სტერეოტიპებითა და არამყარი შეხედულებებით, რომელიც წინასწარ განაპირობებს დამოკიდებულებას და ფსევდო ღირებულებას. ნეგატივი უკავშირდება წარმოშობას, კანის ფერს, სქესს, სოციალ-

რას გამოიწვევს მხოლოდ კოგნიტურ ცოდნაზე გათვლილი გაკვეთილები?
მშრალი ინფორმაცია, ლექციური სტილი, მწირი მეთოდოლოგია, მხოლოდ ქულებზე გათვლილი შეფასება, მასწავლებლის დომინირება სასწავლო პროცესში უინტერესოს ხდის საკლასო სივრცეს, მოსწავლეებს არ აქვთ მოტივაცია და მიდრეკილი არიან გაკვეთილის ჩაშლის, არგულობის შექმნისა და გაცდენისკენ. უინტერესო გაკვეთილებით გამოწვეული ყველა შედეგი ნეგატიურ საკლასო კლიმატს კქმნის და ბუღინგისა და აგრესიის გაძლიერების წინაპირობაა.

ურ მდგომარეობას და ა.შ. შესაბამისად მდგომარეობის გამოსწორება სტრატეგიების დაძლევის მცდელობით, ადამიანების იდენტობისა და ერთმანეთისადმი პატივისცემით, არაკონკურენტული გარემოს შექმნით და მოტივაციის ამაღლებით შეიძლება.

გარკვეულწილად ვისაუბრეთ **ფიზიკური სფეროს** მახასიათებლებსა და ინდიკატორებზე, მაგრამ აქ შევაჯამებთ და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ როცა მოსწავლეებს საშუალება აქვთ დაინახონ ერთმანეთი, იურთიერთონ ერთმანეთთან, განურჩევლად ყველას, სკოლის ყველა საჭირო რესურსზე თანაბარი ხელმისაწვდომობა აქვს, გარემო ხელს უწყობს უკვე სწავლაზე კონცენტრაციას და ასეთ სივრცეში ჩაგვრისთვის ნაკლები დრო რჩება.

ჰვილი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2016 წელს შემუშავებულ სტრატეგია INSPIRE (თარგმნილია ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“-ISC; 2019 წელი) მოიცავს პაკეტს, რომელიც მოტივაციას გვაძლევს, რომ ძალადობის პრევენცია შესაძლებელია და გვეხმარება მრავალი სექტორის ცნობიერების ამაღლებაში. კერძოდ, ვინც ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე მუშაობს, და მათ შორის ითვალისწინებს განათლების სისტემას, მშობლებს, მზრუნველებს და სხვ.

სტრატეგია რამდენიმე დონეზე განიხილავს პრობლემას და გამოყოფს: ინდივიდუალურს, ახლო ურთიერთობის, თემისა და საზოგადოების დონეებს.

INSPIRE სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისათვის: კანონმდებლობა და აღსრულება, ნორმები და ღირებულებები, უსაფრთხო გარემო, მშობლისა და მზრუნველების მხარდაჭერა, შემოსავალი და ეკონომიკური გაძლიერება, რეაგირება და მხარდაჭერი მომსახურებები, განათლება და სასიცოცხლო უნარები.

ჩვენ მხოლოდ განათლების სექტორის მიდგომებს მოვიტანთ და შევაჯამებთ პუბლიკაციას. განათლების სექტორის პირდაპირი ამოცანები

ორ სტრატეგიაში იკვეთება. ესაა: ნორმები და ღირებულებები და განათლება და სასიცოცხლო უნარები.

პირველ სექტორში („ნორმები და ღირებულებები“) მიდგომა ითვალისწინებს დამოკიდებულებების შეცვლას საზიანო გენდერული და სოციალური ნორმების მიმართ, თემების მობილიზაციის პროგრამებს, მაყურებლის ჩართულობაზე მიმართულ ინტერვენციებს;

მეორე სექტორში („განათლება და სასიცოცხლო უნარები“) მიდგომა მოიცავს: ბაღში, დაწყებითსა და საშუალო სკოლაში ჩარიცხულ ბავშვთა რაოდენობის გაზრდას, უსაფრთხო და ხელშემწყობი გარემოს შექმნას სკოლებში, ბავშვის ცოდნის ამადლებას სექსუალური ძალადობისა და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ, სასიცოცხლო და სოციალური უნარების ტრენინგებს, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის პრევენციის პროგრამებს მოზარდებისათვის.

პუბლიკაციაში, ჩვენ, ზემოთ აღნიშნულ ყველა მიდგომას შევხვით, განვმარტეთ და ცალკეული აქტივობების დონეზე გეზი მივეცით მასწავლებლებს, მშობლებს, მოსწავლეებსა და დაინტერესებულ პირებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ბავშვის უფლებას იცხოვროს ძალადობისგან თავისუფალ გარემოში პატივი უნდა ვცეთ და მხარდაჭრა გამოვხატოთ იმ ინსტრუმენტებით, რომლებიც საჭიროა მოქმედების დაუყოვნებლივ დასაწყებად.

ეპილოგის მაგიერ

ჩემს სკოლაში ასეთი ტრადიცია იყო: სიყვარულის დღეს მოსწავლეები მასწავლებლებს სიყვარულის ბარათებს წერდნენ და ყუთში აგდებდნენ. დღის ბოლოს ყუთი იცლებოდა და სამასწავლებლოში შემოსულ ყველა მასწავლებელს, კუთვნილ ადგილზე, ბარათების გროვა ხვდებოდა. ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები. იშვიათი შემთხვევა იყო, როცა უბარათოდ დარჩა პედაგოგი, მაგრამ ასეთი შემთხვევაც მოხდა. ის ჩემი ყოფილი მასწავლებელი იყო, სილამაზით, პროფესიონალიზმითა და აგრესიით სახელგანთქმული, ახლა უკვე ხანში შესული. თავის დროზეც და ახლაც მნაგვრელი იყო, განსაკუთრებით

იმ ბავშვების, რომლებიც დაბალ სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ. მისთვის უცხო არც ფიზიკური ძალადობა იყო და არც ფსიქოლოგიური.

სამწლიანი ლოდინის შემდეგ ჩემს მასწავლებელს, სიყვარულის დღეს, როგორც იქნა ერთადერთი ბარათი მიუვიდა მოსწავლისგან, რომელში ეწერა: „ნინელი (სახელი შეცვლილია) მასწავლებლო, ჩვენ თქვენ ძალიან გვიყვარხართ. შეეცადეთ თქვენც შეგვიყვართ. IX ა კლასი.“

როდესაც ეს ერთადერთი წერილი მივაწოდე, ეჭვის თვალით შემომხედა, თუმცა უსიტყვოდ გამომართვა, ქაღალდი ხელში დაჭმუჭნა და სასწრაფოდ გამეცალა.

მოგვიანებით, ჩემს ოთახში ვიჯექი, დააკაკუნა და შემოვიდა.

- შენ წაიკითხე ეს წერილი? მკითხა მან
- კი, წავიკითხე ვუთხარი მე.
- მერე? კითხვის თვალით შემომხედა მან.
- მერე თქვენ უნდა მიეჩვიოთ სხვა ურთიერთობებს, ნინელი მას, - ისე მივმართე, როგორ ბავშვობაში.

სევდიანად შემომხედა, რაღაცნაირად დაღლილად და საცოდავად. კარისკენ წავიდა, სახელურს ჩაეჭიდა და შემობრუნდა:

- შენ გგონია, არ მინდა, მაგრამ რომ არ ვიცი, როგორ?! - მითხრა და გავიდა.

ის დღე ჩემი ღამე იყო, ვარსკვლავებიანი ღამე; ღამე, როცა ხედები, როგორ უნდა იბრძოლო თითოეული დაჩაგრული ბავშვისთვის, როგორც დირექტორმა, მასწავლებელმა და ადამიანმა, თუ გინდა, რომ ასეთ ღამეს სხვა გათენება მოჰყვეს.

ბავშვებთან მუშაობის ქართული მოღვაწე - ლადო აფხაზავას გამომცდილება

ცოტა რამ კონკურსზე და მასში მონაწილეობაზე

მასწავლებლის გლობალური ჯილდო 2015 წლიდან მოქმედებს.

ფინალისტები 179 ქვეყნის 10000 განაცხადიდან შეირჩნენ.

ამ ციფრებიდანაც ჩანს, რომ ლადო აფხაზავა განსაკუთრებული მასწავლებელია. ამიტომ მის გამოცდილებასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

რატომ მიიღო კონკურსში მონაწილეობა?

ლადო აფხაზავა: - 2017 წლის ეროვნული ჯილდოს აპლიკაცია იმიტომ კი არ შევავსე, რომ საკუთარი თავი წარმომიჩინა, არამედ მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია, ჩემი პრაქტიკის, მეთოდებისა და შედეგების გაზიარება მინდოდა. ამ კონკურსის მთავარი მიზანიც ეს არის - კოლეგებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა და არა თვითტკობა. დარწმუნებული ვარ, კონკურსის მონაწილე მასწავლებლებთან უმეტესობა სწორედ ამიტომ აესებს განაცხადს, რადგან ჩვენს პროფესიას ეს ძალიან სჭირდება.

ვლადიმერ აფხაზავა დაიბადა 1976 წლის 9 იანვარს, სოფელ ნიგეზიანში. 1993 წელს დაამთავრა სოფელ ნიგეზიანის საშუალო სკოლა. 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის კოლოპერაციული ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

2010 წლიდან მუშაობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების მასწავლებლად. 2012 წლიდან არის მცირე საოჯახო სახლის მენეჯერი, სადაც რვა ბავშვი ცხოვრობს.

2017 წლის 5 ოქტომბერს გადაეცა მასწავლებლის ეროვნული ჯილდო და გახდა აღნიშნული ჯილდოს პირველი მფლობელი.

2018 წლის 13 დეკემბერს ვლადიმერ აფხაზავა მასწავლებლის გლობალური ჯილდოს 50 საუკეთესო მასწავლებლების სიაში მოხვდა, ხოლო 2019 წლის 21 თებერვალს მსოფლიო საუკეთესო მასწავლებლის 10 ფინალისტს შორის დაასახელეს.



მასწავლებელი, რომელმაც შეცვალა მიდგომები

პატარაობისას ცეკვავდა. მერვე კლასში იყო და ცეკვის მასწავლებელმა უთხრა, თმები გაიზარდე, სოლოს გაცეკვებო. დამრიგებელი კი ეუბნებოდა, შეიჭერიო. ბოლოს ისე მოხდა, რომ შუა გააკეთილზე, კლასელების წინ თმები შეაჭრეს. როგორც ამბობს, მაშინ თქვა, რომ გახდებოდა მასწავლებელი და შეცვლიდა არსებულ რეალობას.

ლადო აფხაზავას სკოლაში მუშაობის 19-წლიანი პრაქტიკა აქვს. სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ხუთ სკოლაში რელიგიის ისტორიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. შემდეგ ეს საგანი გაუქმდა და შემოვიდა სამოქალაქო განათლება. ზოგიერთმა დირექტორმა ახალი საგანი გადმოაბარა და შეუნარჩუნა სამსახური. ასე მოხვდა ამ სფეროში. მისი აზრით, სამოქალაქო განათლება ავითარებს არა მხოლოდ მოსწავლეებს, ცვლის მათ ხედვას და სძენს ახალ უნარებს, არამედ ავითარებს სკოლასაც, აუმჯობესებს პედაგოგებისა და მშობლების თანამშრომლობის პროცესს. მეტიც, მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები შეიძლება სასარგებლო იყოს სოფლის თემისთვის ან ქალაქის მასშტაბით.

19 წლის განმავლობაში 9 საჯარო სკოლაში უმუშავია. მისი დევიზია „ბავშვი უპირველეს ყოვლისა“. ეს არის მთავარი და როცა მასწავლებელი ამას იაზრებს, ყველაფერი ლაგდება: იცვლება მიდგომა, მოდის ახალი იდეები, ჩნდება თანადგომა, გულშემატკივრობა. იცვლებიან ბავშვებიც - აქტიურები ხდებიან, ვითარდებიან, ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს.

რადგან ბავშვია უპირველეს ყოვლისა - ამიტომაცაა ჩიბათის სკოლა განსაკუთრებული.

ლადო აფხაზავა ყველაფერს იყენებს, რომ სასწავლო პროცესი ბავშვებისთვის საინტერესო იყოს. სკოლაში სიმბოლოები უზვეულო დატვირთვას იძენს. გააკეთილს კარტოფილით, ქაღალდით ან პოლიეთილენის პარკით ხსნის ხოლმე. მაგალითად, დემოკრატიის სიმბოლო კომბოსტოა. კომბოსტო შედგება ერთი ღერძისა და ფოთლებისგან. დემოკრატიის პრინციპიც ეს არის - ერთ ღერძზე ბევრი სექტორი თანამშრომლობს და ერთ დიდ ბირთვის ქმნის. ბანაკში

ერთხელ გირჩებისგან დიდი გროვა გააკეთეს და ბოლოს დაშალეს - ბავშვები უარყოფითი ემოციებისგან დაიცალნენ და განეწყვნენ ინფორმაციის მისაღებად..

სკოლაში არის მშვიდობის კედელი, სიკეთის კედელი. სხვა სკოლებში რომ ჩვეულებრივი კიბეა, რომელსაც მეორე სართულზე აყავხარ, აქ თავისუფლების კიბე შეარქვეს. კიბეს უცნაური მისია აქვს - ყველა ბავშვს შეუძლია მუყაოზე დაწეროს/დახატოს მესიჯი და ძაფით, თოკით ჩამოკიდოს. ამ წარწერებმა მასწავლებლებს თავიანთი შეცდომები დაანახეს. მოსწავლეთა მესიჯები თამამია, გულიდან წამოსული, შეულამაზებელი: „ხანდახან იყავი ბავშვი“, „არა სიტყვიერ ძალადობას“, „იყავი ჩემი მეგობარი“, „თუ შეგიძლია, მასწავლე, თუ არადა ბებიანემიც კი მიყვირის“, „მინდა თავისუფლება“...

სკოლაში შექმნეს ტოლერანტობის მუზეუმი - აქ ყველაფერი ბავშვების ხელითაა შექმნილი. მაგალითად, ერთმა ქაღალდისგან გააკეთა წრე, თვითმფრინავი დაადო, ზემოდან ნათურა დაანათა და იატაკზე მშვიდობის სიმბოლო გამოისახა.

განსაკუთრებულია საინფორმაციო სკივრი. კედელზე გაკრული განცხადებების ნაცვლად ფურცლები სკივრშია (სანაგვეზე გადაღებული სკივრი შეაკეთეს, გააფერადეს და ფოიეში დადგეს - ვისაც სიახლე აინტერესებს, თავს ახდის სკივრს და კითხულობს - რა ჩატარდება, ვინ ჩამოდის სტუმრად, რა ღონისძიება იგეგმება).

როგორც ლადო ამბობს, ბავშვებს არ უყვართ ჩარჩოში ჩასმული, აკადემიურად შესრულებული, უშეცდომოდ დაბეჭდილი, სტუმრების თავმოსაწონებლად გაკეთებული ტექსტები - თავიანთი ხელით დაწერილ-დახატული უფრო მოსწონთ, თვითონ ურჩენიათ კეთება, პროცესში ჩართვა.

ძალადობა - ერთ-ერთი მთავარი თემა

ლადო აფხაზავას მთავარი მეთოდია პროექტებით სწავლება. ამ გზით მარტივდება სამოქალაქო განათლების რთული თემები: ადამიანის უფლებები, დემოკრატია, მშვიდობა, კონფლიქტები და

მისი მოგვარების გზები, მოქალაქეობა, გლობალური პრობლემები, მრავალფეროვნება და მულტიკულტურული განათლება, დებატების წარმართვა, ეკოლოგია, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია...

საპროექტო აქტივობები სხვადასხვა საკითხს ეხება, მაგრამ, ფაქტობრივად, ყველაფერი ხელს უწყობს არაძალადობრივი გარემოს შექმნას სკოლაში, ოჯახში, სოფელში. ზოგჯერ საერთოდ არ ახსენებენ არც ძალადობას, არც ბულინგს. მაგრამ როცა ბავშვები გუნდურ მუშაობაში ერთვებიან, პასუხისმგებლობას გრძნობენ ერთმანეთის, სასკოლო ნივთების თუ ბუნების მიმართ, სწავლობენ თავიანთი ემოციების მართვას, კონფლიქტების მოგვარებას, ხდებიან ტოლერანტულები - ყოველივე ეს ბევრად უფრო შთამბეჭდავია და ძალადობის პრევენციასაც გულისხმობს.

ეფექტიანობას ზრდის სოციალური მედიით ინფორმაციის გავრცელება - ესეც საუკეთესო მეთოდია პრევენციისთვის.

ცოტა რამ პროექტების შესახებ

პროექტებით სწავლება, აქტივობებში ბავშვების ჩართვა - ეს არის ლაღო აფხაზავას მეთოდი, რაც ხელს უწყობს ძალადობის პრევენციას.

ლაღო აფხაზავა: - უნდა ვისწავლოთ მსხვერპლისა და მოძალადის აღმოჩენა. თუ ვხედავთ, რომ ბავშვი მოძალადე ან მსხვერპლია, ის აქტივობების თანამონაწილე უნდა გაგხადოთ. ძალადობის არსებობა თუ არ ვაღიარეთ, ვერც პრევენციულ გზებს ვიპოვით.

- ცვლილებები სადამრიგებლო კლასიდან დაიწყო - 2003 წელს დააფუძნა ბანაკი. ორი თვით ადრე დაწერა პროგრამა, შემოიკრიბა მოხალისე მასწავლებლები, მოიპოვა თანხები და ბავშვები აბასთუმანში წაიყვანა 21 დღით. ეს იყო არაფორმალური განათლების ბანაკი, რომელსაც „ლაღოს ბანაკი“ დაერქვა და 9 წელი იარსება.

- პროექტი **„დემოკრატიული რევოლუცია“** იყო ნამდვილი რევოლუცია სკოლაში, მენეჯმენტის შეცვლა. შედეგად: მოსწავლეთა თვითმმართველობა არის საკანონმდებლო ხელისუფლება, სკოლის დი-

რექცია - აღმასრულებელი ხელისუფლება და დისციპლინარული კომიტეტი - სასამართლო. პროგრამა უკვე 14 სკოლაში დაინერგა.

- პატარა პროექტები: **„არა სიძულვილს“, „კიბერუსაფრთხოება“, „მერხს ტატუ არ სჭირდება“**. სათაურებიდანაც ჩანს, რასაც ეძღვნება. ყველა პროექტი ბავშვების აქტიურობით გამოირჩევა და საკმაოდ შედეგიანია.

- უცნაური სახელწოდების პროექტი **„შეჭამე ბოსტნეული და არა შენი თანაკლასელი“**. მთელ სკოლაში გაკეთდა ბოსტნეულის დეკორაციები. ყველა დასაქმებული იყო - ზოგი ბოსტნეულს რეცხავდა, ზოგი ჭრიდა, ზოგიც სალათს ამზადებდა. ჯანსაღი კვების პიარიც გამოვიდა... ბავშვები ფოტოებს იღებდნენ, პოზიურობდნენ.

- **მანეკენ-ჩელენჯი** - ეს ჰგავს ცნობილ თამაშს „გაშეშობანა“ - ბავშვები მანეკენების იმიტაციას აკეთებენ და ობიექტივში შემდეგნიან. ამ პროექტით ძალადობის ამსახველი პერფომანსები გააკეთეს. წინასწარვე მოიფიქრეს სცენარები და გაინაწილეს როლები: ძალადობა ოჯახში, ტრანსპორტში, ქუჩაში... სამი შაბათ-კვირა მიმდინარეობდა პროცესი. აქტიურად იყვნენ ბავშვები ჩართულები. ვიდეოებიც გადაიღეს და ფეისბუქგვერდზე განათავსეს.

- **„ჩემი შინაური ცხოველი“** - ეს პროექტი მშობლების მოსაზიდად გააკეთეს. მშობლებმა მოიყვანეს ცხოველები და პროცესში რომ ჩაერთნენ, მერე 60-მდე ინიციატივა გაუჩნდათ - ფერადი ვიტამინები (ბავშვებს რომ ბოსტნეულის ჭამა დაეწყოთ), დასუფთავების აქცია, სოფლის პრობლემების მოგვარება.

- **გაკვეთილის ჩატარება ნიგეზიანის მეჩეთში** - ტოლერანტობაზე საათობით საუბრის ნაცვლად. ასე გადაწყვიტეს სოფელში ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის დაპირისპირების დაწყებისთანავე. ბავშვები ორივე მხარეს შეხვდნენ, ინტერვიუები აიღეს. ნიგეზიანში ჩასულებს, ნეგატიურად განწყობილი დახვდათ მთელი სოფელი, მაგრამ მოსწავლეები რომ დაინახეს, გზა დაუთმეს. ამით ბავშვებმა უფროსებს „ჩაუტარეს“ საუკეთესო გაკვეთილი.

- პროექტი **„ეთნორძღვები და ჩემი სოფელი“** - ტოლერანტობის და მულტიკულტურალიზმის საუკეთესო გამოცდილება. სოფელ ჩიბათში აღმოაჩინეს 27 არაქართველი რძალი. სამი თვის განმავ-

ლობაში, გააკვეთილების შემდეგ, ერთი კლასი ერთი ეროვნების რძლებთან მიდიოდა სტუმრად, მეორე კლასი - სხვა ეროვნების რძლებთან. ეცნობოდნენ წეს-ჩვეულებებს, რელიგიურ თავისებურებებს, აგემოვნებდნენ ტრადიციულ კერძებს. პროექტის ბოლოს ხუთი სუფრა გაიშალა - უკრაინული, აზერბაიჯანული, ოსური, აფხაზური, სომხური. პროექტმა ხელი შეუწყო ეთნორძლების ინტეგრაციას, სხვადასხვა კულტურის ადამიანების დაახლოებას, მოსწავლეები კი ბავშვობიდან ეზიარნენ ეთნიკურ მრავალფეროვნებას. პროექტს საერთაშორისო ჯილდო გადაეცა.

- სკოლის პატარა დანგრეულ შენობაში რამდენიმე მოსწავლე კოლხური ბზის გადარჩენას ცდილობს და 800-მდე ნერგი აქვს დარგული.

- სოფელ-სოფელ დაკალმების უძველესი მეთოდები იკვლიეს, ჩარგეს ქოთნებში სხვადასხვა ჯიშის მცენარეები, დააწერეს თავიანთი, მშობლების და მასწავლებლის სახელები და სათითაოდ უვლიდნენ. მშობლებიც დადიოდნენ სკოლაში და ეხმარებოდნენ.

- ტარდება სპორტული თამაშები, საინფორმაციო-შემეცნებითი მუშაობა (მაგალითად, საკუთარი უფლებების შესწავლა. ერთ-ერთი პროექტი „ჩვენი უფლებები ონლაინ“).

- წუწაობაც მეთოდია, რომელიც ახალისებს, ბედნიერს ხდის ბავშვს. ზაფხულის ცხელ დღეს სამი ათასი ბუშტი გაბერეს, აავსეს წყლით. ბავშვები ორ გუნდად განაწილდნენ სპორტულ მოედანზე, მასწავლებლებიც ჩაერთნენ. იყო სიცილი, მხიარულება...

ზოგჯერ პროექტი სულაც არ უკავშირდება ძალადობას, მაგრამ მისი უპირატესობა ის არის, რომ სხვადასხვა აქტივობაში ჩართული მოსწავლეები გუნდური მოთამაშეები ხდებიან, სასიკეთოდ იცვლებიან, თავისუფლდებიან აგრესიისგან, ჯანსაღი ცხოვრების წესს ეჩვევიან და თანდათან მცირდება ძალადობის გამოვლენაც...

„დიდი პრობლემები პატარა ხარჯებით“ - ამ პროექტის ბოლოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ სოფლის ცენტრში მდინარეზე გადასასვლელი ხიდი მოაწესრიგა.

ლადო აფხაზავა: - ასეთი პროექტების განხორციელები-
სას მთელი თემა და ჩემი სკოლის ყველა მასწავლებელ-
ლი გვერდში მიდგება, რადგან იციან, რომ თანამედროვე
ადამიანს ყველაფრის მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულე-
ბა უნდა ჰქონდეს. ამის მიმდებლობა ყველას აქვს,
ხოლო ჩვენი, როგორც მასწავლებლების მისია მიღების
დამაბრკოლებელი ბარიერების აღმოჩენა და წაშლაა.
ამისთვის კი თავად მასწავლებელიც მიმღები უნდა
იყო. დგას თუ არა ეს პრობლემა ჩვენს სკოლებში?
დიახ, დგას. მასწავლებელთა ნაწილის სამოქალაქო
ცნობიერება, სამწუხაროდ, ძალიან დაბალია, რაც უკვე
მთლიანად ჩვენი საზოგადოების პრობლემაა.

ლადო აფხაზავას ინტერვიუებიდან - ის, რაც მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ

„ერთხელ ვნახე, რომ საკალმახიდან ამოყვანილ კალმახებს წითე-
ლი ფერის წინწკლები არ ჰქონდათ. ჩქარ მდინარეში დაჭერილი
კალმახი კი წითელი ხასხასა ფერისა იყო. მაშინ მივხვდი - როდე-
საც თავისუფალი ხარ, ჩვეულებრივ ველურ ბუნებაში მყოფი კალ-
მახივით მრავალფეროვანი შეიძლება იყო და როცა რაღაც გბო-
ჭავს, იმ მეორე კალმახს ემსგავსები“.

„სკოლებში ნამდვილად უნდა იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული
სწავლება. მარტო ადექი, დაჯექი, ახლა მომიყევი, ახლა გაჩუმდი
და მე მომიხმინე, ამით ვერ მივალწევთ ეროვნული სასწავლო გეგ-
მის მიზნებს. ცოდნაც უნდა მივცეთ, მაგრამ უნარები და დამოკი-
დებულებებიც უნდა შევძინოთ, რომ ნასწავლის პრაქტიკაში გამოყ-
ენება შეძლონ“.

„მხოლოდ ხელფასზე და კრედიტ ქულაზე არ უნდა იფიქრო, ასე
შედები არ იქნება. ჩემი ყველაზე დიდი კრედიტ ქულა იმის ყურებაა,
როგორ იქცევიან, ვითარდებიან ჩემი მოსწავლეები“.

„10-12 წლის წინათ, როდესაც ბავშვთა უფლებებზე ზრუნვა და მათი
დაცვა დავიწყე, უარყოფითი რეაქციები ჰქონდათ მასწავლებლებს -
ახლა ბავშვების დაცვა გვაკლიათ. მხოლოდ საგნის სწავლებით იყვნენ

შემოფარგლულნი და არ ეგონათ, თუ იყვნენ ვალდებულები, ეზრუნათ მათზე“.

„მასწავლებელი უნდა გრძნობდეს, რა უჭირს მოსწავლეს და მისი დამცველი უნდა იყოს. სოციალურ სამსახურთან თანამშრომლობა ამ დროს აუცილებელია. მასწავლებელმა უნდა გაითავისოს, რომ 2-3-ჯერ წასვლა, მოწმედ ყოფნა და შეკითხვებზე პასუხი რომ დასჭირდეს, არ უნდა დაიზაროს და გააკეთოს ბავშვისთვის“.

„მარტო საგანი კი არა, ცხოვრება უნდა ვასწავლოთ, გამოწვევებთან გამკლავება. საგანი ყველა მასწავლებელმა იცის, მაგრამ მთავარია, ყოველდღიური პრობლემების მოგვარება ვასწავლოთ, ემოციების, კონფლიქტების მართვა, კომუნიკაცია“.

„ყველას შეუძლია შეცვლა. როდესაც ამას ვამბობ, ვგულისხმობ ორ რამეს: პირველი - ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შეცვალოს საკუთარი თავი, განვითარდეს და გახდეს უკეთესი; და მეორე - ყველას შეუძლია შეცვალოს მის გარშემო არსებული რეალობა“.

„ნაბიჯ-ნაბიჯ, მცირე გამარჯვებებით ვადვივებ მოსწავლეებში საკუთარი თავის რწმენას და რწმენას იმისა, რომ საკუთარი თავი და შენ გარშემო არსებული გარემო შენვე შეგიძლია შეცვალო უკეთესობისკენ. ახალი თაობა ამას ძალიან კარგად ითვისებს და ხდებიან ლიდერები“.

„ძველი თაობისთვის სკოლა იყო ადგილი, სადაც ცდილობდნენ შიში ჩაენერგათ და ისე ესწავლებინათ. მეშინოდა შეცდომის დაშვება, არაფერს მპატიობდნენ, არ გვასწავლიდნენ იმას, რომ შეცდომის დაშვება საჭიროც კი იყო, რადგან მხოლოდ ასე შეძლებ რამის სწავლას. ამიტომაც მინდოდა შემეცვალა ის, რაც ძალიან მაწუხებდა და შეეცვალე კიდევ“.

„მასწავლებლობა მაძლევს საშუალებას, ვეძებო სწავლების არაორდინალური გზები. ეს ყველაფერი ჩემთვის ექსპერიმენტია და მოსწავლეებისათვის - სასიამოვნო პროცესი. ჩემი გამოცდილება მკარნახობს, რომ ამ სასიამოვნო პროცესში მოსწავლეები სწავლობენ თამაშით, სწავლობენ კეთებით, მე კი მათზე დაკვირვებით ვიზრდები, როგორც მასწავლებელი“.

„არ ვეთანხმები, როცა მსაყვედურობენ, მარტო ხტუნვა-თამაშით, ენერჯაიზერებით სწავლება არ შეიძლებაო. ჩემი აზრით, ეს უფრო შთამბეჭდავია ბავშვებისთვის. იმ ხტუნვა-თამაშშია ჩადებული ინფორმაცია, საინტერესო მარცვლები“.

„სამნაირი გაკვეთილი უნდა ჰქონდეს მასწავლებელს მომზადებული: ხან სერიოზული, ხან - თამაშით, ხანაც - გარეთ, ბუნებაში. ამიტომ ეზოში ხის გადანაჭრები გვაქვს სკამებად წრეში, გვაქვს დახურული და ღია ფლიგელები, სადაც გაკვეთილებს ვატარებთ“.

„ბავშვის რესურსი აბსოლუტურად ყველაფერში უნდა გამოიყენოს. შეიძლება, ის ხატავს ან ელექტრონული პრეზენტაციის აწყობაში იყოს უფრო ძლიერი. ზოგს ლიდერობის უნარი აქვს. მთავარი ამ უნარების წარმოჩენაა“.

„გაკვეთილი უნდა იყოს ორიენტირებული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე და მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ ყველაფერი, რაც დასჭირდებათ ცხოვრებაში: ეკოლოგია, ტოლერანტობა, ადამიანის უფლებები, კრიტიკული აზროვნება“.

„თუ ბავშვებზეა ორიენტირებული ღონისძიება, რატომ სხედან პირველ რიგებში მასწავლებლები? ბავშვები უნდა იყვნენ ყოველთვის წინ, პროცესში ჩართულები. ჩვენთან ასეა. როცა ეთნორძღვებმა სამზარეულოს გამოფენა გააკეთეს, ეგონათ, რომ სუფრასთან თავდაპირველად პედაგოგებს მივიწვევდი, მაგრამ ვთქვი, რომ პროექტი ბავშვებისთვის იყო და ჯერ ისინი უნდა დამსხდარიყვნენ“.

„მასწავლებლებს ხშირად გვინდა, გაკვეთილზე სინქრე იყოს, რომ სხვებმა თქვან, როგორი დისციპლინა აქვსო, მაგრამ ასეთი გაკვეთილები, ვფიქრობ, საჭირო აღარაა. გაკვეთილი უნდა იყოს ხმაურიანი, სამუშაო პროცესი უნდა იყოს აქტივობებით დახუნძლული“.

როგორ ამოვიცნოთ ძალადობაგამოვლილი ბავშვი?

ლადო აფხაზაყას თქმით, მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, აღმოაჩინონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. მაგრამ თვალს ხუჭავენ - ბევრს ჰგონია, რომ ეს მათი საქმე არ არის. ისედაც ბევრი დავალება გვაქვს და კიდევ ამის დამატება რად გვინდაო, ამბობენ.

არ მოსწონს სიტყვა „ძალადობის მსხვერპლი“ და ხმარობს სიტყვას: „ძალადობაგამოვლილი“. ამ სიტყვაში ჩანს, რომ ძალადობა უკვე დასრულებულია.

ძალადობაგამოვლილი ბავშვის ამოცნობა ძნელი არ არის. ის:

- ◆ შეშინებულია
- ◆ ყოველთვის რაღაცას იტკივებს
- ◆ ცდილობს, შეუმჩნეველი იყოს
- ◆ არ იჩენს ინიციატივას
- ◆ ჩუმადაა
- ◆ როცა თავზე ხელს გადაუსვამ, ხელს სწევს და თითქოს თავს იცავს
- ◆ ზოგ ბავშვს იდაყვები აქვს დაღურჯებული

როგორ დავიწყოთ დახმარება?

პირველ რიგში, უნდა მოვუსმინოთ. მშვიდად, ყურადღებით, მზრუნველობით. ბავშვთან ინტერვიუ მშვიდ გარემოში უნდა ჩატარდეს, განცალკევებულად, დაძაბულობის გარეშე. არ ვაგრძნობინოთ, რომ ავლელდით, ავფორიაქდით. არ ვუთხრათ, ეს რა დაგმართნია, ვაიმე, შვილო, ეს რა მითხარი, რა საშინელებაა და ა.შ. ბავშვს არ უნდა შეეშინდეს, უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ეს მარტო მის თავს არ ხდება.

ლადო აფხაზავას ბევრ ბავშვთან უსაუბრია. იყო მართლაც გამოვლენილი ისტორიები. მაგრამ აუღელვებლად უსმენდა. ამშვიდებდა, აგრძნობინებდა, რომ გვერდში დაუდგებოდა. როცა ასეთ განწყობას ხედავს ბავშვი, უფრო იხსნება, მოგყვება. არ უნდა დააძალოთ, თუ ყველაფერს არ ყვება თავიდანვე. არ არის აუცილებელი, თავიდანვე აიხსნას ყველა დეტალი.

ძალადობაგამოვლილ ბავშვი ვერ იტანს ჩარჩოებს, ვერ ეტყვი, კანონებს მოერგეო. მათთან მუშაობა ინდივიდუალურია. თუ ერთს უკვარს ყურადღება, ხელის ჩაკიდება, მეორეს დამოუკიდებლობა ურჩევნია. მასწავლებელი, გარკვეულწილად, ფსიქოლოგიცაა - ეს განსხვავება უნდა დაინახოს და მის მიხედვით იმოქმედოს.

მშობლებთან თანამშრომლობა

მშობლებთან თანამშრომლობა ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი ნაწილია. პედაგოგები ცდილობენ, მაქსიმალურად ჩართონ მშობლები. იწვევენ მათ ღონისძიებების დროს. სხვადასხვა სკოლიდან/სოფლიდან ბავშვების ტრანსპორტირებას მშობლები უზრუნველყოფენ, უხარიათ, მათი შვილები რომ ინტეგრირებულენ არიან, აქტიურობენ.

მშობლებთან ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმაა მშობელთა კრება. კრება აქ უჩვეულო ფორმატით ტარდება და არა ისე, რომ აქებენ კარგ ბავშვებს და აძაგებენ „ცუდებს“. ლადოს მიაჩნია, რომ ცუდი ბავშვი არ არსებობს. და გამოსავალს ასე მიაგნო. მშობლებს თითო-თითოდ პატიუებს (კი არ იბარებს, იწვევს). ცალ-ცალკე ესაუბრება ყველას - ფინჯან ყავასთან. პირველად მშობლებს გაუკვირდათ, ყავით, წვენებითა და ორცხობილებით რომ დახვდა კრებაზე. მასწავლებელი არ საყვედურობს მშობელს, არ ლანძღავს ბავშვს, რაც არ უნდა პრობლემური იყოს. პირიქით. მშობელი გრძნობს, რომ ლადო გულშემატკივარია, ზრუნავს ბავშვზე, უყვარს და უნდა, უკეთესი იყოს.

მისი ტექსტები ასეთია:

- თქვენს შვილს პოზიტივი, სიხარული აკლია. ამიტომ აქვს პროტესტი და ეს აისახება მის ქცევაზე. როცა ცუდად იქცევა და უყვირით, კარგს რომ გააკეთებს, შეაქეთ, - ამ სიტყვების შემდეგ ხშირად დედები თავიანთ პრობლემებზე უყვებიან, ოჯახურ კონფლიქტებზე, გაჭირვებაზე, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვზე.

- თქვენი შვილი ლიდერია. ჩემი მარჯვენა ხელი იყო პროექტზე მუშაობის დროს, - და ამას ეუბნება ისეთი ბავშვის მშობელს, რომელიც არ გამოირჩევა სწავლით. მაგრამ ეს სიმართლეა. ყველა ბავშვს აქვს ლიდერული თვისებები. მშობელი სხვა თვალთ უყურებს თავის შვილს. აღმოაჩენს, რომ მართლაც ბევრი რამ აქვს კარგი. შინ დაბრუნებული კი ეუბნება, რომ ლადო მასწავლებელმა შეაქო და ბავშვიც უფრო მონდომებული ხდება.

ლადო მასწავლებელი მიიჩნევს, რომ, როცა ბავშვი გიყვარს, ყოველთვის მის მხარეს ხარ, ყოველთვის მის გვერდით დგახარ, ყოველ-

ვის ამჩნევ მის კარგ თვისებებს. სწორედ ამ დროს შეგიძლია უთხრა სხვებისთვის არაფრით გამოჩნეულ ბავშვს: შენი რესურსი ჩემთვის მნიშვნელოვანია, ძალიან მჭირდები... ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ ის საჭიროა! მაშინ მეტი პასუხისმგებლობა აქვს, გუნდურ მუშაობას ჩნევა, თავის როლს და ფუნქციებს ნათლად ხედავს.

შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება მოყვრადლო - ლალო არ ეთანხმება ამ გამოთქმას და მიიჩნევს, რომ სიყვარულით უნდა იზრდებოდეს ბავშვი სახლშიც და სკოლაშიც. მისი აზრით, დასრულდა ის დრო, როცა სწავლის ძირი მწარე იყო. სწავლის ძირი 21-ე საუკუნეში უნდა იყოს ტკბილი, საინტერესო, სახალისო და კენჭვროც ტკბილი იქნება.

თანამშრომლობა სოციალურ სამსახურთან - მუშაობა მცირე საოჯახო ტიპის სახლში

ლალო აფხაზავა 2012 წლიდან არის მცირე საოჯახო ტიპის მენეჯერი - მინდობითი ოჯახების პროგრამით რვა მოზარდს ზრდის.

სამი ბავშვი ნახა. ხიდის ქვეშ ეძინათ. სახლიდან გამოაგდეს. მე-სამე დღე იყო, იქ იყვნენ. ძლიერი წვიმა რომ წამოსულიყო, მდინარე წაიღებდა დაძინებულებს... ნახა და მაშინვე ჩართო სათანადო მექანიზმები - მიმართა უბნის ინსპექტორს, სოციალურ სამსახურს. ახლა ბავშვები მინდობით ცხოვრობენ.

ლალო აფხაზავა: - მრავალშვილიან ოჯახში დავიბადე, მშობლები ადრე გარდამეცვალნენ, დები გათხოვდნენ და სახლში მარტო დავრჩი. ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა რვა ბიჭი და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს მცირე საოჯახო ტიპის სახლში ერთად ვართ. ერთხელ ერთ-ერთი ბავშვი გახდა ცუდად. რენტგენზე გამოჩნდა, რომ ფილტვების ანთება ჰქონდა. იმდენად რთული მდგომარეობა იყო, მითხრეს, შეიძლება, ქუთაისამდე ვერ ჩააღწიოთო. ქუჩაში გავვარდი ბავშვით ხელში და შუაგზაზე მანქანებს გიჟივით გადავუღექი. ჩავაღწიეთ ქუთაისის საავადმყოფოში და მითხრეს, რომ წამებში მიეუსწართო. ხუთი დღე ბავშვს თვალეში ვუყურებდი

და მაშინ ვიგრძენი, რომ ამ ბავშვების მიმართ მამობრივი გრძნობა მაქვს.

მცირე საოჯახო ტიპის სახლში მართლაც ოჯახური გარემოა. ერთად დადიან ზღვაზე, მთაში, ატრაქციონებზე. დიდი ბიბლიოთეკის ყველა წიგნი ბიჭებს წაითხული აქვთ. ოჯახში სიმშვიდე და კომფორტია. ერთად მუშაობენ - არის სასათბურე მეურნეობა, სოკოს მეურნეობა, ქოთნის ყვავილები აქვთ მრავლად. საქმეს ინაწილებენ და ბავშვებს ყოფითი უნარებიც უმუშავებთ.

სოციალურ სამსახურთან თანამშრომლობა აუცილებელი ნაწილია. ამ სახლში რომ მოდის სოციალური მუშაკი, ზეიმიან. მაგრამ ყველას ასეთი დამოკიდებულება არა აქვს სოციალური მუშაკის მიმართ.

ამიტომაც მოიფიქრეს და ჩაატარეს ღია გაკვეთილი ლანჩხუთში. მოიწვიეს გურიის სოციალური მუშაკები. ბავშვები უსვამდნენ შეკითხვებს, ისინი კი პასუხობდნენ. ამ დღეს ყველა ბავშვისთვის სოციალური მუშაკი გახდა კონკრეტული ადამიანი, რომელსაც შეუძლია თანადგომა, დახმარება, ზრუნვა. დიდი სითბოთი დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ამის შემდეგ გაიზარდა მიმართვიანობა. ერთი სოციალური მუშაკი იყო ლანჩხუთში, ახლა სამია. სახალხო დამცველს სთხოვეს, მანქანა გამოეყოთ მათთვის, რადგან ძალიან კარგ საქმეს აკეთებენ და მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ.

ახლა სიმულაციურ თამაშებს აპირებენ აქტუალურ თემებზე - ოჯახში ძალადობა, ბულინგი, მსხვერპლთან და მოძალადესთან მუშაობა, ძალადობის პრევენცია. ტრენინგ-მოდულის შემუშავების შემდეგ აკრედიტაციას მიიღებენ და ყველა სკოლაში იმუშავებენ ამ მოდულით. ეს იქნება მეტი ქვისი, მეტი გამოცდილება, მეტი პრაქტიკა, ნაკლები თეორია, მასწავლებლების თანამშრომლობა სოციალურ სამსახურთან.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

ღაღო აფხაზავა ყოველთვის დიდი სიამოვნებით თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რადგან სხვადასხვა სახის შეხვედრებზე ყოველთვის საინტერესო გამოცდილებას იღებს და თავისას გადასცემს.

ლადო აფხაზაგა: - ფონდ HumanDoc-თან ოთხი წელია ვთანამშრომლობ და ძალიან მიხარია, რომ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში საინტერესო და საჭირო პროექტები ხორციელდება. მე პირადად ჩამოდენივე პროექტში ვიყავი ჩართული სადაც პოლონური გამოცდილება გავიზიარე და მათი სწავლების მეთოდები დავენერგე საქართველოში. აღნიშნული პუბლიკაცია ეფიქრობ რომ ხელს შეუწყობს პედაგოგებს უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ ოჯახში ძალადობის თემაზე და მათი მოვალეობის შესახებ რაც აუცილებელია ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობის აღსაკვეთად

პასუხი სხვადასხვაა: სინათლე, სიწმინდე, ღვთიურობა...

მისი პასუხია: გაზიარება!

მისთვის მთავარი ყოველთვის გაზიარებაა - ცოდნის, გამოცდილების, შეცდომების, მიღწევების, წარუმატებლობის, გამარჯვების...

წიგნის ეს თავიც ლადო აფხაზაგას გამოცდილების გაზიარებას ემსახურება. ეფიქრობთ, მასწავლებლები ბევრ საინტერესოს იპოვიან და გამოიყენებენ თავიანთ პრაქტიკაში.

ღანართი 1. საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობაზე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 126¹. ოჯახში ძალადობა

1. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, - ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
 - ა) წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ;
 - ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;
 - გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
 - დ) პირთა ჯგუფის მიერ;
 - ე) არაერთგზის, - ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 381¹. შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა, არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა

1. შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა, - ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175² მუხლის შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სასჯელშეფარდებული პირის მიერ, -

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

მუხლი 175². არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა

არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა -

გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

მუხლი 175¹. მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შესახებ სათანადო ორგანოებისათვის შეუტყობინებლობა

მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შესახებ მონაცემების მიწოდებისათვის ვალდებული თანამდებობის პირის მიერ სათანადო ორგანოებისათვის შეუტყობინებლობა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთას მინიმალურ ოდენობამდე.

**დანართი 2. ამონარიდები ბავშვის უფლებების კონვენციიდან
კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ**

1989 წლის 20 ნოემბერი
(ამონარიდი)

მუხლი 3

1. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა **ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.**
2. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს.
3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვებზე ზრუნვისათვის ან მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, და მათი პერსონალის რიცხვისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა **ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის.** ასეთი განსაზღვრა შეიძლება საჭირო გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე, ანდა, როცა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით.

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. **ბავშვის საუკეთესო ინტერესები** მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.
2. წინამდებარე კონვენციაში ჩამოყალიბებული უფლებების განხორციელების უზრუნველყოფისა და ხელშეწყობის მიზნით მონაწილე სახელმწიფოები მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს სათანადო დახმარებას უწყვენ, რათა მათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი ბავშვების აღზრდაში და უზრუნველყოფენ საბავშვო დაწესებულებების ქსელის განვითარებას.
3. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვებს, რომელთა მშობლები მუშაობენ, უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ მათთვის განკუთვნილი სამსახურებით და ბავშვთა მოვლის დაწესებულებებით.

მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებას მიმართავენ, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ.
2. დაცვის ასეთი ზომები, აუცილებლობის შემთხვევაში, მოიცავს ეფექტიან პროცედურებს სოციალური პროგრამების შესამუშავებლად იმ მიზნით, რომ მხარდაჭერა გაუწიონ ბავშვს და მასზე მზრუნველ პირებს, აგრეთვე განახორციელონ გაფრთხილებისა და გამოფლენის, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის სხვა ფორმები და შემდგომი ღონისძიებანი ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობის ზემოთ ნახსენებ შემთხვევებთან დაკავშირებით, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო პროცედურის აღძვრისათვის.

დანართი 3. ოჯახში ბავშვზე ძალადობაზე დაკვირვების ანკეტა³

ანკეტა განკუთვნილია მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალისთვის!

დაუშვებელია მისი გადაცემა მშობლისთვის ან ბავშვისთვის!

ანკეტა გამოიყენება 9 წლამდე ასაკის ბავშვებში

მონიშნეთ შესაბამისი პუნქტები

I სექცია

ინფორმაციის მოპოვება ბავშვისგან ან ძალადობის უშუალო მოწმისგან

- ა. ვინ სცემს, ხელს ჰკრავს, აჯანჯლარებს, ესერის საგნებს და ა.შ. ბავშვს.
- ბ. ვინ იყენებს უცენზურო და შეურაცხყოფელ სიტყვებს, აშინებს, აშანტაჟებს, ზღუდავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში და ა.შ.
- გ. მეურვე არ უზრუნველყოფს ბავშვის საჭიროებებს, მაგალითად, როგორცაა, კვება, ძილი, მკურნალობა; ემოციური, სოციალური, ინტელექტუალური განვითარება, თუმცა მანამდე მეურვეებისთვის ჩატარდა სამუშაოები აღნიშნულ დარგში.
- დ. ვინ არღვევს ოჯახში ბავშვის სექსუალურ სფეროს: ესება მის ინტიმურ ადგილებს, აიძულებს უფროსის ინტიმური ადგილების შეხებას, ასევე, აიძულებს სექსუალური კონტაქტის დამყარებას, დაკავებულია სექსით ბავშვის თანდასწრებით, აჩვენებს პორნოგრაფიას, ან აიძულებს ბავშვს პორნოგრაფიაში მონაწილეობას.
- ე. ბავშვს ამჩნევია ფიზიკური ძალადობის ნაკვალევი ან მიუხედავია.
- ვ. ბავშვს ეშინია სახლში დაბრუნების ძალადობის შიშით.
- ზ. ბავშვს უნდა თავის მოკვლა ან სახლიდან გაქცევა ოჯახში ძალადობის მიზეზით.
- თ. ბავშვი ოჯახში ძალადობის მოწმეა.

საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლის დაკვირვება მშობელზე

- იო. მშობელი აგრესიულია ბავშვის მიმართ (ფიზიკური ან ვერბალური აგრესია): საგანმანათლებლო ტერიტორიაზე ან საზოგადოებრივი

³ ანკეტა მომზადებულია პოლონელი ექსპერტის მიერ, წარმოადგენს ბავშვზე ძალადობის გამოვლენის დამხმარე ინსტრუმენტს და ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.

თავშეყრის ადგილებში ხელს ჰკრავს, ამცირებს, შეურაცხყოფს, სცემს და ა.შ.

საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლის დაკვირვება ბავშვზე:

- კ. ბავშვს ფიზიკური ძალადობის კვალი აქვს: დაჟეჟილობები, ნაკაწრები, დამწვრობა, ძველი და ახალი იარები სხეულზე და ა.შ.
- ლ. ბავშვი მოუვლელია. მაგალითად, არაჰიგიენურად გამოიყურება, საჭირო სამედიცინო დახმარება არ მიეწოდება და ა.შ., თუმცა მანამდე მშობლებისთვის ჩატარდა სამუშაოები აღნიშნულ დარგში.

II სექცია

საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლების დაკვირვება ბავშვზე:

- IIა. ბავშვი სხვა ბავშვებთან ურთიერთობაში არის ან მოძალადის ან მსხვერპლის როლში.
- IIბ. ბავშვი არაადეკვატურად რეაგირებს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ სიტუაციაზე, მაგალითად, აქვს შფოთვა, თვითიზოლაცია, ავტოაგრესია, აგრესია და ა.შ.
- IIგ. ბავშვი იქცევა ავტოდესტრუქციულად, მაგალითად, იკბინება, საკუთარ თავს ჩქმტს, თავს ურტყამს.
- IIდ. ბავშვი რაღაც პერიოდის შემდგომ გახდა აპათიური, მოთენთილი, დაეკარგა თამაშის სურვილი.
- IIე. ბავშვს ეშინია სახლში დაბრუნების და აფორიაქებულია, დაძაბულია და რთულ ემოციებს ამჟღავნებს მშობელთან ან მშობლებთან ურთიერთობაში.
- IIვ. ბავშვი ხშირად აცდენს სკოლას (ეს შეეხება ბავშვებს, რომლებიც ვადლებულნი არიან, იარონ სკოლაში) უმიზეზოდ, ძალიან ხშირად მშობლებთან უშუალო საუბრის შემდეგ ან საგანმანათლებლო დაწესებულების უშუალო ჩარევის შემდეგ.

ინფორმაცია მშობლების შესახებ:

- IIზ. მშობლების საქციელი საშიშროებას უქნის ბავშვის კეთილდღეობას, განვითარებას და უსაფრთხოებას.
- IIთ. მშობლები არ თანამშრომლობენ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ბავშვის დასახმარებლად.
- IIი. ბავშვი მოშორებულია მშობლებს ემიგრაციის ან სხვა ოჯახური მდ-

გომარეობის გამო, რჩება მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების ემოციური მხარდაჭერის გარეშე.

II კ. საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე მშობელი იმყოფება ალკოჰოლის, ნარკოტიკების ან სხვა გაყვანილობის ქვეშ, ან არ მოდის ბავშვის წასაყვანად.

II ლ. რომელიმე ბავშვი ჩამორთმეული ჰყავს მშობელს ოჯახში ძალადობის მიზეზით.

III სექცია

ინფორმაცია მშობლების შესახებ:

III ა. მშობელი დასჯილია ოჯახში ძალადობის გამო.

III ბ. ეჭვია ბავშვზე ძალადობის შესახებ ან ოჯახში ძალადობის შესახებ, ადრეც და ამჟამადაც.

III გ. არის ალკოჰოლის, ნარკოტიკების ან სხვა პრეპარატების მომხმარებელი.

III დ. როცა ჯანმრთელობის სერიოზული, ემოციური, ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანები ცხოვრობენ ბავშვთან ერთად.

III ე. ოჯახში არის სერიოზული პრობლემები - განქორწინება, დაშორება, ოჯახური კონფლიქტი ან სხვა კრიზისული მდგომარეობა.

III ვ. როცა ბავშვი საჭიროებს აღმზრდელობით-საგანმანათლებლო პროგრამას (შეზღუდული შესაძლებლობების, ემოციურ-სოციალური, განვითარების პრობლემების მქონე ბავშვებისთვის).

III ზ. როცა მშობლებს არ გააჩნიათ ბავშვის განვითარების სურვილი.

III თ. დედა და/ან მამა ბავშვის გაჩენის დროს იყო 17 წლამდე ასაკში.

III ი. მშობლების სიღარიბე და მისგან გამომდინარე პრობლემები.

შეამოწმეთ თითოეული სექციის პუნქტები, ხოლო ამის შემდეგ იმოქმედეთ ალგორითმში მოყვანილი ნიმუშების საფუძველზე!

ქმედების სამაგალითო ალგორითმები ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ეჭვის შემთხვევაში

აღნიშნეთ I სექციიდან ერთი პუნქტი მაინც → ინფორმაცია მიაწოდეთ შესაბამის ორგანოებს → ბავშვის რაიმე დაზიანებების ან სამედიცინო დაზარების საჭიროების შემთხვევაში გამოიძახეთ სასწრაფო

აღნიშნეთ II სექციიდან ერთი პუნქტი მაინც

IIა-IIდ → გაესაუბრეთ მშობლებს და შეიმუშავეთ ბავშვის დახმარების გეგმა → ყურადღება! თუ სიტუაცია მეორდება, ხოლო მშობლების მხრიდან რეაგირება არ არის, გამოიყენეთ სექცია I-ში მოყვანილი პროცედურები

Iგ → გაესაუბრეთ ბავშვს, თუ ის არ შედის ვერბალურ კონტაქტში, მოახდინეთ მის საქციელზე დაკვირვება → გაესაუბრეთ მშობლებს, რომლებიც ბავშვს ტრავმას არ მიაყენებენ → თუ ბავშვისთვის არ არის შექმნილი უსაფრთხო გარემო, მაშინ გამოიყენეთ სექცია I-ში მოყვანილი პროცედურები

IIგ-IIი → ინფორმაცია მიაწოდეთ შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუციებს, რომლებსაც ეხება ოჯახის სოციალური მეურვეობის საკითხები → თუ ბავშვი არ იმყოფება უსაფრთხო გარემოში, მაშინ გამოიყენეთ სექცია I-ში მოყვანილი პროცედურები

IIკ → შეატყობინეთ პოლიციას

IIთ → ბავშვზე დაკვირვება → გაესაუბრეთ მშობლებს → თუ ბავშვი არ იმყოფება უსაფრთხო გარემოში, მაშინ გამოიყენეთ სექცია I-ში მოყვანილი პროცედურები

მონიშნეთ მინიმუმ სამი პუნქტი III სექციიდან

→ გაესაუბრეთ ბავშვს და განსაზღვრეთ მისი უსაფრთხოების დონე ოჯახში. თუ ბავშვი ვერბალურად არ შედის კონტაქტში, დააკვირდით მას თამაშის დროს → გაესაუბრეთ მშობლებს პრობლემური აღზრდის თაობაზე, იზრუნეთ მის უსაფრთხოებაზე ოჯახში. თუ თქვენ ბავშვისგან ვერ მოიპოვებთ ინფორმაციას მისი უსაფრთხოების შესახებ (ასაკის და განვითარების გამო), გადაეცით ინფორმაცია მშობლებს იმის თაობაზე, რაც გადელვებთ, შეიმუშავეთ ბავშვის უსაფრთხოების ხარისხის განსაზღვრის მეთოდი → ბავშვის მდგომარეობის მონიტორინგი. 1, 2 და 3 თვის შემდეგ გაიმეორეთ ანკეტირება.

ყურადღება!

თუ ბავშვი შეიცვლის საგანმანათლებლო დაწესებულებას, პედაგოგმა ბალადობაზე თავისი ეჭვების შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს იმ დაწესებულებას, სადაც გადადის ბავშვი

დანართი 4. სოციალურ სამსახურში მიმართვის ბლანკი

ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი⁴

ინფორმაცია მომმართველის შესახებ: დაწესებულების ტიპი: სკოლა/
მანდატურის სამსახური საბავშვო ბაღი საგანმანათლებლო და სკო-
ლისგარეშე სახელოვნებო და/ან სასპორტო დაწესებულება ბავშვთა
სპეციალიზებული დაწესებულება სამედიცინო სერვისების მომწოდებელი
(მათ შორის, სოფლის ექიმები) მუნიციპალიტეტის ორგანო/
დაწესებულება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის
იურიდიული პირი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის
სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს პროკურატურა საქართველოს სპორტის და ახალგაზრ-
დობის საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარე-
ბული საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს კულ-
ტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს
დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი

დაწესებულების დასახელება და მისამართი: -----

საკონტაქტო პირის სახელი ----- გვარი -----

თანამდებობა -----

საკონტაქტო ტელეფონი -----

ექის წყარო:

1. ადრეული ქორწინება ან ასეთის რისკი

2. ძალადობის სხვა სახეები

(აღნიშნეთ, თუ ჩამონათვალში რომელიმე შეესაბამება აღნიშნულ მდ-
გომარეობას)

⁴ **იხ.** საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 (12.09.2016) ბავშვთა დაცვის მიმართვი-
ანობის (რეგულირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე. დანართი 2.

ბავშვის სხეულის დაზიანებების ნიშნები:

- სილურჯეები
- ახალი ჭრილობები
- ახალი ნაკაწრები
- ახალი იარები
- მოძრაობის გაძნელება
- სხეულის ნაწილის შეშუპება
- მოტეხილობები
- სხვა ნიშნები (მიუთითეთ)

ბავშვის საეჭვო ქცევა:

- ბავშვი აღგზნებულია
- აქვს შიშები
- არარეგულარულად დადის სკოლაში
- არ სწავლობს
- არ უნდა სახლში დაბრუნება
- დათრგუნულია
- ასაკის შეუფერებლად სექსუალურია/აქვს სექსის შესახებ ასაკის შეუფერებელი ცოდნა
- რადიკალურად შეცვალა ხასიათი
- ვერ ხსნის ტრავმის მიზეზებს
- მოუვლელია
- არ არის რეგისტრირებული (არ აქვს დაბადების მოწმობა, არ არის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ)
- დროს ატარებს უმეთვალყურეოდ/გადაადგილდება უცხო პირთან ერთად
- ჩართულია შრომით/ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში (ითხოვს მოწყალებას)
- სხვა ნიშნები (მიუთითეთ)

სხვა ფაქტორები (აღწერეთ):

1. ძალადობაზე ეჭვის წყაროს გამოვლენისას რა ღონისძიებები იქნა გატარებული სუბიექტების მხრიდან, რათა დადგენილიყო, საფუძვლიანია თუ არა ეჭვი? (აღწერეთ გატარებული ღონისძიებები და შედეგი).
2. ძალადობაზე ეჭვის წყაროს გამოვლენისას რა ღონისძიებები იქნა გატარებული საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) მხრიდან, რათა დადგენილიყო, საფუძვლიანია თუ არა ეჭვი? (აღწერეთ გატარებული ღონისძიებები და შედეგი).

ინფორმაცია ბავშვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

სახელი ----- გვარი ----- ასაკი -----

პირ. № (ასეთის არსებობისას ან არქონის მიზეზი) -----

სახლის მისამართი -----

მშობლის/მეურვის/მზრუნველის სახელი -----

გვარი -----

ტელეფონის ნომერი-----

საფუძვლიანი ეჭვის წყარო:

თუ ღონისძიებების ჩატარების შემდეგ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, შემოხაზეთ რომელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: **ერთ-ერთის შემოსახვა** **სავალდებულოა**, **შეიძლება ერთდროულად რამდენიმეს შემოსახვაც**:

1. ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
2. ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ ის შეესწრო ძალადობის ფაქტს;
3. ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მშობლის არაადეკვატური ქცევა;
4. ბავშვის საეჭვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
5. ბავშვის საეჭვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ ის შეესწრო ძალადობის ფაქტს;
6. ბავშვის პირდაპირი განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
7. მოწმის განცხადება, რომ ის შეესწრო ძალადობის ფაქტს;
8. სხვა (დაასაბუთეთ).

საკონტაქტო პირის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

დაწესებულების დირექტორის ხელმოწერა: _____

ორგანიზაციის ბეჭედი:

დანართი 5

1. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. 25.05.2006.

<https://matsne.gov.ge/document/view/26422?publication=17>

2. საქართველოს მთავრობის დადგენილება №437. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე. 2016 წლის 12 სექტემბერი.

<https://matsne.gov.ge/document/view/3394478?publication=2>

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება ბრძანება №01-81/ნ- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ. 14/07/2020

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4916629?publication=0>

4. ამონარიდი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან

მუხლი 126 1. ოჯახში ძალადობა

1. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
 - ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
 - ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;
 - გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
 - დ) ჯგუფურად;
 - ე) არაერთგზის, – ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

მუხლი 151 1. აღწერა

1. პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ან ოციდან ან ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწვეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
- ბ) ჯგუფურად;
- გ) არაერთგზის;
- დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში დარეკეთ:

1. ბავშვზე ძალადობის თაობაზე ინფორმაციის შეტყობინების მიზნით მოქმედებს შემდეგი სატელეფონო „ცხელი ხაზი“:
 - ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ცხელი ხაზი“ - 15-05;
 - ბ) სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო;
 - ბ.ა) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო „ცხელი ხაზი“ - 116-006;
 - ბ.ბ) ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა საკონსულტაციო „ცხელი ხაზი“ - 2 100 229;
 - გ) საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ნომერი - 112.
 - დ) ბავშვთა დახმარების ხაზი 116 111 | 2 421 422
2. დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას/დაწესებულებას „ცხელ ხაზზე“ შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის საკითხებზე. ასევე „ცხელი ხაზ(ებ)ის“ მეშვეობით შესაძლებელია, სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის ან შესაძლო ძალადობის შესახებ.



www.HumanDoc.pl
www.HumanDoc.ge